მეექვსე წელიწადი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები:)რედაქტორის 14—76
)მდივნის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.

ოთხშაბათი, 17 მარტი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 69 (151[illegible])

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- ფორდი იწყებს საბჭ. კავშირში სელის შესყიდვას.
- ჩეხო-სლოვაკიაში საბჭ. კავშირის ცნობის საკითხს გადაწყვეტილად თვლიან.
- ჩინეთ-იაპონიას შორის დამოკიდებულება გამწვავდა.
- პარიზში დამატებითი საპარლამენტო არჩევნებში კომუნისტებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს.
- ინგლისმა იცნო გეჯასის მეფე.
- დაიხურა პროფინტერნის ცენტრალურ საბჭოს სესია.

ცეკავშირის რწმუნებულთა ყრილობის შედეგები

საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის უკანასკნელ ყრილობას, რომელმაც უკვე დაასრულა თავისი მუშაობა, უთუოდ დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენს შემდეგ კოოპერატ. მშენებლობაში. ყრილობის მუშაობამ მრავალ მტკივნეულ მხარეებს აჰხადა ფარდა, რომელნიც წინ ელობებოდენ ამ ორგანიზაციის წარმატებით განვითარებას.

პირველი და ყველაზე მეტად საგულისხმო ამ ნაკლულევანებათაგანი არის სამომხმარებლო კოოპერაციის უმწეო ფინანსიური მდგომარეობა.

როგორც გამგეობის მოხსენებიდან გამოირკვა, ცეკავშირის დავალიანება ამჟამად იმდენად საგრძნობ თანხას წარმოადგენს, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის ნორმალურ მუშაობას ეს დავალიანება სერიოზულ საფრთხეს უქადის. მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭირო დარჩა საკავშირო კოოპერატიულ ცენტრის დახმარება.

ჩვენ არა ერთხელ გვქონია შემთხვევა შევხებოდით კოოპერატიულ მუშაობის საკითხებს, საზოგადოთ, და, კერძოთ, საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის მდგომარეობას. ცხადია, აქ არ შეიძლება ლაპარაკი მხოლოდ ხელმძღვანელ ორგანოების მუშაობის სისუსტეზე. ის უმწეო ფინანსიური მდგომარეობა, რომელშიაც მოექცა დღეს ცეკავშირი, ნაწილობრივათ შედეგია ჩვენი საერთო მძიმე ფინანსიურ პირობების, და ამასთანავე მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ არსებული დავალიანება ცეკავშირის გამგეობათა მემკვიდრეობითი სენს წარმოადგენს.

ასეა თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება. ახალი გამგეობა იწყებს მუშაობას მეტად საგრძნობ პასიური ბალანსით და ამნაირად მის წინაშე ისმება უაღრესი მნიშვნელობის ამოცანები, რომელთა ღირსეულად გადაჭრაზედაც ბევრად იქნება დამოკიდებული სამომხმარებლო კოოპერაციის განვითარების ბედი.

ამისათვის საჭიროა მუშაობის თავიდანვე განსაზღვრულ ჩარჩოებით შემოფარგვლა და მისი მტკიცედ ჩამოყალიბებულ, არსებულ მდგომარეობასთან და საკუთარ შესაძლებლობასთან შეთანხმებულ გეგმით წარმართვა. ერთ-ერთ ნაკლათ ჩვენი კოოპერატიულ ცენტრების წარსულ მუშაობაში უნდა ჩაითვალოს ფართე გეგმიანობა, რომელსაც კეთილი განზრახვა უფრო ედო საფუძვლად, ვიდრე ნივთიერი შესაძლებლობა.

რეალური, ცხოვრებასთან შეგუებული და, რაც [illegible] მიზანშეწონილი გეგმა,—აი რა უნდა დაისახოს მიზნად სამომხმარებლო კოოპერაციამ მომავალ მუშაობაში.

მეორე მხრივ, იყო წარსულში შემთხვევები, როცა სამომხმარებლო კოოპერაცია ხელს ჰკიდებდა ისეთ ოპერაციებს, რომელნიც არ ეხამებოდენ ამ კოოპერაციის პირდაპირ დანიშნულებას. ეს გარემოება, გარდა იმისა, რომ მას არევ-დარევა შეჰქონდა საქმეში და ფუნქციათა აღრევას იწვევდა, ნივთიერადაც საზარალო აღმოჩნდა ცეკავშირისათვის, და მან მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამომხმარებლო კოოპერაციის დეფიციტიანობას. ამიტომ მტკიცე გეგმიანობასთან, ფუნქციათა ჩამოყალიბებას მეორე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამომხმარებლო კოოპერაციის მომავალ მუშაობაში.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ცენტრისა და ადგილების ურთიერთ დამოკიდებულების საკითხს. განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ ანგარიშვალდებულიანობის საკითხი. თუ ცეკავშირი დღეს ასეთ მძიმე ფინანსიურ პირობებში იმყოფება, ეს რამდენადმე ადგილობრივ განყოფილებათა ცენტრისადმი დავალიანებითაც აიხსნება. ყოველივე ზომები უნდა იქნეს მიღებული საპაიო გადასახადის უკლებლივ ასაკრებათ. ეს საჭიროა არა მარტო ეკონომიური მოსაზრებით, არამედ კოოპერაციის მუშაობის გამოცოცხლების მიზნითაც.

უკანასკნელ ხანებში სამომხმარებლო კოოპერაციამ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ მშრომელი მასის გაერთიანების და ბაზრის დაპყრობის მხრივ. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ეს მიღწევები, როგორც წევრთა რიცხვობრივ ზრდის, ისე სავაჭრო ქსელის გაფართოების დარგში, უკან რჩებოდა მასის კოოპერატიულად აღზრდა-დარაზმვას, ისე, როგორც მოისუსტებდა გაფართოებულ სავაჭრო ქსელის ტეხნიკური ორგანიზაციის მხარე. შემდეგში აქ რაც შეიძლება მეტი ფხიანობის გამოჩენაა საჭირო, რომ რიცხვობრივ ზრდასთან ერთად ადგილი დაურჩეს თვისობრივ ზრდასაც.

ყრილობის მიერ მოცემულია დირექტივები, დასახულია მუშაობის მთავარი ხაზი. ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის განახლებული ხელმძღვანელი ორგანოები ადგილობრივ მუშაკებთან ერთად შესძლებენ ღირსეულად იმ მძიმე ამოცანების დაძლევას, რომელსაც მათ აკისრებს შექმნილი მდგომარეობა, და სამომხმარებლო [illegible] ლურ განვითარების გზაზე.

მუშების საწარმოო აღზრდა

ახლახან დასრულებულმა საქართველოს პროფკავშირთა ყრილობამ, სხვათა შორის, ყურადღება მიაქცია მუშების საწარმოო აღზრდას და ამ მხრივ კერძოდ საჭიროდ სცნო საწარმოო თათბირების მუშაობის გაძლიერება. მართლაც, საწარმოო თათბირები საუკეთესო სკოლაა მუშების საწარმოო აღზრდისათვის. მაგრამ უნდა ითქვას, რომ დღემდე მათ მუშაობაში მრავალ ნაკლულევანებას აქვს ადგილი. აქა-იქ სწორედ არ არის გაგებული საწარმოო თათბირების ამოცანები, მათი მუშაობის შინაარსი და ამ თათბირების შემადგენლობის შერჩევის საკითხიც.

საწარმოო თათბირების მთავარ ამოცანას შეადგენს მუშების საწარმოო მომზადება. საწარმოო თათბირების საშუალებით მუშა ეხმარება სამეურნეო მუშაკს წარმოების მუშაობის უკეთ მოწყობაში და თვითონაც ეჩვევა მეურნეობის გაძღოლას. მუშები ისმენენ წარმოების ხელმძღვანელთა მოხსენებებს მათი მუშაობის შესახებ და აყენებენ თავიანთ მოსაზრებებს ამ მუშაობაში მათ მიერ შემჩნეულ ნაკლულევანებების გამოსასწორებლად. წარმოების ხელმძღვანელი თავის მხრივ მხედველობაში იღებს მუშების ყველა საქმიან წინადადებას და ატარებს მათ ცხოვრებაში.

რა თქმა უნდა, სამეურნეო მუშაკისათვის სავალდებულო ვერ იქნება ყველა დადგენილება, გამოტანილი საწარმოო თათბირის მიერ. მით უმეტეს საწარმოო თათბირს არა აქვს უფლება გააუქმოს წარმოების მმართველობის ესა თუ ის გადაწყვეტილება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდებოდა საწარმოო თათბირების და სამეურნეო ადმინისტრაციის ფუნქციების აღრევა, პირველთა უშუალო ჩარევა უკანასკნელის მუშაობაში, რაც საქმეს უეჭველად ზიანს მოუტანდა, შეაფერხებდა საწარმოო პროცესის ნორმალურ მსვლელობას და ადმინისტრაციის პასუხისმგებლობას შეასუსტებდა. ეს დაუშვებელია, ეს ეწინააღმდეგება პარტიის ხაზს, რომელიც გულისხმობს მეურნეობის ერთპიროვნულ მმართველობას.

ამიტომ, ვიმეორებთ, წარმოების მმართველი ანხორციელებს საწარმოო თათბირების მხოლოდ საქმიან და მიზანშეწონილ წინადადებებს. ამავე დროს, ცხადია, სამეურნეო მუშაკებმა და პროფკავშირებმა უნდა განუმარტონ მუშებს, თუ რატომაა მიუღებელი საწარმოო თათბირების ესა თუ ის წინადადება, თუ რატომ არ შეიძლება. შეიძლება მათი შესრულება. კომუჯრედებმა, საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტებმა და წარმოებათა გამგეებმა უნდა იცოდენ, რომ საწარმოო თათბირები — სათათბირო ორგანოა, რომელიც ადმინისტრაციას ეხმარება წარმოების გაჯანსაღებაში და იგი მოკლებულია ადმინისტრატიულ უფლებებს.

როგორი უნდა იყოს საწარმოო თათბირების მუშაობის შინაარსი? მუშების საწარმოო აღზრდა უნდა ხდებოდეს ამა თუ იმ წარმოების ცხოვრების კონკრეტიულ ფაქტებსა და მაგალითებზე. არავითარი ღირებულება არ ექნება, თუ საწარმოო თათბირები თავის მსჯელობის საგნად გახდიან „საერთო" საკითხებს. იმის მაგივრად, რომ საწარმოო თათბირებზე ისმებოდეს მოხსენებები ნაკლულევანებებზე აღებულ წარმოების მუშაობიდან, ჩვენ არა იშვიათად ვხედავთ, რომ ისინი „მსოფლიო და საკავშირო მასშტაბით" საკითხებს ეხებიან. ამა თუ იმ წარმოებასა და ცეხში შრომის ორგანიზაციის, მასალის მიწოდების და სხვა საკითხების შესწავლა ბევრად უფრო მეტ სარგებლობას მოგვცემს, ვინემ მოხსენება მრეწველობის მდგომარეობის შესახებ, საერთოთ. საწარმოო თათბირების მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს, პირველ ყოვლისა, საქმიანი და ადგილობრივი მასალა. ამავე დროს, ცხადია, რომ მეურნეობის საერთო საკითხებიც შეიძლება და უნდა გახდენ საწარმოო თათბირების ყურადღების საგნად, მაგრამ ეს შემდეგ და თანდათანობით, ისიც ადგილობრივ საკითხებთან დაკავშირებით.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს საწარმოო თათბირების სწორ ორგანიზაციას. საწარმოო თათბირების მუშაკების შერჩევაში დაცული არ არის ერთი გარკვეული პრინციპი. ხშირად ისე ხდება, რომ საწარმოო თათბირები სდგებიან მოხალისე მუშებისაგან, და მათი შემადგენლობა, დამტკიცებული საფაბრიკო - საქარხნო კომიტეტის მიერ, ითვლება მუდმივად. მეორე შემთხვევაში თათბირების მუდმივ შემადგენლობას ირჩევენ მუშათა საერთო კრებაზე, რაც ზღუდავს მუშაობის მასიურ ხასიათს და მუშების ნებაყოფლობითი მონაწილეობას ამ თათბირებში. ბევრ ადგილას საწარმოო თათბირებს კიდევ მეტად ცვალებადი ხასიათი აქვთ.

საწარმოო თათბირების შემადგენლობის მოწესრიგების მხრივ ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო ახალ-ახალ მუშების ჩაბმას მათში, არამედ უფრო მათი ძველანდელი შემადგენლობის შესწავლას, იმის გამორკვევას, თუ ვისგან და როგორ სდგებიან საწარმოო თათბირები.

საწარმოო თათბირების მუშაობის გულდასმითი შესწავლა, მათი გამოცდილების განზოგადოება, მიღწევების განმტკიცება და შეცდომების გამოსწორება ხელს შეუწყობენ მუშათა მასების სამეურნეო აღზრდას, მათ გაწვრთნა-დახელოვნებას ქვეყნის მეურნეობის მართვისა და გაძღოლის საქმეში; საწარმოო თათბირები დაგვეხმარებიან მუშათა შრომის დისციპლინის და კვალიფიკაციის აწევაში, რასაც დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

X.

კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი

კამათი კომისიათა მოხსენებების გარშემო.—რეზოლიუციების მიღება

კომინტერნის აღმასკომის პოლიტიკური თეზისები ერთხმად იქნა მიღებული

ამხ. ზინოვიევის საბოლოო სიტყვა.—პლენუმის დახურვა

ემბერდროს მოხსენება ფრანგული კომისიის შესახებ

მოსკოვი, 16 მარტი. კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმის სხდომაზე 14 მარტს ემბერდრომ წაიკითხა მოხსენება ფრანგული კომისიის მუშაობის შესახებ.

ემბერდრო ამბობს, რომ იმ დროს, როდესაც კომინტერნის აღმასკომის პოლიტიკურ თეზისებში აღნიშნულია მარჯვნივ გადახრის საშიშროება საფრანგეთის პარტიაში, მუშაობის პროცესში კომისიას მოუხდა მემარცხენეების ძველი შეცდომების, კერძოთ, მათი საორგანიზაციო შეცდომების განხილვა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კომისიამ უარი სთქვა აღიარებინა მარჯვნივ გადახრის საფრთხე საფრანგეთის კომპარტიაში. კომისიამ მხოლოდ აღნიშნა შინაგანი კავშირი მემარცხენეების და მემარჯვენეების შეცდომებს შორის.

1925 წლ. დეკემბერში საფრანგეთის პარტიის საგანგებო კონფერენციამ გაბედულად აღიარა პარტიის შეცდომები, აღნიშნა და გამოასწორა მთავარი შეცდომები ერთიანი ფრონტის ტაქტიკის გატარებისა, პროფკავშირთა საკითხისა და შინაპარტიულ რეჟიმის დარგში, სადაც შემჩნეული იყო ზედმეტი მექანიზაცია.

ფრანგული კომისიის მიერ წარმოდგენილი რეზოლიუცია იწონებს და აღრმავებს ამ თვითკრიტიკის დასკვნებს. მარჯვნივ გადახრის დამახასიათებელია ჯერ ერთი ის, რომ შემარჯვენეები აკრიტიკებენ პარტიულ ხაზს და ყველაფერში ხედავენ დამარცხებას, ყველაფერს პესიმისტურად უცქერიან და მუშათა მასებში ურწმუნოებას აღვივებენ; მეორე, მემარჯვენეების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიული თვალსაზრისი ეროვნულ და კოლონიურ საკითხებში.

როგორც უკვე ზინოვიევმა აღნიშნა, მემარჯვენეები ილაშქრებდენ რიფფებთან დაძმობილების ლოზუნგის წინააღმდეგ იმ მოსაზრებით, რომ ფრანგები და რიფები ცივილიზაციის სხვადასხვა საფეხურზე დგანან.

მემარჯვენეების მესამე დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს მათი საქციელი პარტიის მიერ მაროკოს ომის წინააღმდეგ 24 საათის საპროტესტო გაფიცვის დროს. მემარჯვენეებმა საბოტაჟი გამოუცხადეს ამ კამპანიას.

საორგანიზაციო საკითხში გადახრა გამოაშკარავდა, უმთავრესად, პარტიის რეორგანიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაში საწარმოო უჯრედთა საფუძველზე.

ემბერდრო ამბობს, რომ მარჯვნივ გადახრა საფრანგეთის პარტიაში სრულიადაც არ ხდება რაიმე მთლიან იდეოლოგიურ საფუძველზე. გადახრის წარმომადგენლები არიან ერთის მხრივ ბურჟუაზიული ინტელიგენტები, მეორის მხრივ სინდიკალისტურ ჯგუფებთან დაკავშირებული ამხანაგები. სინდიკალისტური გადახრა უფრო საშიშია, რადგან იგი უარყოფს პარტიის როლს ბრძოლის გადამწყვეტ მომენტებში.

რაც შეეხება შინაპარტიული დისციპლინის საკითხს, რეზოლიუცია იმ ამხანაგებს, რომელნიც მონაწილეობას იღებდენ მემარჯვენეების ანტიპარტიულ გადახრაში, უყენებს ალტერნატივას: ან დაემორჩილონ პარტიულ დისციპლინას, ან გავიდენ პარტიიდან.

ემბერდრო იუწყება, რომ რეზოლიუცია თითქმის ერთხმად იქნა მიღებული ფრანგულ კომისიაში. წინააღმდეგ მისცა ხმა ბორდიგამ. ის თავი, რომელიც შეეხება მარჯვნივ გადახრის შეფასებას მიღებულია ხმების უმრავლესობით წინააღმდეგ ენილორის (საფრანგეთის პარტიის მემარჯვენე ფრთის წარმომადგენელი), ბორდიგამ თავი შეიკავა.

ემბერდრო წინადადებას აძლევს პლენუმს მიიღოს რეზოლიუცია.

ტრენის გამოსვლა

საფრანგეთის კომისიის მიერ წარმოდგენილ რეზოლიუციისათვის კენჭის ყრამდე ტრენმა წაიკითხა მოკლე განცხადება. მან აღნიშნა, რომ ხმას აძლევს რეზოლიუციას ზოგიერთი შენიშვნით. ის არ ეთანხმება მხოლოდ იმ პუნქტს, სადაც ლაპარაკია ტრენის ტენდენციაზე, წამოყენებული იქნას [illegible] სამოქალაქო ომად გადაქცევის შესახებ.

ტრენი აღნიშნავს, რომ მას არ წამოუყენებია ამგვარი ლოზუნგი.

„ამგვარათ—ამბობს ტრენი — რეზოლიუცია მაწერს შეცდომას, რომელიც მე არ ჩამიდენია. დანარჩენში სავსებით ვეთანხმები რეზოლიუციას".

ტრენის განცხადების შემდეგ პლენუმი ხმების უმრავლესობით წინააღმდეგ ბორდიგისა, იღებს საფრანგეთის კომისიის მიერ წარმოდგენილ რეზოლიუციას.

ბუხარინის მოხსენება გერმანიის კომისიის შესახებ

ბუხარინი აკეთებს მოხსენებას გერმანული კომისიის მუშაობის შესახებ.

რეზოლიუციის პროექტის განხილვის დროს კომისიაში ზოგიერთი ამხანაგი ილაშქრებდა ამ პროექტის წინააღმდეგ. პრინციპიალურ ოპოზიციაში, რა თქმა უნდა, იმყოფებოდა ბორდიგა. მან განაცხადა, რომ ეთანხმება გერმანიის მდგომარეობის პოლიტიკურ და ეკონომიურ ანალიზს, მაგრამ ფიქრობს, რომ რეზოლიუციაში მოცემული ტაქტიკური ხაზი არ შეეფერება ამ ანალიზს. ბორდიგა აღნიშნავდა, რომ სოციალ-დემოკრატიულ და უპარტიო მუშებს შორის შემჩნეულია მარცხნივ გადახრა. შემდეგ ბორდიგას აზრით არ არის სწორი მუშაობის შინაპარტიული მეთოდები, რომელზედაც პროექტშია ლაპარაკი. ის ფიქრობს, რომ წარმოდგენილი რეზოლიუციის პროექტი იდეოლოგიურად „აფრთხობს" მუშებს. ბუხარინი ამბობს, რომ რეზოლიუციაში გარკვეულია საზღვარი მემარცხენე მუშებსა და ულტრა-მემარცხენე ლიდერებს შორის და საჭიროთაა ცნობილი პარტიულ მუშების ამ ნაწილის გადარწმუნება. ამიტომ ბორდიგას შენიშვნა სასაცილოა.

მცირეოდენი კამათი გვქონდა კომისიაში ერნსტ მეიერთან, რომელიც მოითხოვდა რეზოლიუციის შესავალ ნაწილში აღგვენიშნა კაპიტალიზმის სტაბილიზაცია. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ამის შესახებ ნათქვამია პოლიტიკურ რეზოლიუციაში, აქ კი აღნიშნული უნდა იყოს გერმანიის სიტუაციის სპეციფიური მომენტები. ასეთ სპეციფიურ მომენტს წარმოადგენს მწვავე ეკონომიური კრიზისი. ამიტომ ჩვენ უარვყავით მეიერის წინადადება, რომელიც თითქოს ამტკიცებს, რომ მეიერის ჯგუფი საკმარისად ვერ აფასებს ამ კრიზისს.

კომისიის უკანასკნელ სხდომაზე შოლემ-როზენბერგ-კონრადის ჯგუფი გაითიშა. როზენბერგმა და კონკრადმა ხმა მისცეს რეზოლიუციას. შოლემმა კი არა. შოლემი ასაბუთებდა თავის „გმირობას" იმით, რომ მთელი რეზოლიუცია მიმართულია მემარცხენეების წინააღმდეგ. შოლემი აცხადებდა, რომ კავშირი გასწყვიტა ულტრა-მემარცხენეებთან, მაგრამ მეორეს მხრივ, ამბობდა, რომ უსინდისო იქნებოდა თუ თავის წარსულს დაჰგმობდა.

კომისიამ მიიღო რეზოლიუცია ხმების დიდი უმრავლესობით ბორდიგას წინააღმდეგ. ურბანსმა და ენგელმა, რომელთაც ჰქონდათ მხოლოდ სათათბირო ხმის უფლება, განაცხადეს, რომ წინააღმდეგ მისცემდენ ხმას.

სხვადასხვა ამხანაგების პოზიციის გამოსარკვევად ბუხარინი წინადადებას იძლევა გაიმართოს კამათი გერმანიის რეზოლიუციის გარშემო.

ბორდიგას სიტყვა

ბორდიგა აღნიშნავს, რომ მისი აზრით, ბუხარინი არ იყო მართალი, როცა ლაპარაკობდა, რომ ეს რეზოლიუცია შეიცავს იდეოლოგიურ ბრძოლის საუკეთესო მეთოდებს, რომელიც უნდა გამოიყენოს კომპარტიამ.

გერმანიის კომპარტიის რამდენიმე დამარცხების შემდეგ, რაც გამოწვეული იყო მემარჯვენეების შეცდომით, გერმანიის მუშათა კლასმა გამოამჟღავნა თავისი პოლიტიკური შეგნება. გერმანიის პროლეტარიატის პოლიტიკური შეგნება უნდა იქნას წაქეზებული ფართო დისკუსიის გამართვით.

მხოლოდ ასეთი დისკუსია იქნება, ბორდიგას აზრით, სასარგებლო და ნაყოფიერი. რომელსაც ამჟამად კომინტერნი ანხორციელებს, ბორდიგა მიზანშეუწონლად სთვლის. პარტიის ყოველი წევრი, რომელიც არ ეთანხმება კომინტერნის ხაზს, დაუყოვნებლივ ცხადდება ბოლშევიზმის და საბჭოთა კავშირის მტრად. ამით, ამბობს ბორდიგა—ჩვენ ზიანს ვაყენებთ იმ პოპულიარობას, რომლითაც სარგებლობს დღეს საბჭოთა კავშირი საერთაშორისო პროლეტარიატში.

უმნიშვნელო საკითხში შემჩნეულ უთანხმოების დროს არ შეიძლება დავაყენოთ საკითხი ამა თუ იმ ამხანაგის ანტი-ბოლშევიზმის და ანტი-კომუნიზმის შესახებ. „იდეოლოგიურ ტერორი"-ს ამგვარი მეთოდები, ორატორის აზრით, ზიანს მიაყენებს საკითხის სერიოზულ შესწავლას. პოლემიკის ის მეთოდები, რომლითაც კომინტერნის აღმასკომი სარგებლობს, საზიანოა, რადგან ზოგადი საკითხების დაყენება დაკავშირებულია ამა თუ იმ პიროვნების მორალურ დაგმობასთან. ჩვენი დისკუსია უნდა დავაყენოთ უფრო სერიოზულ ნიადაგზე.

ბორდიგა მოუწოდებს ყველა კომპარტიებს ფრთხილად მოეპყრან იმ ურთიერთობას, რომელიც არსებობს ამჟამად საბჭოთა კავშირსა და საერთაშორისო პროლეტარიატს შორის.

შოლემის სიტყვა

ბორდიგას შემდეგ სიტყვას ამბობს გერმანიის კომპარტიის ულტრა-მემარცხენე ფრთის წარმომადგენელი შოლემი.

„მოტივები, რომლითაც მე იძულებული ვარ უარვყო წარმოდგენილი რეზოლიუცია, შემდეგია: სწორი არ არის იმის თქმა, რომ ულტრა-მემარცხენეებმა თავის დროზე ვერ შესძლეს გაეთვალისწინებინათ განვითარების ახალი ფაზისი და ამის გამო სარგებლობდენ ძველი მეთოდებით სრულიად ახალი სიტუაციის დროს. რეზოლიუცია აღნიშნავს ულტრა-მემარცხენე იდეოლოგიის დახავსებულ, თითქმის სოციალ - დემოკრატიულ ფრთას. ეს სწორია კაცის ლიკვიდატორულ ტენდენციების მიმართ და არა ყველა ულტრა-მემარცხენეების მიმართ.

იგივე უნდა ითქვას რეზოლიუციის იმ მუხლის შესახებ, რომელშიაც ნათქვამია, რომ ულტრა-მემარცხენე მიმდინარეობა წარმოადგენდა დაბრკოლებას მასების დაპყრობისათვის. დაბრკოლება იყო მემარჯვენე საშიშროება, რომელიც რჩება უმთავრეს საშიშროებად.

ურბანსის სიტყვა

შოლემის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ურბანსმა, რომელმაც მასლოვსკის (ბერლინი), [illegible] (კომკავშირის ჰამბურგის ორგანიზაცია), რუტ-ფიშერის და თავისი სახელით გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება:

„ჩვენ, ისევე როგორც კომინტერნის აღმასკომის უმრავლესობა, სავსებით ვიზიარებთ ზინოვიევის მოხსენებას და თეზისებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ [illegible] განხორციელების წინასწარ პირობას უნდა წარმოადგენდეს გერმანიის კომპარტიის კრიზისის მოგვარება. ოპორტიუნისტული მემარჯვენე საფრთხე რჩება უმთავრეს საშიშროებათ. თუ ჩვენ მუდმივ ენერგიული ბრძოლა არ ვაწარმოეთ ამ საფრთხის წინააღმდეგ, პარტია დაჰკარგავს თავის რევოლიუციონურ ხასიათს. საჭიროა ბრძოლა კაცის ჯგუფის წინააღმდეგ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, ულტრა-მემარცხენე მუშების მომხრობა შეიძლება მხოლოდ მემარჯვენეების წინააღმდეგ ბრძოლით.

პარტიის გასაჯანსაღებლად საჭიროა ისეთი ხელმძღვანელობა, რომელსაც ნდობით მოეპყრობა მთელი პარტიული მასა. საჭიროა გარკვეულობა შევიტანოთ სადაო პოლიტიკურ საკითხებში. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ ფართო თავისუფალ დისკუსიის საშუალებით, რაც უნდა დამთავრდეს შემარიგებელ პარტიულ ყრილობის მოწვევით.

შემდეგ ურბანსმა პროტესტი განაცხადა სტალინის განცხადების წინააღმდეგ, რომ ბორდიგა პატიოსანი ოპოზიციონერია, რომელიც ყოველთვის ამბობს იმას, რასაც ფიქრობს, ხოლო რუტ ფიშერი არ არის გულწრფელი და ვერ დაუჯერებთ მის სიტყვებსო.

უკანასკნელი სხდომა

მოსკოვი, 16 მარტი. 15 მარტს შესდგა კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმის საბოლოო სხდომა.

გერმანიის რეზოლიუციის პროექტის გარშემო გამართულ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ამხანაგებმა: ერკოდიმ (იტალია), დოროომ (ამერიკა), ბორდიგამ (იტალია), პეპპერმა (კომინტერნის აღმასკომი); სემარმა (საფრანგეთი), ჩილბუმმა (შვეცია), ლომინაძემ (საკავშირო კომპარტია), კუუსინენმა (კომინტერნის აღმასკომი), მანუილსკიმ (საკავშირო კომპარტია), ოგნიანოვიჩმა (სამხრეთ-სლავია), დამიტროვმა (პოლონეთი), ტელმანმა (გერმანია).

შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოვიდა ბუხარინი. **რეზოლიუცია გერმანიის შესახებ მიღებულ იქნა ერთხმად, ბორდიგას (იტალია) და განსენის (ნორვეგია) გამოკლებით.**

რუტ ფიშერს, ურბანს და შოლემს სათათბირო ხმა ჰქონდათ და არ შეეძლოთ მონაწილეობის მიღება კენჭის ყრაში, მაგრამ მათ განაცხადეს, რომ ისინი ხმას რეზოლიუციის წინააღმდეგ მისცემდენ.

შემდეგ პლენუმმა მოისმინა ფერგიუსონის მოხსენება ამერიკის კომისიის მუშაობის შესახებ და ამერიკის კომპარტიის უმრავლესობის და უმცირესობის წარმომადგენელთა მოხსენებები. რეზოლიუცია ამერიკის საკითხის შესახებ ერთხმად იქნა მიღებული.

შემდეგ კენჭი უყარეს კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის პოლიტიკურ თეზისებს, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული.

ზინოვიევმა წარმოსთქვა საბოლოო სიტყვა, რის შემდეგ პლენუმი დაიხურა.

საბჭოთა პრესა

უმოკლესი გზით

ჩვენ რამოდენიმეჯერ უკვე აღვნიშნეთ, თუ რა ზომები უნდა იქნეს მიღებული საცალო ფასების დაკლებისათვის. რაც რთული არ უნდა იყოს ეს ამოცანა, მისი გადაჭრა შესაძლებელია, თუ სახელმწიფო ვაჭრობა და კოოპერაცია, რომელთა ქსელით მოფენილია ქვეყანა და რომლითაც სახელმწიფო მრავალ შეღავათს ანიჭებს კერძო კაპიტალთან შედარებით, გამოიჩენენ სათანადო ენერგიას და მიზანშეწონილი მოქმედების უნარს. მრეწველობისა და კოოპერაციის შორის მჭიდრო კავშირის დამყარება, სავაჭრო აპარატის გაჯანსაღება, ზედნადები ხარჯების უკიდურესობამდე შემცირება და სასტიკი მომჭირნეობის დაცვა—ასეთია საქონლის გაიაფების საშუალებანი. ამასთან საცალო ფასების დაკლებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქონლის გამტარებელ სისტემის გაჯანსაღებას. დღეს ისეთი მდგომარეობაა, როცა ფაბრიკა-ქარხნიდან გამოსულმა საქონელმა, სანამ იგი მომხმარებლამდე მიაღწევდეს, უნდა გაიაროს მთელი რიგი სავაჭრო ინსტანციები, რის გამო იგი მეტად ძვირდება.

„გარდა იმ სავაჭრო პროცენტისა—წერს „ტორგოვო - პრომიშლენნაია გაზეტა", რომელსაც საქონელზე ადებს თვითეული ორგანიზაცია, სადაც ეს საქონელი გადის, საშუამავლო ინსტანციების სიმრავლე იწვევს ზედმეტ ხარჯებს, როგორიცაა: ხარჯები ხელშეკრულებათა დასადებათ, გამათანასწორებელი გადასახადი ზედმეტი აპარატის შენახვა, ზედმეტ ინსტანციებში დუბლიკატების დატარებასთან დაკავშირებული საქონლის [illegible], სათამასუქო გადასახადი.

საშუამავლო ინსტანციების სიმრავლე ნთქავს იმ შეღავათების საგრძნობ ნაწილს, რომელთაც სახელმწიფო ვაჭრობა აძლევს თავის კონტრ-აგენტებს საქონლის კრედიტის მხრივ; და ამავე დროს აიძულებს სავაჭრობას, თავის ინტერესების საზიანოდ, გაადიდოს კრედიტის ვადები. სრულებით ნათელია გადაჭრილი ზომების აუცილებლობა საქონლის გამტარებელ ქსელის გასამარტივებლად და შესამცირებლად; არავითარი მოსაზრებით არ შეიძლება დამტკიცებულ იქნეს სახელმწიფო მრეწველობიდან მომხმარებლამდე საქონლის ზედმეტ სავაჭრო ინსტანციებში გატარების საჭიროება.

შეუძლებელია დაშვებულ იქნას, რომ ფართე მომხმარებელ მასების ინტერესები, მუშის და გლეხის სყიდვითი ძალა ეწირებოდეს ამა თუ იმ ცუდად მომუშავე ორგანიზაციას მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი არსებობს.

უნდა იქნას აღმოფხვრილი ყველა დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის საქონლის გაიაფებას, ართულებს მის მიღწევას მომხმარებლამდე. საქონლის გამტარებელ ქსელის თვითეულმა რგოლმა უნდა დაამტკიცოს, უფლება თავის არსებობაზე, უნდა დაამტკიცოს, რომ მისი მუშაობა ხელს უწყობს საქონლის გაიაფებას და არა გაძვირებას".

ჩვენ ვიცით, რომ არსებობს მრავალი ისეთი ინსტანცია როგორც სახელმწიფო-სავაჭრო, ისე კოოპერატიული, რომლებშიც საქონლის გატარება სავალდებულოა, მაგრამ ამავე დროს ეს სრულებით არ არის აუცილებელი და მიზანშეწონილი და მხოლოდ ხელს უწყობს ზედნართი ხარჯების ზრდას, საქონლის გაძვირებას, საქონლის ტრიალის გართულება-გაჭიანურებას. ჩვენი ამოცანაა: საქონელი საბჭოთა ფაბრიკა-ქარხნიდან უმოკლესი გზით მომხმარებლისაკენ. ამიტომ უნდა იქნეს გადასინჯული საქონლის გამტარებელი ქსელი და აცილებული ზედნართი საშუამავლო სავაჭრო ინსტანციები. ცეკავშირის ახლანდელმა ყრილობამ ამ გარემოებასაც უნდა მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

მოელიან საბჭოთა კავშირის ინიციატივას

ლონდონი, 15 მარტი. ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის სავაჭრო ურთიერთობისათვის ხელის შეწყობის შესახებ შეკითხვაზე საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ლოკკერ ლემპსონმა თემთა პალატაში განაცხადა შემდეგი:

„ამას წინეთ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობის აზრით ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის აღდგენის ინიციატივა უნდა მომდინარეობდეს ეხლა თვით საბჭოთა კავშირში.

რუსულ კანაფის შესყიდვა ფორდის მიერ

ნიუ-იორკი, 15 მარტი. ფორდის საავტომობილო კამპანიამ ამას წინეთ საბჭოთა კავშირში შეიძინა 40 ტონა კანაფი. ეს შესყიდვა არის პირველი ცდა. ფორდს განზრახვა აქვს, ავტომობილების ჩარდახი მოამზადოს კანაფისა და ბამბის ნარევიდან. თუ რუსეთის კანაფი გამოდგა ამ დანიშნულებაზე, მოსალოდნელია შემდეგი შეკვეთანი.

ამავე დროს ფორდს განზრახვა აქვს, წააქეზოს კანაფის კულტურა შეერთებულ შტატებში და კანადაში, რაც უნდა გამოიყენოს თავისი წარმოებისათვის.

ფრანგ კომუნისტების გამარჯვება

პარიზი, 15 მარტი. დამატებითი საპარლამენტო არჩევნები პარიზის მეორე რაიონში ყველას აზრით წარმოადგენს მემარცხენე ბლოკის დამარცხებას და კომუნისტების გამარჯვებას. წარსულ არჩევნებთან შედარებით ნაციონალურმა ბლოკმა ისევ მიიღო ხმების 24 პროც. კომუნისტებმა 34 პროც. ნაცვლად 27 პროც., მემარცხენე ბლოკმა—23 პროც. ნაცვლად 30 პროც.

ინგლისში

ინგლისის არმიის მანევრები აღარ მოხდება

ლონდონი, 15 მარტი. მიმდინარე წელს ინგლისის არმიის საერთო მანევრები აღარ მოხდება. ამის მაგიერ აგვისტოში ან სექტემბერში გაიმართება რეგულიარული ჯარის ცალკე დივიზიების საველე მეცადინეობა, რომელიც გაგრძელდება 3 კვირას.

კონსერვატორები დაბადებიდანვე

ლონდონი, 15 მარტი. კონსერვატიული პარტიის ზოგიერთი ორგანიზაცია აყენებს პროექტს, რომლის მიხედვით კონსერვატორების ბავშვები პარტიაში უნდა ჩაიწერონ დაბადების დღიდანვე.

„სენდეი უორკერის" იუბილე

ლონდონი, 15 მარტი. „სენდეი უორკერმა", ერთად-ერთმა კვირის მუშათა გაზეთმა ინგლისში, ამ დღეებში იდღესასწაულა თავისი გამოცემის პირველი წლის თავი.

ამ შემთხვევისათვის გამოვიდა 16 გვერდიანი სპეციალური ნომერი, რომლის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს მუშათა მოძრაობის გამოჩენილმა მოღვაწეებმა.

გაზეთის ტირაჟი ამჟამად აღწევს 85.000-დე და თანდათან იზრდება.

ჟენევაში მდგომარეობა უცვლელია

კომპრომისის იმედი

პარიზი, 15 მარტი. საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში იმედი აქვთ, რომ ერთა ლიგაში დაწყებული კონფლიქტი მოგვარებულ იქნება კომპრომისის საშუალებით. მემარჯვენეები ილაშქრებენ ბრიანის წინააღმდეგ და ბრალს სდებენ მას იმაში, რომ ვერ გაითვალისწინა მის მიერ დაყენებული საშიშარი თამაშის შედეგები.

რადიკალები შეშინებული არიან მემარჯვენეთა იერიშებით ბრიანზე და მოუწოდებენ მემარცხენე პარტიებს შემოკრბენ იმ პოლიტიკის დასაცავად, რომელიც დაიწყო მემარცხენე ბლოკმა.

ბელგიის პოზიცია

პარიზი, 15 მარტი. ოფიციალური ორგანოს „აჟანს ბელჟის" წარმომადგენელთან საუბარში, ვანდერველდემ განაცხადა, რომ ბელგიის მთავრობამ გაილაშქრა მეორე ხარისხოვანი სახელმწიფოებისათვის ერთა ლიგის საბჭოში მუდმივი ადგილის მიცემის წინააღმდეგ.

ბრაზილია იმუქრება, ჩეხოსლოვაკია დათმობაზე მიდის

პარიზი, 15 მარტი. ჟენევიდამ იუწყებიან, რომ ბრაზილია წინანდებურად იმუქრება, რომ წავა ლიგის საბჭოში გერმანიის დაშვების წინააღმდეგ, თუ უკანასკნელი წინააღმდეგი იქნება ბრაზილიასაც მიეცეს მუდმივი ადგილი. ანტანტის დელეგატების მოთხოვნით ბრაზილიის დელეგატმა თავის მთავრობას მოსთხოვა ინსტრუქციები.

ბენეშმა განაცხადა, რომ ჩეხოსლოვაკია მზად არის შვეციასთან ერთად უარი სთქვას თავის ადგილზე ლიგის საბჭოში, რათა საშუალება მიეცეს საბჭოს თავის განკარგულებაში იქონიოს დროებითი ადგილები.

კონფლიქტის მოსაგვარებლად

რომი, 15 მარტი. ოფიციალური გაზეთის „ტევერეს" ცნობით, ბრიანმა თითქოს განაცხადა, რომ კონფლიქტის მოგვარების მიზნით მან და ჩემბერლენმა მისცეს წინადადება მისთვის ახალშენების ნაწილის დაბრუნების შესახებ.

საბჭოთა კავშირის ეჭვი მართლდება

ლონდონი, 15 მარტი. ეხება რა ერთა ლიგაში შექმნილ მდგომარეობას, ლიბერალური „ვესტმინსტერ გაზეთი" სწერს:

„ეხლა სავსებით მართლდება საბჭოთა კავშირის მიერ გამოთქმული ეჭვი ლოკარნოს და ერთა ლიგის შესახებ".

გაზეთი დასძენს, რომ როგორიც არ უნდა იქნეს კრიზისის ბოლო „ერთა ლიგის ქრილობის მოშუშებას მა[illegible] ხანი მოუნდება".

„ლიგის იდეის გადასარჩენად"

ბერლინი, 16 მარტი. შვეიცარიის ტელეგრაფის სააგენტოს ცნობით, ერთა ლიგის საბჭოს კრიზისი მალე დამთავრდება.

სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობით, შვეცია უარს იტყვის თავის დროებით ადგილზე ლიგის საბჭოში, რის გამო შესაძლებელი გახდება პოლონეთის წარმომადგენლის არჩევა საბჭოში.

პოლონეთის წრეებში საკითხის ასეთ გადაწყვეტას ერთა ლიგისა და პოლონეთისათვის დამამცირებლად სთვლიან, მაგრამ, იმავე დროს, ფიქრობენ, რომ მოსალოდნელია ის განხორციელებულ იქნეს.

გერმანიის მთავრობის პრესის აზრით, შვეცია, ალბად, გარეშე ზეგავლენით ამბობს უარს თავის ადგილზე საბჭოში ერთა ლიგის იდეის გადასარჩენათ. მეორეს მხრივ სოციალისტებმა პოლ ბონკურმა და ალბერტ ტომამ მოახდინეს გავლენა შვეციის გარეშე საქმეთა მინისტრზე სოც.-დემოკრ. უნდენზე.

გერმანიის პოლიტიკურ წრეებში აცხადებენ, რომ თუმცა ლიგის საბჭოში შვეციის მაგიერ პოლონეთის შესვლა არ არის სასურველი გერმანიის ინტერესების თვალსაზრისით, მაგრამ, რამდენათაც გერმანია იბრძოდა მხოლოდ ლიგის საბჭოს ადგილების რიცხვის გადიდების წინააღმდეგ, მან აღარ უნდა განაცხადოს პროტესტი საბჭოს წევრების შემადგენლობის ამა თუ იმ ცვლილების წინააღმდეგ.

გერმანიის გაზეთები იძულებული ხდებიან თანდათან შეურიგდნენ პოლონეთისათვის ლიგის საბჭოში ადგილის მიცემას.

ინგლისის პრესა კრიზისის შესახებ

ლონდონი, 16 მარტი. ერთა ლიგის კრიზისს ყველა გაზეთები პესიმისტურად შეხვდენ.

„ობსერვერი" სწერს, რომ ერთა ლიგამ სახელი გაიტეხა.

„თუ—ამბობს გაზეთი—ერთა ლიგას მეტის გაკეთება არ შეუძლია, მას დაღუპვა მოელის.

„სენდეი ტაიმსი" ერთა ლიგის კრიზისის გამო ათავსებს „ტაიმსის" ყოფილი რედაქტორის, ინგლისის ცნობილი ჟურნალისტის, სტიდის წერილს. წერილის სათაურია: „რა იხსნის მსოფლიოს შეიარაღების შეჯიბრისაგან, რომელიც ნიადაგს უმზადებს ახალ ომებს".

„სენდეი ექსპრესი" სწერს, რომ „მსოფლიო ომამდე არსებული მტრული ჯგუფები განახლდენ უფრო საშიშარი ფორმით. სახელმწიფოები ბრმად მიდიან საბოლოო კატასტროფისაკენ".

„დეილი ექსპრესი" ლიგის კრიზისს ახასიათებს შემდეგი სიტყვებით: „ქვეყანა ისევ უფსკრულისაკენ მიექანება".

ლენსბერიმ მიტინგზე განაცხადა, რომ ევროპა, ეჭვს გარეშეა, დაუბრუნდა იმ მტრულად განწყობილ ჯგუფების ინტრიგებს, რომელთაც გამოიწვიეს მსოფლიო ომი.

კლაინსმა მეორე მიტინგზე ასეთივე აზრი გამოსთქვა.

პროფინტერნის ცენტრალურ საბჭოს სესია

მოსკოვი, 16 მარტი. პროფინტერნის ცენტრალურ საბჭოს სესიაზე 14 მარტს იაპონიის პროფმოძრაობის შესახებ მოხსენება გააკეთა **ტაკიხარამ.**

კამათში ტაკიხარას მოხსენების [illegible]

რეზოლიუციები

15 მარტს პროფინტერნის ცენტრალურ საბჭოს [illegible]

[illegible] საბჭოს მიერ.

გაცხოველებული კამათი გამოიწვია კომისიის მოხსენებამ ჩეხო-სლოვაკიის საკითხის შესახებ.

ერთხმად მიღებულ იქნა [illegible]

ამხ. ლოზოვსკის საბოლოო სიტყვა

[illegible]

„კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა გადავიდა

ახალ ბინაზე (რუსთ. პრ. № 34)

ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობა

ინციდენტი ტაკუში

პეკინი, 15 მარტი. ჩინეთის წრეებში იაპონიის ნაღმოსნებიდან ტაკუს ნავთსადგურისათვის ყუმბარების დაშენას სთვლიან არა გაუგებრობათ, როგორც იაპონელები ირწმუნებიან, არამედ მუკდენის ჯარების დახმარებათ.

იაპონიის მთავრობა გრძნობს, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს ჩინეთის ხალხში მტრული გრძნობების გაღვივება და ჩინეთის მთავრობას გაუგზავნა ზომიერი ნოტა, რომელშიაც მაინც ფარული მუქარა არის. ნოტაში გამოთქმულია იაპონიის თვალსაზრისი სროლის გამომწვევი გარემოების შესახებ და აღნიშნულია, რომ იაპონიის ნაღმოსნები ისროდენ თავდაცვის მიზნით.

„ამ ინციდენტს, ნათქვამია ნოტაში, შეუძლია გამოიწვიოს უაღრესად სერიოზული შედეგები. იაპონიის ელჩი იტოვებს უფლებას პირველ შეძლებისთანავე შეიტანოს წინადადება სამწუხარო ინციდენტის მოსაწესრიგებლად და მოითხოვს, რომ ჩინეთის მთავრობამ სამხედრო ხელისუფლებას მისცეს ინსტრუქციები ასეთი სამწუხარო შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

ჩინეთის მთავრობის აზრით კი **ინციდენტი გამოიწვია იმან, რომ იაპონელთა ნაღმოსნებმა დაარღვიეს შეთანხმება ტაკუს ნავთსადგურში ნაღმოსნების გავლის შესახებ.** ჩინეთის მთავრობის მიერ მიღებული ცნობით იაპონიის ნაღმოსნების რიცხვი, რომლებიც ცდილობდენ ნავთსადგურში შესვლას, აღემატებოდა შეთანხმებაში დაწესებულ რაოდენობას. ამან გამოიწვია ექვი გარნიზონში და უკანასკნელმა გასაფრთხილებლად ჰაერში გაისროლა, რაზედაც იაპონიის გემებმა უპასუხეს გრანატების სროლით.

ჩინეთის მთავრობამ იაპონიის ელჩს გაუგზავნა ნოტა, რომელშიაც ის გამოსთქვამს ამ თვალსაზრისს და პროტესტს აცხადებს.

საპროტესტო მიტინგი

პეკინი, 15 მარტი. ჩინეთის საზოგადოებრივი აზრი ძალიან აღშფოთებულია ტაკუში მომხდარ ინციდენტით და ენერგიულ პროტესტს აცხადებს. 14 მარტს სუნ-იატ-სენის პატივსაცემად დანიშნულ დღესასწაულის უკანასკნელ დღეს ყოფილ იმპერატორის სასახლეში გაიმართა მასიური საპროტესტო მიტინგი იაპონიის მიერ ინტერვენციის ცდის წინააღმდეგ. მიტინგზე მონაწილეობა მიიღეს პეკინის მოსახლეობის ფართო მასებმა.

მიტინგს თავმჯდომარეობდა გომინდანის ცეკას წევრი იუ-შუ-ტე. რომელმაც უშუალოდ მიმართა დამსწრეებს თხოვნით გამოეთქვათ თავიანთი აზრი. მიტინგმა ერთხმად, ენერგიულად დაიძახა: **„ძირს იაპონიის იმპერიალიზმი“.**

მიტინგზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც იაპონელებს პროტესტს უცხადებს მუკდენელებისათვის დახმარების გამო და მოითხოვს, რომ პეჩილიის ყურედან იაპონიის სამხედრო გემები დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნენ და იაპონიის ყველა ჯარებმა დაუყოვნებლივ საბოლოოდ დასცალონ ჩინეთის ტერიტორია.

გარდა ამისა რეზოლიუცია მოითხოვს, რომ იაპონიის მთავრობამ ბოდიში მოიხადოს და შესწყვიტოს მუკდენელების დახმარება. თუ იაპონია არ დაემორჩილა ამ მოთხოვნილებებს, რეზოლიუცია მოითხოვს იაპონიის ელჩის გაძევებას ჩინეთიდან.

დამსწრეებმა გარდა ამისა დაადგინეს: მოუწოდონ ჩინეთის მთელს მოსახლეობას გამოუცხადოს ბოიკოტი გამოუცხადონ იაპონელებს და სთხოვონ კანტონის მთავრობას, რათა მან დახმარება გაუწიოს სახალხო არმიას მის ბრძოლაში იაპონიის წინააღმდეგ და მოსთხოვონ, რომ ჩინეთის მთავრობამ იაპონიის მთავრობასთან მოლაპარაკება აწარმოოს იმ პირობებში, რომელიც მიტინგზე გამოტანილ რეზოლიუციაშია აღნიშნული.

გაფრთხილების ნოტა

პეკინი, 15 მარტი. პეკინის დიპლომატიურმა დელეგაციამ გაუგზავნა იაპონიის ელჩს გაფრთხილების ნოტა ტაკუში მომხდარ ინციდენტის გამო. დელეგაცია ხსნის ამ ინციდენტს იაპონიის იმპერიალიზმის აღმაშფოთებელ ინტრიგებით ჩინეთში და აცხადებს: „თავის დროზე იაპონიამ გაგზავნა ჯარები მანჯურიაში ჩან-ძო-ლინის დასახმარებლად და გო-სუნ-ლინის გასანადგურებლათ. ეხლა იაპონია დიპლომატიურ კორპუსთან ერთად ილაშქრებს ჩინეთის წინააღმდეგ. **იაპონია ამზადებს შეთქმულებას სახალხო არმიის წინააღმდეგ ჩინეთის გასანადგურებლად.**

ამგვარივე გაფრთხილება გაუგზავნა დელეგაციამ იაპონიის მთავრობას და პარლამენტს.

ულტიმატუმის საპასუხოთ—მასიური ეროვნული მოძრაობა

პეკინი, 15 მარტი. გავრცელებულ ხმების თანახმად, სახელმწიფოებს განზრახული აქვთ გაუგზავნონ ჩინეთის მთავრობას საერთო ულტიმატუმი ტაკუს ნავთსადგურის დაუყოვნებლივ გახსნის შესახებ.

ჩინეთის წრეების აზრით უცხო სახელმწიფოების ყოველგვარი ცდა გამოიყენონ ტაკუში მომხდარი ინციდენტი ინტერვენციისათვის, გამოიწვევს მასიურ ეროვნულ მოძრაობის განვითარებას.

სუნ-იატ-სენის გარდაცვალების წლის თავზე.

პეკინი, 15 მარტი. სუნ-იატ-სენის გარდაცვალების წლის თავის მესამე დღეს ზეიმში მონაწილეობა მიიღო ნახევარ მილიონზე მეტმა კაცმა. დღესასწაულზე გამოცხადდენ სახალხო არმიის წარმომადგენლები. 3 დღის განმავლობაში გომინდანმა პეკინში 3.000 წევრი შეიკრიბა.

ტიან-ძინში სუნ-იატ-სენის ხსოვნის აღსანიშნავ დღესასწაულს აგრეთვე მასიური ხასიათი ჰქონდა. ქალაქის ჩინური ნაწილში ქუჩები მორთული იყო გომინდანის დროშებით და სუნ-იატ-სენის სურათებით. 3 დღის განმავლობაში ყველაზე დიდი თეატრი გაჭედილი იყო ხალხით, უმთავრესად, მუშებით; დღესასწაულში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ქალებმა და ჯარისკაცებმა. ტიან-ძინში გომინდანმა თავი მოუყარა 2.000 წევრს.

ჩინეთის რკინისგზელების მისალმება

პეკინი, 15 მარტი. საბჭოთა კავშირის რკინისგზელთა კავშირის მე-8 ყრილობის მიმართვის საპასუხოთ სრულიად ჩინეთის რკინისგზელთა ფედერაციამ გაგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„მივიღეთ თქვენი მიპატიჟება საბჭ. კავშირის ყრილობაზე. ჩვენ გიცხადებთ ულრმეს მადლობას და ვწუხვართ, რომ საშუალება არა გვაქვს მივიღოთ მონაწილეობა, რადგან არ შეგვიძლია თავის დროზე ჩამოსვლა. ჩინეთის ყველა რკინისგზელების სახელით, ჩვენ სულით და გულით ვესალმებით საბჭოთა კავშირის მოძმე პროლეტარებს და გამოვსთქვამთ იმედს, რომ თქვენი ყრილობა ხელს შეუწყობს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს და ჩაგრულ მასების, საბოლოოდ განთავისუფლებას.

შვეიცარელი შემთანხმებლობის კამპანია

ბერლინი, 16 მარტი. შვეიცარიის პროფკავშირების აღმასკომმა, რომელიც შემთანხმებლებისაგან შესდგება, უარი განაცხადა მონაწილეობა მიეღო საბჭოთა კავშირში მუშათა დელეგაციის გაგზავნაში. აღმასკომი ურჩევს „ორგანიზაციულად დარაზმულ მუშებს არ გაუწიონ არავითარი დახმარება დელეგაციას არც ფულით და არც სხვა რაიმე გზით“.

აღმოსავლეთი

ჰეჯასი

იბნ-საუდი იცნო ინგლისმა

ლონდონი, 15 მარტი. „დეილი ტელეგრაფის“ კორესპონდენტი ჯედიდან (არაბეთის ნავთსადგური) იუწყება, რომ იქ ჩავიდა ბრიტანიის კრეისერი, რომელმაც იბნ-საუდს მოუტანა ინგლისის მიერ მისი ოფიციალური ცნობა ჰეჯასის.

სპარსეთი

ვუსტუგ-ედ-დოვლეს დაბრუნება თეირანში

თეირანი, 15 მარტი. გაზეთი „შეფაგკე სურხი“ იუწყება, რომ სპარსეთის მთავრობის ნებართვით თეირანში დაბრუნდა ვუსტუგ-ედ-დოვლე, რომელმაც 1919 წელს ხელი მოაწერა ინგლის-სპარსეთის ხელშეკრულებას.

ვუსტუგ-ედ-დოვლე—სპარსეთის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეა ინგლისის ორიენტაციისა. 1919 წელს სპარსეთისათვის მეტად არა ხელსაყრელ ხელშეკრულების დადებისათვის მან დიდი ქრთამი მიიღო. ამ ხელშეკრულებით სპარსეთში გამოწვეულმა აღშფოთებამ აიძულა ის წასულიყო ევროპაში, სადაც იმყოფებოდა აქამდის.

ოსმალეთი

საფრანგეთ-ოსმალეთის ხელშეკრულების ბედი

ანგორა, 15 მარტი. პარიზის გაზეთის „ჟურნალის“ ცნობით საფრანგეთის ელჩი დაბრუნდა ანგორაში ოსმალეთ-საფრანგეთის ხელშეკრულების იმ მუხლების გამოსარკვევად, რომელნიც ეხებიან ნეიტრალიტეტის, ჯარების ტრანსპორტის და არბიტრაჟის საკითხებს. ამან გამოიწვია ოფიციოზის „ხაკიმიეტ მილიეს“ კომენტარიები. გაზეთი ამ ცნობით გაკვირვებულია და სვამს კითხვას—ხომ არ აპირებს საფრანგეთი ცვლილების შეტანას ხელშეკრულებაში.

სხვადასხვა

— **ბოსტონის თერძების გაფიცვა.** ამ დღეებში ბოსტონში გაიფიცა ტანისამოსის დამზადებელ 200 ფაბრ. 4.000 მუშა. გაფიცულები მოითხოვენ კვირაში 5 დღ. მუშაობას სულ 42 სამუშაო საათით. აგრეთვე მოითხოვენ ხელფასის მომატებას და შრომის პირობების გაუმჯობესებას.

— **კაცი დაეძებს ადგილს.** კომპარტიიდან გამორიცხულმა რეიხსტაგის დეპუტატმა უკიდურესმა მემარცხენემ კაცმა ჰანოვერის ქალაქის გამგეობას მიმართა თხოვნით, რომ მიიღონ ის რაიმე სამსახურში, ამასთან კაცმა განაცხადა, რომ ის მზათ არის, უარი სთქვას დეპუტატობაზე, თუ მას სამსახურს მისცემენ ქალაქის გამგეობაში.

— **კანონები უცხოელების შეერთებულ შტატებში.** ამერიკის კონგრესში მთავრობის მიერ შეტანილია ორი კანონ-პროექტი, რაც მიმართულია უცხოელების წინააღმდეგ.

ამ კანონ-პროექტების მიხედვით ეხლავე უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ აღრიცხვა ყველა უცხოელისა, რომელთა რიცხვი აღწევს 7 მილიონს. შემდეგ ეს აღრიცხვა უნდა განმეორდეს ყოველწლიურად.

ამასთან შრომის სამინისტროს თითქმის განუსაზღვრელი უფლება ეძლევა უცხოელების გადასახლებისა.

ყველა ამ სასტიკი ზომების მიზანი ის არის, რომ ფრთები შეაკვეცონ უცხოელთა შორის კომუნისტურ იდეების ზრდას.

— **აფეთქება მაღაროში.** ბიტენის ნახშირის რაიონში (ზემო-სილეზიის გერმანული ნაწილი) ერთ-ერთ მაღაროში მოხდა აფეთქება, რომელმაც გამოიწვია მიწის [illegible] დაღუპვა. მაღაროს ქვეშ მოყოლილია 34 კაცი. გადაარჩინეს 32 კაცი, 2 დაიღუპა.

— **8 მილ. ხელმოწერა პლებისციტის სასარგებლოთ.** ყოფილ მეფის გვარეულობათა ქონების საკითხის გადასაწყვეტად შეგროვებულ ხელმოწერის რაოდენობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სამი დღის განმავლობაში ხელმომწერთა რიცხვი აღწევს 8 მილ., მაშასადამე ორჯერ აღემატება საჭირო ციფრს.

ბერლინში გაიმართა რამოდენიმე კომუნისტური დემონსტრაცია, რომლებიც პოლიციამ გარეკა დასრულებამდე.

— **მიგუელ აბადია მენდეც-კოლუმბიის პრეზიდენტი.** კოლუმბიის (ცენტრალური ამერიკა) პრეზიდენტის არჩევნებში გაიმარჯვა კონსერვატიულმა პარტიამ, რომელიც 30 წლის განმავლობაში ხელისუფლებას სათავეში უდგას.

ახალი პრეზიდენტი მიგუელ აბადია მენდეც თავის თანამდებობაზე დაიკავებს 7 აგვისტოს, როცა ეხლანდელ პრეზიდენტს გენერალ პედარონელ ოსპინს ვადა გაუვა.

კონსერვატიული აპარატი ამერიკის კაპიტალის იარაღს წარმოადგენს.

— **მაქსიმალისტ დეპუტატების დაბრუნება პარლამენტში.** მაქსიმალისტების საპარლამენტო ჯგუფის კრებამ დირექციის თანადასწრებით დაადგინა მაქსიმალისტი დეპუტატები დაუბრუნდენ იტალიის პარლამენტს, როცა უკანასკნელი მუშაობას განაახლებს.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ავსტრიის მუშათა დელეგაცია

მოსკოვი, 16 მარტი. 15 მარტს, ავსტრიის მუშათა დელეგაციამ სრული შემადგენლობით ინახულა საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭო, სადაც მას ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა დოგადოვთან.

დელეგაციის წევრებმა განაცხადეს, რომ ყველაფერი ის, რაც მათ საბჭოთა კავშირში ნახეს, სავსებით ეთანხმება უცხოეთის მუშათა დელეგაციების დასკვნებს. მათ ულრმესი მადლობა გამოსთქვეს იმ განსაკუთრებული დახმარების გამო, რომელიც ფაბრიკა-ქარხნების, წარმოებების და კულტურულ და აღმზრდელობითი დაწესებულებების გაცნობის და დათვალიერების დროს მიიღეს. შემდეგ სწარმოებდა საუბარი სამუშაო ხელფასის საკითხებისა და საბჭოთა მრეწველობის მოგების გამოყენების შესახებ. დელეგაცია იმავე დღეს გაემგზავრა ლენინგრადში.

ზარაფხანის მუშაობა

ლენინგრადი, 16 მარტი. 15 მარტისათვის, ზარაფხანამ მოსჭრა 150 მილ. მანეთის ვერცხლის ფული.

მსჯავრ დადებულთა მიწები

მოსკოვი, 16 მარტი. საადგილ-მამულო საქმეთა უზენაესი კონტროლის განსაკუთრებულმა კოლეგიამ დაადგინა: მიწები, რომელნიც ეკუთვნის სისხლის სამართლის წესით მსჯავრ დადებულ პირებს, არ უნდა ჩამოერთვას მათ ხვნა-თესვის ორი პერიოდის გასვლამდე (6 წელი). ამ ვადის შემდეგ, მსჯავრ დადებულნი სოფელში დაბრუნებისას, ხელ-ახლა მიიღებენ მიწას საერთო საფუძვლის მიხედვით.

„მასწავლებლის გაზეთის“ კორესპონდენტების თათბირი.

მოსკოვი, 15 მარტი. 12 მარტს გაიხსნა „მასწავლებლის გაზეთის“ კორესპონდენტთა თათბირი. თათბირი გახსნა გაზ. პასუხისმგებელმა რედაქტორმა ინგულოვმა.

კრუპსკაიამ მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ „მასწავლებლის გაზეთის“ წარმატება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად მჭიდრო იქნება მისი კავშირი მასწავლებელთა ფართო მასებთან და რამდენად სრულიად გამოხატავს იგი სახალხო განათლების ინტერესებს.

აგრონომების საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 16 მარტი. 15 მარტს გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის აგრონომების საკავშირო თათბირი.

რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულების ხუთი წლის თავი

მოსკოვი, 16 მარტი. 16 მარტს სრულდება 5 წელი რ. ს. ფ. ს. რ.-ის და ოსმალეთს შორის ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან, რამაც საფუძველი ჩაუყარა მეგობრულ ურთიერთობას ორივე სახელმწიფოს შორის.

ამ ხელშეკრულების თანახმად, ორივე მხარე ვალდებულია არ იცნონ არავითარი საზავო ხელშეკრულება, ან საერთაშორისო აქტი, რომელსაც ძალად მოახვევენ თავს ერთ ან მეორე მხარეს.

ხელშეკრულების თანახმად რ. ს. ფ. ს. რ. უარს ამბობს ყოველგვარ პრივილეგიებზე და მეფის რუსეთის ვალებზე და ვალდებულებას იღებს არ იცნობს კაპიტულაციის რეჟიმი.

ხელშეკრულება სცნობს ოსმალეთის ეროვნულ პაქტს, 1920 წლის 8 იანვრის თარიღით, ოსმალეთის საზღვრების შესახებ, უტოვებს ოსმალეთს ყარსსა, არტაანსა და ართვინს, აწესებს ბათუმის ავტონომიას და აზერბეიჯანის პროტექტორატს ნახიჩევანზე.

1923 წელს დაიწყო მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ. ეკონომიური რეჟიმის სხვადასხვაობამ გამოიწვია მოლაპარაკების გახანგრძლივება.

ეკონომიური ურთიერთობის გაცხოველებას ხელი შეუწყო საკონსულო ფორმალობის გამარტივებამ, საკონსულო სტატუტის დამტკიცებამ და სხვ. საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა დაუშვა ჩვენი საქონლის ულიცენზიოთ გატანა ოსმალეთში და შინა მრეწველობის ზოგიერთი საქონლის შემოტანა ოსმალეთიდან. სავაჭრო ურთიერთობის გაცხოველებას ხელი შეუწყო აგრეთვე კონსტანტინოპოლში საბჭოთა საქონლის გამოფენის მოწყობამ.

ამასთანავე ერთად გრძელდებოდა პოლიტიკური ურთიერთობის განმტკიცება და ეს განსაკუთრებით აღნიშნულ იქნა ქურთების აჯანყების ჩაქრობის დროს, როცა მთელი ჩვენი თანაგრძნობა ოსმალეთის მთავრობის მხარეზე იყო.

ჩვენი ნავთის საექსპორტო ორგანიზაციების ბრძოლა მსოფლიო ნავთის ტრესტებთან ოსმალეთის ბაზარზე 1926 წლ. 8 მარტს ჩვენი მნიშვნელოვანი გამარჯვებით დამთავრდა.

ამ ორი ქვეყნის ეკონომიური დაახლოება გამოიხატა იმაშიც, რომ ოსმალეთის მთავრობამ თავის-ენერგიულ ბრძოლაში ოსმალეთის მეურნეობის ასაღორძინებლად შეითვისა სამეურნეო აღმშენებლობის მეთოდები და პრინციპები, რომელიც გამოცდილებით შემოწმებულ იქნა საბჭოთა კავშირის მიერ. ასე, მაგალითად, ოსმალეთში განვითარების გზას დადგა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, მეურნეობის ცალკე დარგებში შემოღებულ იქნა სახელმწიფო მონოპოლია და სხვ.

ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატა 1925 წელს 17 დეკემბერს დადებულ ხელშეკრულებაში ნეიტრალიტეტის დაცვის და მტრულ კომბინაციებში მონაწილეობის მიუღებლობის შესახებ.

ამ ხუთი წლის შედეგი სრულ უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საბჭოთა კავშირი და ოსმალეთი მომავალშიაც წავლენ მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიური დაახლოების გზით.

ზეკია-ბეის განცხადება

მოსკოვი, 16 მარტი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში ოსმალეთის და რ. ს. ფ. ს. რ.-ის ხელშეკრულების დადებიდან ხუთი წლის შესრულების გამო ოსმალეთის ელჩმა მოსკოვში ზეკია-ბეიმ შემდეგი განაცხადა:

„მეგობრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთს შორის რევოლიუციის დაწყებიდანვე გულწრფელ ხასიათს ატარებდა და ვითარდებოდა დღითი-დღე. მოსკოვის ხელშეკრულებამ ოფიციალურად ჩამოაყალიბა ეს მეგობრობა და გულწრფელობა, რომელიც ორივე ერის საარსებო მოთხოვნილებებად იქცევა. ეს ხელშეკრულება არის მეგობრობისა და ძმობის აქტი.

მე სიხარულით გამოვსთქვამ ჩემს კმაყოფილებას. ხელშეკრულება, რომელიც 1925 წ. 17 დეკემბერს დაიდო პარიზში, კიდევ უფრო თვალსაჩინოდ მოწმობს ამ მეგობრობას. ვუსურვებ დიდი მეზობელი ქვეყნის ხალხებს ბედნიერებას და კეთილდღეობას“.

რკინისგზელთა საკავშირო ყრილობა

ამხ. რუძუტაკის მოხსენება

მოსკოვი, 16 მარტი. რკინისგზელთა საკავშირო ყრილობაზე გზათა სახალხო კომისარმა რუძუტაკმა მოხსენება წარკითხა სატრანსპორტო მეურნეობის მდგომარეობის და პერსპექტივების შესახებ.

„მიმდინარე წლის ტვირთების [illegible] მი გადაარჭარბებს ორი უკანასკნელი წლის ტვირთების რაოდენობას, ერთად აღებულს. ამასთანავე იზრდება საბარგო რონოდების დანაკლისიც. მაგალითად, 1 ოქტომბრისათვის დანაკლისი 6,486-ს, 1 მარტისათვის 41,716-ს, ამჟამად კი უდრის—50,000 რონოდს. სატრანსპორტო სიძნელენი, მაშასადამე, მეტად სერიოზულია და აფერხებს სახალხო მეურნეობის განვითარებას.

სატრანსპორტო შეფერხებას იწვევს უმთავრესად საბარგო რონოდების სიმცირე. ამოწურულია თითქმის მთელი ორთქმავლების მარაგი. მიმდინარე ხაზის? სამეურნეო წელს ჩვენ დაგვაკლდება ტრანსპორტის ნორმალური მუშაობისათვის 30,000 საბარგო რონოდი და 500 ორთქლმავალი.

ჩვენი მრეწველობა რევოლუციის შემდეგ წელს პირველად შეუდგა ახალი რონოდების კეთებას. მაგრამ ამჟამად, როცა ტვირთბრუნვა თანდათან [illegible], ეს რონოდები არ იკმარებს ტრანსპორტის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, როგორ უნდა იქნეს შესრულებული, ამას მოითხოვს ქვეყნის ინტერესები. ყოველივე ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ სარემონტო სახელოსნოები უზრუნველვყოთ საჭირო მასალებით. ტვირთების კომერციული სისწრაფე გადიდებული უნდა იქნეს. ტრანსპორტის მუშაკთა რიგებში სასტიკი შრომის დისციპლინა უნდა იქნეს შემოღებული. ამ ზომებით ჩვენ მივიღებთ 50 პროცენტს იმ რონოდების რაოდენობისას, რომელიც ტრანსპორტის ნორმალური მუშაობისათვის გვაკლია.

ფეიქართა კავშირის დეპეშა ამერიკელ ამხანაგებისადმი

მოსკოვი, 15 მარტი. საბჭოთა კავშირის ფეიქართა კავშირის ცკამ ფეიქართა მოქმედების კომიტეტს ნიუ-იორკში გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: „საბჭოთა ფეიქრები ულრმესი აღშფოთებით შეხვდენ ცნობას გაფიცულ ამერიკელ ფეიქართა ბარბაროსულად დასჯის შესახებ. მხურვალედ ვესალმებით თქვენს სოლიდარობას და თქვენს ბრძოლას. გისურვებთ წარმატებას და გამოვსთქვამთ რწმენას, რომ ამერიკის მუშათა კლასი კლასთა ბრძოლის ნიადაგზე მსოფლიო პროლეტარიატთან ერთად საბოლოო გამარჯვებას მიაღწევს კაპიტალიზმს წინააღმდეგ“.

კომკავშირის საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 16 მარტი. კომკავშირის სრულიად საკავშირო ყრილობის 15 მარტის დილის სხდომაზე გაგრძელდა კამათი კომკავშირის ცეკას მუშაობის შესახებ.

ეროვნულ ორგანიზაციების წარმომადგენლები უსაყვედურებდენ ცეკას, რომ საკმაო ყურადღებას ვერ აქცევდა ეროვნულ ორგანიზაციებში მუშაობას. აგრეთვე აღნიშნავდენ საბავშვო ლიტერატურის ნაკლებობას.

შემდეგ მომხსენებელმა ჩაპლინმა უპასუხა ყველა მოკამათეებს და უსაყვედურა ოპოზიციონერებს, რომ ისინი თავიანთ ჯგუფურ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე პარტიის ინტერესებს.

არჩეულ იქნა კომისია რეზოლიუციების შესამუშავებლად ცეკას მოხსენების შესახებ.

16 მარტს მოსმენილ იქნება ამხ. ბუხარინის მოხსენება მიმდინარე მომენტზე და პარტიის პოლიტიკის შესახებ.

გეგმიანი მუშაობის საკონტროლო ციფრები

მოსკოვი, 16 მარტი. საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ სმილგამ, თავის მოხსენებაში საკონტროლო ციფრების ამოცანების და შინაარსის შესახებ განაცხადა:

„აქამდე საკონტროლო ციფრების შედგენის მეთოდების საკითხში თავი იჩინა ორმა არასასურველმა გადახრამ. არის ჯგუფი ეგრეთწოდებულ მაქსიმალისტების, რომელნიც პირველ რიგში მიზნობრივი საფუძვლის პრინციპებს აყენებენ და სახალხო მეურნეობის ობიექტიურ ტენდენციებს ივიწყებენ. მეორე ჯგუფი კი, პირიქით, უმთავრეს მნიშვნელობას ამ ობიექტიურ ტენდენციებს აძლევენ.

საგეგმო მუშაობაში კი ეს ორივე საფუძველი სწორად და რაციონალურად უნდა იქნეს შეთვისებული.

წლიურ საკონტროლო ციფრებში დირექტივების რიცხობრივი გამოხატულება უნდა სჭარბობდეს ხარისხის ხარჯზე, მაგრამ მრავალი წლის საპერსპექტივო გეგმების შედგენაში, უკანასკნელი საკონტროლო ციფრებს საფუძვლად უნდა დაედევს უმეტესად ხარისხობრივი დირექტივები.

ხარისხობრივ დირექტივების ხასიათი უმთავრესად შემდეგში მდგომარეობს: მრავალგვარი მიდგომა ერთი მიზნისადმი. არც ერთი მიდგომა მონოპოლიურად არ შეიძლება ჩაითვალოს, მთავარი მიზანია სოციალიზმი და ჩვენს მეურნეობაში სოციალისტურ ელემენტების თანდათანობით გადიდება. ამ მიმართულებით ქვეყნის საწარმოო ძალთა აღდგენის დარგში უპირატესობა ელექტროფიკაციას უნდა მიეცეს.

მეორე აუცილებელი პირობას მუშათა და გლეხთა ბლოკი წარმოადგენს. აქ საკონტროლო ციფრების შედგენის დროს, ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ფასების საკითხს, მეურნეობის ამა თუ იმ დარგის დაწინაურებას და სხვ.

მესამე პირობა—არის ჩვენი მეურნეობის კავშირი მსოფლიო ეკონომიკასთან. საგეგმო მუშაობაში, ჩვენ უნდა ვემყარებოდეთ კავშირის ეკონომიური მთლიანობის პრინციპს. ეს კი მოითხოვს ცალკე რაიონულ გეგმების გაერთიანებას.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადები

მოსკოვი, 10 მარტი. რადგან [illegible] შემოსავალმა სასოფლო-სამეურ. გადასახადსა, შემოსავლის დაზღვევასა და სათესლე დახმარებაზე, საკავშირო ცაკის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ავტონომიურ და საოლქო რესპუბლიკების ცაკებს, აგრეთვე საოლქო და საგუბერნიო აღმასკომებს, რომ ვადის გადაცილებაზე გააძლიერონ ჯარიმა დღეში 1,5 პროცენტით, რაიაღმასკომებს კი ნება ეძლევათ გადასახადის გაუსტუმრებლობისათვის გაჰყიდონ აწერილი ქონება, გარდა შენობებისა.

მთელი პასუხისმგებლობა ყოველ გადასახადების სრულ და თავის დროზე შემოტანისთვის ეკისრებათ საოლქო, საგუბერნიაო, სარაიონო და სათემო აღმასკომებს და სოფ. საბჭოების თავმჯდომარეებს.

საოლქო და საგუბერნიო აღმასკომებს ევალებათ, პასუხისგებაში მისცენ ის თანამდებობის პირნი, რომლებიც უმოქმედობას იჩენენ გადასახადების აკრეფაში.

უკანასკნელი ცნობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია მოითხოვს წარმომადგენლობას სამანდატო ტერიტორიების მუდმ. კომისიაში

ბერლინი, 15 მარტი. რეიხსტაგის საფრაქციათაშორისო კოლონიალურ საბჭოს თავმჯდომარემ გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრს გაუგზავნა ჟენევაში წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ კავშირს აუცილებლად მიაჩნია გერმანიის წარმომადგენლობა ერთა ლიგის სამანდატო ტერიტორიების მუდმივ კომისიაში.

ამის გამო კავშირი წინადადებას აძლევს გარეშე საქმეთა მინისტრს იზრუნოს იმაზე, რომ ეს საკითხი დადებითად იქნეს გადაჭრილი ლიგის ეხლანდელ სესიაზე.

რუს მონარქისტების საიდუმლო კონფერენცია

ბერლინი, 15 მარტი. როგორც გაზეთები იტყობინებიან, ამ დღეებში მიუნხენში ლონდონიდან და პარიზიდან ჩამოვიდა ათამდე რუსი მონარქისტი, მათ შორის თავადი ობოლენსკი, სვიატოპოლკ-მირსკი და ვოლკონსკი.

რუს და გერმანელ მონარქისტების მონაწილეობით შესდგა საიდუმლო კონფერენცია.

აპრილის დამდეგს პარიზში ჩამოვა 200-დე რუსი მონარქისტი ახალი მეფის ასარჩევად. როგორც ფიქრობენ მეფედ აირჩევენ ან კირილე ვლადიმერისძეს ან ნიკოლოზ ნიკოლოზისძეს.

პროლეტარულ მწერალის ფურმანოვის გარდაცვალება

მოსკოვი, 16 მარტი. მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი პროლეტარული მწერალი, საკავშირო კომპარტიის წევრი დიმიტრი ანდრიას ძე ფურმანოვი.

ოთხშაბათისათვის

ბერლინი, 16 მარტი. ჟენევიდან დილის გაზეთების მიერ მიღებულ ცნობებიდან ირკვევა, რომ ჟენევაში მიღწეულია შეთანხმება და რომ გერმანიის ლიგაში მიღება უზრუნველყოფილი არის ოთხშაბათისათვის. ეს ცნობა მოვიდა მას შემდეგ, რაც გავრცელებული იყო ფრიად პესიმისტური შეხედულება მდგომარეობაზე.

ოკუპაციის საფრთხე

ბერლინი, 16 მარტი. მილანის გაზეთები გერმანიას ემუქრებიან ჩრდილოეთ რეინლანდის ზონის ხელახალ ოკუპაციის შესაძლებლობით, თუ გერმანიამ წარდგენილი კომპრომისი არ მიიღო.

შტრეზემანის პირობები

[illegible], 16 მარტი. „[illegible] დე პარი“-ს კორესპონდენტის სიტყვით, შტრეზემანმა განაცხადა, რომ შვეციის გადაწყვეტილებაზე ის იმ შემთხვევაში დაეთანხმება, თუ ბენეში უნდენთან ერთად გავა საბჭოდან.

იმავე ცნობის თანახმად, ბენეში თავის გასვლას ლიგის საბჭოდან შესაძლებლათ სცნობს იმ შემთხვევაში, თუ ეს მოიწონეს პრაგის, ბუქარესტის და ბელგრადის მთავრობებმა. ნინჩიჩმა თავისი თანხმობა განაცხადა, მაგრამ ტიტულესკო განმარტებებს მოითხოვს.

ალტერნატიული გადაწყვეტილება

ლონდონი, 16 მარტი. ლიგის საბჭოს დელეგატების კერძო კრებამ გუშინ, გამოიტანა ალტერნატიული გადაწყვეტილება, რომელსაც ყველაზე უფრო საიმედოთ სთვლიან დღიმდე წარმოდგენილ გეგმებთან შედარებით. ბევრმა დელეგატმა მოიწონა გადაწყვეტილება. მხოლოდ იმ პირობით, თუ ამაზე თანხმობას განაცხადებს მისი მთავრობა.

ბელგიის ფრანკი ეცემა

პარიზი, 16 მარტი. ბრიუსელის ბირჟაზე ინგლისური გირვანქა სტერლინგის ფასი 112 ბელგიური ფრანკიდან — 125-ზე ავიდა.

ბირჟაზე პანიკაა. მოსალოდნელია მთავრობის კრიზისი

პარიზი, 16 მარტი. ბრიუსელიდან მიღებულ ცნობით შესდგა ბელგიის კაბინეტის სხდომა, რომელიც არჩევდა შექმნილ მდგომარეობას. მთავრობას განზრახული აქვს აღმოფხვრას ბელგიის ფრანკით სპეკულიაცია. გააძლიეროს კონტროლი დახურდავებაზე.

ბრიანის დეკლარაცია

პარიზი, 16 მარტი. ბრიანის კაბინეტის დეკლარაცია დეპუტატთა პალატაში ხუთშაბათს გამოქვეყნდება.

ტელეფონი ბერლინსა და ლონდონს შორის

ბერლინი, 16 მარტი. გუშინ დაიწყო მოქმედება ტელეფონმა უშუალოდ ბერლინსა და ლონდონს შუა.

სტუდენტების მღელვარება რუმინეთში

ბერლინი, 16 მარტი. უნივერსიტეტი იასში დახურულია. ოფიციალურ ცნობაში ნათქვამია, რომ უნივერსიტეტის დახურვა გამოიწვია ტერორისტულმა აქტებმა გაფიცულ სტუდენტების მხრივ. იტყობინებიან, რომ სტუდენტების მღელვარებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე ჩერნოვიცში და კლაუზენბურგში.

პარტიული ცხოვრება

ამიერ-კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა თათბირი

გუშინ, დილის 11½ საათზე, საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ბინაზე გაიხსნა ამიერ-კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა თათბირი.

თათბირს დაესწრენ საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტების ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებების, სახელმწიფო გამომცემლობების, დანარჩენი მსხვილი გამომცემლობების წარმომადგენლები, მსხვილი გაზეთების რედაქტორები და სხვ.

დღის წესრიგში დგას შემდეგი საკითხები: 1) მოხსენებები ადგილებიდან, 2) პარტიის მორიგი ამოცანები ბეჭდვითი სიტყვის სფეროში ამიერ-კავკასიაში, 3) მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობა, 4) ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის დაარსების შესახებ შინა ვაჭრობის სახ. კომისარიატთან, 5) ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების გავრცელების შესახებ, 6) საგაზეთო ინფორმაცია და 7) სხვა.

პირველად მოხსენება გააკეთა აზერბეიჯანის ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი განყოფილების წარმომადგენელმა. მომხსენებელმა მოკლეთ დაახასიათა აზერბეიჯანში გაზეთებისა და გამომცემლობების მდგომარეობა. აზერბეიჯანში იცემა სულ 15 გაზეთი; აქედან ყოველდღიურათ გამოდის 5 გაზეთი, დანარჩენი კი ზოგი ყოველკვირეული, ზოგიც კვირაში ორჯერ გამოდის. იცემა მუშური გაზეთები, მაგალითად, გაზეთი „კომუნისტი“ თურქულ ენაზე და „ბაკინსკი რაბოჩი“—რუსულ ენაზე, რომლებიც უმთავრესად ბაქოსა და მის რაიონებში ვრცელდებიან. გარდა ამისა, გამოდის წმინდა გლეხური გაზეთი, რომელიც თავისი ენით უფრო მისაწდომია გლეხთა ფართო მასებისათვის. გარდა ამისა, გამოდის გლეხური ჟურნალი „ახალი სოფელი“, ორი კომკავშირის გაზეთი თურქულ და რუსულ ენებზე, წითელარმიელების გაზეთი თურქულათ ლათინური ანბანით; საოლქო გაზეთი თურქული ლათინური ანბანით.

გარდა ამისა, გაზეთები გამოდის განჯაში, ყარაბაღში, ნახიჩევანში.

მთელ აზერბეიჯანში გამოდის 16 ჟურნალი—სამეცნიერო-საეკონომიო ხასიათის და სხვადასხვა უწყებების. ქაღალდის კრიზისთან დაკავშირებით ზოგი საუწყებო გამოცემები, და მათ შორის ჟურნალებიც, შევამცირეთ.

ჟურნალ-გაზეთებისა და საერთოდ ლიტერატურის გავრცელების საქმე, მომხსენებლის სიტყვით, ძლიერ ცუდათაა დაყენებული.

აზერბეიჯანში არის ორი გამომცემლობა: სახელმწიფო გამომცემლობა და „ბაკინსკი რაბოჩი“.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობას და აღნიშნა, რომ უკანასკნელი ცნობებით სულ არის 3428 მუშკორი და გლეხკორი; აქედან ქალია 102. პარტიის წევრი ამათში 1000 კაცი, კომკავშირელი—600, დანარჩენი კი უპარტიონი. მომხსენებლის სიტყვით, ამ უკანასკნელ დროს განსაკუთრებით ვითარდება გლეხკორთა მოძრაობა.

გლეხკორებს და მუშკორებს ხელმძღვანელობენ თვით გაზეთები. ამ უკანასკნელებთან არის ცენტრალ. წრეები, რომლებიც იჭერენ კავშირს მუშკორ-გლეხკორთა ფართო წრეებთან.

კედლის გაზეთების რიცხვი უდრის 332-ს. უნდა აღინიშნოს, რომ კედლის გაზეთებისადმი ხელმძღვანელობა სუსტია. ასეთია, საერთოდ, ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობა აზერბეიჯანში.

შემდეგ მოხსენება გააკეთა აზერბეიჯანის სახელმწიფო გამომცემლობის წარმომადგენელმა. თავიდან, მომხსენებლის სიტყვით, ამ გამომცემლობას არ ჰქონდა სამუშაო გეგმა, მაგრამ შემდეგ ეს ნაკლი თანდათან გამოსწორდა. გამომცემლობა უმთავრეს ყურადღებას აქცევს სასწავლო წიგნების გამოცემას. ამ წელიწადში გაძლიერებულ იქნა მხატვრული და საბავშვო ლიტერატურის გამოცემა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ქაღალდს 23 პროცენტით უფრო ძვირად ვყიდულობთ, წიგნებს არ ვყიდით უფრო ძვირად, ვიდრე მოსკოვში. გამომცემლობას ბაქოში აქვს 3 განყოფილება, მაზრებში კი 18 პუნქტი. შემდეგ მომხსენებელს მოჰყავს ციფრები, საიდანაც სჩანს, რომ 1921 წლიდან დაწყებული გამომცემლობა უფრო და უფრო ვითარდება. თუ 21 წელს გამოცემული იყო 14 სხვადასხვა წიგნი 167.000 ტირაჟით, 1925 წელში გამოიცა 74 სხვადასხვა წიგნი 825.000 ტირაჟით. წიგნები უმთავრესად იცემოდა თურქულ ენაზე.

შემდეგ მოხსენებით გამოვიდა გამომცემლობა „ბაკინსკი რაბოჩი“-ს წარმომადგენელი, რომელმაც მოკლეთ განმარტა, თუ როდის დაარსდა ეს გამომცემლობა და რა მიღწევები აქვს მას დღეს. ეს გამომცემლობა დაარსდა 1922 წლის მაისში; პირველ წელიწადს მან გამოსცა 30 სხვადასხვა წიგნი, შემდეგ წელიწადში 54 წიგნი, და ასე თანდათან გადიდდა ეს რიცხვი. წიგნები უმთავრესად იცემა თურქულ ენაზე. შემდეგ ამხანაგი ეხება, თუ რა შინაარსის ლიტერატურა იცემა უმთავრესად და როგორ სწარმოებს გავრცელება ამ ლიტერატურის.

ამით დამთავრდა პირველი სხდომა.

ლითოგრაფიის კომუჯრედში

ჩვენი უჯრედი ადრიდანვე შეუდგა 25 თებერვლისთვის მზადებას. წინასწარ გაიხსნა მუშებში კამპანია საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებისა და წითელი არმიის დღესასწაულის შესახებ. 24 თებერვალს, საღამოს, უჯრედის მეთაურობით ლითოგრაფიის მუშები გაემგზავრენ წითელი ყაზარმებს დასათვალიერებლათ. მუშებმა წითელ-არმიელებს მიუტანეს საჩუქრები. გაიმართა მუშებსა და წითელ-არმიელებს საერთო კრება. წაკითხულ იქნა მოხსენება საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების მნიშვნელობაზე და წითელი არმიის 8 წლის თავის შესახებ. კრების შემდეგ წითელ-არმიელებმა დასდგეს წარმოდგენა. 25 თებერვალს ჩვენი მუშები მიპატიჟებულ იქნენ წითელ-არმიელებთან სადილზე.

პარტკორი საუჟარელიძე.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ცხრაწლედის ახ. ლ. კ. კ. უჯრედი

(გალის მაზრა)

გალის ცხრაწლედის ა.ლ.კ.კ.-უჯრედი აერთიანებს 67 წევრს და 2 კანდიდატს. უჯრედის მუშაობა სათანადოთაა დაყენებული. წევრები აქტიურ მუშაობას ეწევიან სხვადასხვა დარგში, როგორიც არის მაგალ. დრამწრე, ლიტ-წრე, ანტირელიგიური წრე და სხვა. უჯრედების კრება იმართება კვირაში ერთხელ, პოლიტ-მეცადინეობა ორჯერ. პოლიტ-ცოდნის მხრივ უჯრედის წევრები დაყოფილი არიან ორ ჯგუფად. პირველი ჯგუფების მეცადინეობა მიმდინარეობს პოლიტ-სკოლის სისტემით. უპარტიო მოწაფეებთან მჭიდრო კავშირი გვაქვს. ისინი ხშირად ესწრებიან ღია კრებებს. უჯრედის ყველა აქტიური წევრები მიმაგრებული არიან სოფლის უჯრედებიდან.

ახკორი ვ. ქ—ბა.

ქართული წითელი არმიის ხუთი წლის თავი

(მასალები)

საქართველოს მენშევიკური მთავრობის უსასტიკესმა ზომებმა არა ერთხელ აჯანყებულ მშრომელების წინააღმდეგ უფრო გაზარდა მათდამი მშრომელთა სიძულვილი და წინააღმდეგობის ძალა. ძლევამოსილი წითელი არმიის დახმარებით მათ დასცეს იმპერიალიზმის ციხე-სიმაგრე კავკასიაში—მენშევიკური მთავრობა.

ავაზაკურათ გაიტაცეს რა მშრომელი ხალხის სიმდიდრე, მენშევიკებმა უპატრონოთ მიატოვეს თავისი ჯარები, რომლებიც მხოლოდ მაშინ ესაჭიროებოდათ, როდესაც მშრომელი ხალხის სასტიკი რისხვის მოლოდინში იყვნენ.

დაკნინებულმა და ბრაზმორეულმა უპასუხისმგებლო მენშევიკურმა მთავრობამ თავისი ნებით გადასცა ბათომი ოსმალეთის ჯარებს, რომ დი მოეწყვიტა საბჭოთა რესპუბლიკისათვის, მაგრამ ბათომის ციხიდან განთავისუფლებულმა კომუნისტებმა, რომლებმაც მოაწყვეს პირველი რევოლიუციონური კომიტეტი, მოწოდებით მიმართეს სულით დაცემულ და მენშევიკების მოღალატეობის მოწამე ქართული ჯარის ნაწილებს, რომლებმაც, იგრძნეს რა მშრომელი ხალხის ნამდვილი მოჭირნახულენი, მსწრაფლ სულით ამაღლდენ და ფიცი დასდვეს, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავდენ საბჭოთა ხელისუფლებას და აკი საშინელი სისხლის მღვრელი შეტაკების შემდეგ, სადაც ოთხმოცამდე ქართველი მეომარი დაეცა, მათ შესძლეს ბათომის მთავარ სიმაგრეებიდან ოსმალეთის ასკერების განდევნა.

აი, ეს მასალა იყო „დემოკრატიული“ მთავრობის ჯარის რიგებიდან მიღებული, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა ქართულ წითელ არმიას. ეს გარემოება ნათელს ჰფენს, თუ რანაირი წინააღმდეგობანი ვითარდებოდენ თვით მენშევიკური აპარატის შიგნითაც.

1921 წლის 11 მარტს, საქართველოს რევკომის მიერ გამოცემულ იქნა დეკრეტი ქართული წითელი არმიის მოსაწყობათ და იმავე დეკრეტით საქართველოს „დემოკრატიული“ მთავრობის ჯარი და გვარდია გამოცხადებული იქნა დაშლილათ.

რევკომის დეკრეტის შესასრულებლათ, საქართველოს სამხედრო-საზღვაო კომისრის მიერ ქ. ბათომში 21 მარტს გამოცემული იქნა ბრძანება ქართული წითელი არმიის ჩამოყალიბების შესახებ.

განზრახული იყო ერთი მსროლელი და ერთი სანაპირო ბრიგადის, კავბრიგადის, ორი ცხენოსანი ლეგიონის და ორი საარტილერიო დივიზიონის შექმნა. მაგრამ, ის ქაოტიური ატმოსფერა, რომელიც სუფევდა მაშინ, დასახულ მიზნისათვის არ ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს. მენშევიკების მიერ აფეთქებულ ხიდებისა და აოხრებულ გზების გამო, პერიფერიები მოწყვეტილი იყო თბილისს. იღუპებოდა ბევრი სამხედრო და სახალხო სიმდიდრე. ბნელი ელემენტები სარგებლობდენ მარჯვე დროით და იტაცებდენ ამ ქონებას.

აი, ასეთ პირობებში, მენშევიკური ჯარის დარჩენილი ნაწილებიდან და მოხალისეებიდან, ბათომში აჭარებით შედგენილი იქნა ორი მსროლელი ლეგიონი, სოლო ერთი ლეგიონი მოეწყო ქ. ლანჩხუთში. ორი ცხენოსანი ლეგიონი და საარტილერიო დივიზიონი ბათომიდან, ცხენებისათვის საკვების უქონლობის გამო, გადაგზავნილ იქნა ქ. ქუთაისში. თბილისში ამავე დროს მოეწყო 1-ლი საბჭოთა ლეგიონი. მენშევიკების მიერ გაძარცულ და გაფუჭებული ორი ჯავშნოსანი მატარებელი ჩქარა იქნა შეკეთებული, რომლებზედაც შესდგა კომუნარების საიმედო რაზმი.

1921 წლის აპრილის თვეში, ქართული წითელი არმიის ყველა ჩამოყალიბებული ნაწილები თავს იყრიან ქ. თბილისში, საიდანაც ხდება მათი სხვადასხვა რაიონებში გადაჯგუფება. ამ რიგათ, მიუხედავათ იმისა, რომ ქართული წითელი არმიის მშენებლობისათვის საშინელი ცუდი პირობები არსებობდა, 1921 წლის ივნისის თვემდე ჩამოყალიბდა სამი ქვეითა მსროლელი ბრიგადა და რამოდენიმე სპეციალური ნაწილი.

ქართული წითელი არმიის შექმნის, როგორც საქართველოს ნამდვილ დამოუკიდებლობის (ნაცვლად „დემოკრატიული“ საქართველოს ფიქტიური დამოუკიდებლობისა) ერთ-ერთ ფაქტორის შესახებ—ამხ. ლენინის მიერ, საქართველოს პარტიულ და საბჭოთა ორგანოების და პასუხისმგებელ ამხანაგებისადმი სხვადასხვა დროს მიცემულ იქნა მნიშვნელოვანი დირექტივები. 1921 წლის 3 მარტს, ამხ. ორახელაშვილს პირდაპირი მავთულით ელაპარაკება ამხ. ლენინი და სხვა დარიგებებთან ერთად ეუბნება: „... განსაკუთრებით ვთხოვ იმათ (საქართველოს რევკომის წევრებს და ქართველ კომუნისტებს) მაცნობონ მე, გვაქვს თუ არა ჩვენ სრული თანხმობა სამ საკითხში: პირველი: საჭიროა სასწრაფოთ შეიარაღებულ იქნან მუშები და უღარიბესი გლეხობა, ქართული წითელი არმიის შექმნის მიზნით“. აი, კიდევ წერილი ამხ. ლენინისა სერგო ორჯონიკიძისადმი:

„ამხ. სერგო, აბსოლიუტურათ აუცილებელია, რათა საქართველოს საბჭოთა ყრილობაზე მიღებული იქნას გადაწყვეტილება საქართველოს წითელი არმიის გაძლიერების შესახებ, და რომ ეს გადაწყვეტილება შესრულებულ იქნას **საქმით.** უკიდურეს შემთხვევაში, თუ გლეხობა წინააღმდეგია, საჭიროა მიღებული იქნას გადაწყვეტილება, თუნდაც საერთო ფორმებში:

—„აუცილებელია გაძლიერება ქართული წითელი არმიის, რისთვისაც მოწოდებული იქნას ხელისუფლების ყველა ორგანოები და მშრომელი მასები ამ სამუშაოზე. მაგრამ საქმით, რითაც არ უნდა დაჯდეს, და **სასწრაფოთ** განვითარებული და გაძლიერებული იქნას ქართული წითელი არმია. დეე ერთი ბრიგადა დასაწყისისათვის, დეე უფრო ნაკლებიც—2—3ათასი წითელი კურსანტები, იმათგან 1.500 კომუნისტები, რათა ამ კურსანტებს (შექმნილს კადრათ) შეეძლოს გადაქცევა არმიათ, როდესაც ეს საჭირო იქნება. ეს აბსოლიუტურათ აუცილებელია. დაწვრილებით შეიძლება სტალინმა დაუმატოს შესრულების სამხედრო-ტეხნიკურ საშუალებებზე. მე დავკმაყოფილდები საქმის პოლიტიკურ მხარეთი: ამის შეუსრულებლობისათვის ყოველ მიზეზ გარეშე გაგაგდებთ პარტიიდან. აქ ხუმრობა არ შეიძლება. ეს პოლიტიკურათ აბსოლიუტურათ აუცილებელია და თქვენ პირადათ და მთელი საქართველოს ცეკა ამისათვის პასუხს აგებთ მთელი პარტიის წინაშე. ველი პასუხს. თქვენი ლენინი“.

აქედან აშკარაა ლენინის როლი ქართული წითელი არმიის მოწყობის საქმეში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართულმა ჯარმა, რომელშიაც მენშევიკების მოღალატურ პოლიტიკის წყალობით თავიდანვე ნიადაგი მზადდებოდა კომუნისტურ განწყობილების გაზრდისათვის, მოგვცა წითელი არმიის მშენებლობის პირველი დღიდანვე პოლიტ-მუშაკების პირველი კადრი, დანარჩენ თვით ჯარისკაც-კომუნისტებისაგან, რომლებიც მრავლათ იყვნენ ქართულ ჯარში.

საქართველოს კომპარტიის მეორე ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ქართული წითელი არმიის მოწყობის საკითხს და მისცა ცეკას დირექტივა სამხედრო ნაწილების პოლიტშემადგენლობით უზრუნველყოფისათვის.

1921 წლის შემოდგომაზე საბჭოთა ქვეყანას თავს დაადგა რესტავრაციის და ინტერვენციის ძლიერ საფრთხე. მისი დამარცხების ცდები არ გაუმართლდა მსოფლიო ბურჟუაზიას და თეთრგვარდიელებს, მაგრამ ამავე დროს საბჭოთა ქვეყანა განიცდიდა ძლიერ ეკონომიურ კრიზისს. როგორც ინტერვენციის დამარცხების, ისე ეკონომიურ კრიზისის გამო საჭირო და აუცილებელი გახდა მრავალრიცხოვან წითელი არმიის შემცირება. ეს ასეც მოხდა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ დროსაც ქართული წითელი არმია რიცხობრივად იზრდებოდა, მხოლოდ საერთო წითელი არმიის ორგანიზაციული სტრუქტურის პრინციპებზე ხდებოდა ქართული ერთეულობის გადახალისება-შემჭიდროება.

1921 წლის სექტემბერში ქართული ნაწილები შემჭიდროებულ იქნა ორ ცალკე ბრიგადათ. 1921 წლის დეკემბერში ამ ნაწილების გაერთიანებაც მოხდა ერთ ქართულ გაერთიანებულ ბრიგადაში. ამავე დროს, საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის რესპუბლიკების რ. ს. ფ. ს. რ.-სთან სამხედრო შეთანხმების თანახმად, ქართული გაერთიანებული ბრიგადა შედის კავკასიის წითელდროშოვან არმიის (მაშინ ეს ამიერ-კავკასიის ცალკე არმიათ იწოდებოდა) შემადგენლობაში. ამ დროიდან იწყება გაორკეცებული მუშაობა ქართული გაერთიანებული ბრიგადის ყოველმხრივ უზრუნველსაყოფათ.

1922 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში კავკასიის ცალკე არმ. რეორგანიზაციის გამო ხდება ქართულ გაერთიანებულ ბრიგადის გადახალისება ქართულ დივიზიად.

1922 წლის გაზაფხულზე, ქართველმა კონტრ-რევოლიუციონერმა, რევოლიუციით უფლება აყრილმა და ისტერიულათ განწირულმა თავად-აზნაურობამ ნაც.-დემოკრატების სახით—სხვადასხვა ინსინუაციების საშუალებით სცადეს საქართველოს ყველაზე ჩამორჩენილ კუთხეში—სვანეთში ამბოხების მოწყობა, მაგრამ საკმაო გახდა ქართული წითელი არმიის პატარა ნაწილი, რომელმაც იშვიათი გმირობა გამოიჩინა, ამ პროვოკაციის გასაფანტავათ.

1922 წლის ბოლო ხანებში საბჭოთა ხელისუფლების მიწის კანონებით შევიწროებულ-შეურაცყოფილმა მემამულეებმა და ყოფილ შავ-რაზმელ ოფიცრების ჯგუფმა, მინისტრობის სავარძელ გამოცლილი პოლიტიკანების წაქეზებით, თიანეთის მაზრაში და ხევსურეთის მიდამოებში მოაწყვეს ბანდები, რომლებიც თავს ესხმოდენ მშვიდობიან მოსახლეობას და ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს. ქართული წითელი არმიის ნაწილებმა სულ რამოდენიმე დღის განმავლობაში ხევსურეთის მიუვალ ადგილებში ბოლო მოუღეს ამ ბანდებს.

1922 წ. მიწურულში და 1923 წლის პირველ ხანებში, ისევ მენშევიკ მოღალატეების თაოსნობით, გურიაში დაიწყო ყოფილ გვარდიელების, პროფესიონალურ ქურდების და ყაჩაღების თარეში, რომელსაც ლიკვიდაცია უყო ქართული წითელი არმიის ნაწილებმა. ამ დროს მოკლულ პარტიულ და უპარტიო ამხანაგების (ობოლაძე, ხანკიძე, ჩუბინიშვილი და სხვები) სისხლი, რომელიც ხელეს შეიღებს მშრომელი ხალხის მოღალატეებმა—სიმბოლოა იმისა, რომ ქართული წითელი არმია მუდამ მზათ იქნება უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დაიცვას საქართველოს მშრომელი ხალხის მონაპოვარი.

საბჭოთა ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის განმტკიცებამ და საქართველოს ფართო მშრომელი მოსახლეობის აქტივობის ზრდამ საქართველოში შესაძლებელი გახადა მე-2-ე დივიზიის არსება და არმიის ტერიტორიალური მშენებლობაზე გადასვლა, რომელიც შესაძლებელი და გამართლებულია მხოლოდ და მხოლოდ მშრომელი მოსახლეობის ხელისუფლებისადმი სიმპატიურ განწყობილების პირობებში.

1924 წლის პირველ მაისს დაარსდა მე-2-ე ქართული მსროლელი დივიზია და ტერ-სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით სამხედრო თვალსაზრისით საქართველო გაიყო ორ ნაწილათ: დასავლეთ საქართველოში მდგომი პირველი—დივიზიის ნაწილები ხდებიან მეორე დივიზიის შემადგენლობაში და ორივე დივიზიის ნაწილებმა: 1-ლმა აღმოსავლეთ საქართველოში და მეორემ დასავლეთ საქართველოში—ახალი სათანადო სადივიზიო ნაწილების დაარსებით შეივსეს თავისი რიგები. მაშინ ორივე დივიზია მოადგენდა შერეულ ტიპის დივიზიებს, ე. ი. თვითეულში შედიოდა, როგორც საკადრო, ისე ტერიტორიალური ნაწილები.

1924 წლის აგვისტოს სამარცხვინო ავანტიურის წინააღმდეგ ქართული წითელი არმია საქართველოს მუშებთან და გლეხებთან ერთად ერთსულოვნათ აღსდგა და ბოლო მოუღო მას.

აღსანიშნავია, რომ აგვისტოს ავანტიურამ ქართულ დივიზიებს ერთგვარ რეორგანიზაციის პირობებში მოუსწრო. პირველი დივიზია დასავლეთ საქართველოში ახლათ ივსებდა თავის ნაწილებს, ხოლო მეორე დივიზია დასავლეთ საქართველოში მოწყობის პროცესში იყო, მაგრამ ავანტიურის ლიკვიდაცია შესძლეს წარმატებით.

მოკლე დროში გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ტერ-მშენებლობის უკეთ წარმართვისათვის საქართველოში საჭირო იყო ცალკე ტერიტორიალური დივიზიის დაარსება. 1924 წლის დეკემბერში ორივე შერეული დივიზიიდან გამოყოფილი იქნა ტერიტორიალური დივიზია, რომლის საკომპლექტაციო რაიონს ამ ჟამათ მთელი საქართველო წარმოადგენს ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკებთან. არმიის ტერიტორიალურ სისტემაზე გადასვლამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მშრომელ მოსახლეობაში, რის გამო ამ მხრივაც დიდი მიღწევები გვაქვს.

ქართული წითელი არმიის დაარსების დღიდანვე, დაისვა საკითხი მშრომელი ახალგაზრდობის მტკიცე, საიმედო, შეგნებულ მხედარ-მეთაურების მომზადებისა. 1924 წლის ივნისის თვეში, საქართველოს საბჭოთა მთავრობის ბრძანებით არსდება წითელ მეთაურთა მოსამზადებელი კურსები. აქ თავს იყრიან მუშებისა და გლეხების შვილები, რომლებიც ენერგიულათ ეწაფებიან სამხედრო და პოლიტიკურ ცოდნის მიღებას. თანახმად სამხედრო-საზღვაო კომისარიატის ბრძანებისა, კურსებს ეცვლება სახელწოდება „ქართულ კურსანტების შეერთებულ სკოლა“-თ. ამავე ხანებში სკოლასთან არსდება მეთაურთა გამეორებითი კურსები.

.1924 წლის თებერვლის თვეში, ეწყობა ქართული სამხედრო პოლიტსკოლა, სადაც თავს იყრიან მუშურ-გლეხური კომუნისტური ახალგაზრდობა სამხედრო პოლიტიკურ ცოდნის მისაღებათ.

დღეს ქართულ მეთაურთა გაერთიანებული სკოლა და სამხედრო პოლიტსკოლა ყოველწლიურათ უშვებენ ქართულ წითელ არმიას მებრძოლ და აღმზრდელ მუშაკებს—მუშებისა და გლეხების შვილებისაგან.

ქართულმა წითელმა არმიამ, რომელიც დღეს ქცეულია საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობის სახალხო უნივერსიტეტათ, რომელშიაც კურს-დამთავრებულები წარმოადგენენ განახლებულ სოფლის აქტიურ მუშაკებს, ჯერ-ჯერობით 5.000 ახალგაზრდას შეასწავლა წერა-კითხვა და ყველა მის რიგებში მყოფთ მისცა სათანადო სამხედრო და პოლიტიკური მომზადება. თუ როგორაა დაყენებული პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობა, ამის ნათელ სურათს იძლევა შემდეგი ციფრები: ამ ჟამათ ქართულ წითელ ლაშქარში არსებობს: კლუბი 14, ძირითადი ბიბლიოთეკა 16, მოძრავი ბიბლიოთეკა 80, ამათში წიგნების რაოდენობა აღემატება 100.000-ს, ლენინის კუთხეები 100, სამხედრო კუთხეები სოფლის ქოხ-სამკითხველოებთან 80, სამხედრო კუთხეები გლეხთა სახლებში და სასახლეებში და მუშათა კლუბებში 25, კედლის გაზეთები 80-მდე, გაზეთი „წითელი არმიელი“ ყოველდღიური ტირაჟით 1.500; სამხედრო კორესპონდენტთა რაოდენობა აღემატება 500 კაცს; სხვადასხვა თვითმოქმედი წრეები, როგორც პოლიტიკური, სამხედრო, ლიტერატურული, წიგნის მეგობართა, დრამატიული, სამხატვრო, და თვითმოქმედი ორგანიზაციების უჯრედები („რემდასი“, „ავიოქიმი“ და „წერკუმსი“) 200-მდე, რომლებშიაც ჩაბმულთა რაოდენობა აღემატება წითელარმიელთა მასის 70%-ს.

ქართულ წითელ არმიაში ამ ჟამათ ვრცელდება 3.330 ცალი ქართული და 1.100 ცალი რუსული ჟურნალ-გაზეთები.

1-ლი და მე-2-ე ქართული დივიზიები პოლიტგანების და ქართულ სამხედრო-საგამომცემლო კოლეგიის მიერ, დღიდან ქართული წითელი არმიის არსებობისა, გამოცემულია 67 სახელწოდების წიგნი—127.000 ცალის რაოდენობით.

საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში მენშევიკური მთავრობის მიერ შევიწროებულ ნაციმცირესობის საკითხი რომ გადაჭრან ნამდვილ პროლეტარულ და სოციალისტურ თვალსაზრისით, ამის საუკეთესო მაჩვენებელია, სხვათა შორის, ქართული არმია და განსაკუთრებით მისი ტერიტორიალური ნაწილები, რომლის ნაციონალურათ ერთობ ჭრელ შემადგენლობაში ნათლათ დაინახავთ ერთ სალიდარობის ცოცხალ ფაქტს.

საქართველოს წითელი არმიის ერთ შესანიშნავ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს იმ ეროვნულ უმცირესობათა მიზიდვა წითელი არმიის აღმშენებლობაში, რომლებიც ძველ დროს სამხედრო ბეგარას არ ეწეოდენ; მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ეროვნულ უმცირესობის მშრომელმა ხალხმა სავალდებულოთ სცნო წითელი არმიის სახელოვან რიგებში ჩადგომა და საპატიო მოვალეობის ასრულება. აფხაზეთის მშრომელი ხალხის დაჟინებით სურვილით დღეს იქ სდგას ტერიტორიალური ნაწილი, რომელიც ივსება განსაკუთრებით აფხაზებისაგან თავის უფროსთა ხელმძღვანელობით. ასეთივეა ოსეთშიც. აჭარისტანის მშრომელი მასა ამ ჟამათ უაღრეს სურვილს გამოსთქვამს საქართველოს წითელი არმიის აღმშენებლობაში ჩაბმისას.

ეს გარემოება ნათელს ჰყოფს, რომ საქართველოს წითელი არმია საბჭოთა ხელისუფლების ხელმძღვანელობით ატარებს სწორ ეროვნულ პოლიტიკას, მიმართულს ერების კულტურულ აღორძინებისაკენ.

საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი მტრები, ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერები თავიდანვე გაჰყიროდნენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება და მისი ღონისძიებანი ქართველ მშრომელ ხალხში ვერ ჰპოვებს გამოძახილს. მაგრამ წითელი არმიის ზრდა-განვითარების ფაქტმა საბოლოოთ მოუგრიხა თავი ამ ვაჟბატონების მტკიცებას. ქართულმა წითელმა არმიამ შესძლო გაზრდა და შემჭიდროება მენშევიკების მიერ გაძარცულ-გაოხრებულ პირობებშიაც კი, მან გაიარა ისეთი სკოლა, რომლითაც აშკარათ დაამტკიცა თავისი ერთგულობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი და დღეს ქართული წითელი არმია თავისი არსებობის ხუთი წლის თავზე საქართველოში მშრომელ მასებს ერთხელ კიდევ ეტყვის, რომ ის არის და იქნება ერთგული დარაჯი მათი მონაპოვრისა და საბჭოთა ხელისუფლებისა.

1-ლ და მე-2-ე ქართული დივიზიების პოლიტიკური განყოფილებები.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

შავი ჭირი

ახალციხე, 16 მარტი. მთელ მაზრაში საბოლოოდ მოისპო საქონლის შავი ჭირი. ყველაზე მეტად დაზარალდა ლეფისის თემი, სადაც დაიღუპა 1.200 სული მხვილფეხა საქონელი 1.400 სულიდან.

მეთამბაქოობა

ახალციხე, 16 მარტი. მიღებულია სხვადასხვა ხარისხის თამბაქოს თესლი. თესლის ერთი ნაწილი ურიგდება გლეხებს ნისიად, ნაწილი კი გამოყენებული იქნება სანიმუშო-საცდელ პლანტაციებისათვის ქალაქში და რაიონებში.

წყალის ნაკლებობა

ახალციხე, 16 მარტი. ქალაქელებს არ ჰყოფნით წყალი.

წყალსადენი, რომელიც სამხედრო უწყებას ეკუთვნის, მოქალაქეებს აწვდის წყალს დილის 6—10 საათამდე.

ხე-ტყის საწყობი

ოზურგეთი, 16 მარტი. რკინისგზის სადგურის მახლობლად სატყეო ტრესტმა გახსნა ხე-ტყის მასალის დიდი საწყობი.

ბოროტმოქმედება კოოპერატივში

ოზურგეთი, 16 მარტი. ერთიან სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობის რევიზიამ აღმოაჩინა 850 მანეთის დანაკლისი.

გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე გოგეშვილი დაპატიმრებულია.

გამოძიება სწარმოებს.

ახალი ბაღის მოწყობა

ოზურგეთი, 16 მარტი. ქალაქის ქუჩების საერთო კაპიტალურ შეკეთებასთან დაკავშირებით კომუნალურ მეურნეობის სამმართველომ ქალაქის ცენტრში მოაწყო ახალი ბაღი.

აჭარისტანი

ქარ-ბუქი

ბათუმი, 16 მარტი. 15 მარტს ღამით ზემო აჭარაში ამოვარდა ძლიერი ქარ-ბუქი. ბევრ ადგილას გზები დაფარულია ნამქრებით.

შეწყვეტილია სატელეფონო კავშირი აჭარისტანის მთიან ნაწილებთან.

14 მარტს მთელი დღე ბათუმში ძლიერი წვიმა იყო.

ახლო მდებარე მთები თოვლითაა დაფარული.

წერილები

გზის შეკეთება ეხლავე უნდა დაიწყოს

(წყალტუბო, ქუთაისის მაზრა)

წარსულ წელს მთავარ საკურორტო სამმართველომ დაიწყო წყალტუბოს გზის გაშენება და მართლაც მუშაობა ნაყოფიერად და სისწრაფით მიმდინარეობდა, მაგრამ წლის დამლევს მუშაობა შეწყდა უფულობის გამო, ამ რიგათ გზა დაუმთავრებელი დარჩა, გზა ალაგ-ალაგ ისეთ მდგომარეობაშია, რომ გავლა ყოვლად შეუძლებელი გახდა, ამას შეუძლია მოუტანოს წყალტუბოს აბანოებს დიდი ზარალი, ვინაიდან გზა თუ გაფუჭებული დარჩა, სეზონის დროს ავადმყოფების მიმოსვლა შეუძლებელი შეიქნება.

ამას გარდა ახლო მდებარე სოფლებიც დიდათ შევიწროებული არიან უგზობით.

თუ სასწრაფოთ არ იქნა დაწყებული მუშაობა, მიმოსვლის აღდგენა სეზონის დასაწყისისათვის შეუძლებელი იქნება.

დასასრულ აღსანიშნავია, რომ ამ გზის მუშა-მოსამსახურეებს დღემდი არ მიუღიათ ძველი ნამუშევარი ხელფასი, რაც უკმაყოფილებას იწვევს.

ვ. მარდალეიშვილი.

შეარგეთ პლატონს სხვისი პურღვინო

(ს. მამათი, გურია)

მამათის თემის თავმჯდომარე პლატონ კილაძეს ორი მოვალეობა აქვს დაკისრებული. ერთი თემის თავმჯდომარეობა და მისი ხელმძღვანელობა, მეორე ქორწილებში და ნათვლაში სიარული და თამადობა. დროც მოხდენილათ აქვს განაწილებული, შუადღემდი პლატონი აღმასკომში ბრძანდება, ხოლო ნაშუადღევს მის ამბავს ნუღარ იკითხავთ.

თუ სადმე ბოთლი გარაწკუნდა, პლატონიც იქ იქნება უთუოდ. გათენებამდი ღვინოს შექცევა და თან როგორც ღირსეული თემის კაცი, აქაც პირველობას ჩემულობს. პლატონს თემში „შტატის თამადას“ ეძახიან და ეს სამართლიანი სახელიც არის.

მეორე დღეს ნაქეიფარი თავმჯდომარე მიეშურება აღმასკომში. მაგრამ ფეხები არ ემორჩილებიან, მეხსიერებაც ღალატობს და გზა ებნევა. რჩება ღვინით გალეშილი თავმჯდომარე ისევ მახლობელ სოფელში.

ამავე დროს გლეხები დედა დაკარგულ წიწილებივით დაეძებენ პლატონს აღმასკომის ახლო-მახლო ადგილებში და ერთმანეთს შესჩივიან თავმჯდომარის დაკარგვას. ერთხელ, როგორც იყო გაჰბედა გლეხკომმა და ადგილობრივ კედლის გაზეთში გაკვრით მოიხსენია პლატონის საქმენი საგმირონი. თავმჯდომარეს არც აცივა, არც აცხელა. მივიდა და ჩამოფხრიწა კედლიდან გაზეთი.

რა პატივს დასდებდა მაზრაღმასკომი მამათის გლეხებს, რომ პლატონ კილაძეს გაანთავისუფლებდეს მისთვის მძიმე მოვალეობისაგან. ეს სოფლისათვისაც კარგი იქნება და პლატონის საქმეც გაკეთდება. კაცი მაინც მთლიანად დროს-ტარებას მიეცემა და აღარავინ დაამწარებს მეზობლების პურ-ღვინოს.

თხინარი.

ნუ გვიჩქარით

(სოფ. ყანდაურა, სიღ. მაზრა)

ჩვენი სოფელი ძალიან დაზარალდა სტიქიური უბედურების გამო. გლეხებს მთლათ დაეღუპათ მთელი წლის სარჩო. მინდვრები წელსაც დაუთესავი დარჩა.

გლეხები ჰყიდიან ოთხფეხ საქონელს, ვისაც ჰყავს და მით ირჩენენ თავს.

მთავრობამ დახმარების სახით ორი ვაგონი ფქვილი გამოუგზავნა, მაგრამ ეხლა სოფელში ხმა გავარდა, რომ ფქვილი სესხათ იყო მოცემული და გადახდას მოითხოვენო. ამან უკმაყოფილება გამოიწვია გლეხობაში. მათთვის იმ თავითვე უნდა ეთქვათ, თუ სესხათ იყო მიცემული ფქვილი. კარგი იქნება, თუ ვალის აკრეფას გადასდებენ, სანამ ახალი მოსავალი მოვა.

ელექსი გიქორაშვილი.

სანამ უნდა დარჩეს ასე

(სოფ. ჭალადიდ-მუხური, სენაკის მაზრა)

აქ არსებობდა დაწყებითი შრომის სკოლა. ყოველმხრივ ჩამორჩენილი თემი მხოლოთ ამით სულდგმულობდა. წელს ისიც მიიხურა საკუთარი შენობის უქონლობის გამო. ასამდე სასკოლო ასაკის ბავშვი სკოლას გარეთ არის დარჩენილი.

მახლობლათ სხვა სკოლა არ არსებობს, რომ დროებით იქ შეაფარონ თავი.

ადგილობრივი გულ-შემატკივარი ამ სოფელს არ ჰყავს. სათემო აღმასკომი სრულ უმოქმედობას იჩენს. ვნახოთ, რას იზამს ახალი აღმასკომი.

კიკა.

სახელმწიფო დაზღვევა ახალქალაქის მაზრაში

1-ლ თებერვლიდან ახალქალაქის მაზრაში, გადაწყდა შემოღებულ იქნეს სახ. სავალდებულო დაზღვევა საქონლისა და ნათესის.

ამ მიზნით სრულიად საქართველოს სახ. დაზღვევის კანტორამ გაგზავნა თავისი წარმომადგენლები ახალქალაქში, რომელთაც დაარსეს სამი სააგენტო: ერთი თვით ქალაქში და ორი რაიონში. სააგენტოებს დაევალათ საქონლისა და ნათესის აღრიცხვის კამპანიის ჩატარება, რის შემდეგაც უნდა აკრიფონ დაზღვევის გადასახადი.

ჯავახეთის გლეხობა ვერ შეხვდა მომზადებით ამ კამპანიას და საქონლის აღრიცხვაზედ, შიგადაშიგ სოფელმა უარი გამოაცხადა. იქნა ჩატარებული მთელი რიგი კრებებისა, სადაც ხალხი მოითხოვდა შემდეგს: „თუ ჩვენთვის სიკეთე გინდათ აგვინაზღაურეთ, რაც ამ წელიწადს საქონელი დაგვეხოცა და მეორეც ნათესები დაგვაზღვევინეთ ყინვისაგან, რადგანაც ჯავახეთში ნათესს ყინვა უფრო ანადგურებს, ვიდრე სეტყვაო.

ამის გამო სამაზრო-აღმასკომის მიერ აღძრული იქნა შუამდგომლობა, რათა ანაზღაურებული იქნეს წლის განმავლობაში დახოცილი საქონელი და ნათესებიც დაიზღვეს ყინვისაგან.

დურგლიშვილი.

ახალი საბჭო ამ თავითვე სუსტია

(ჯოლო-აბედათის თემი, სენაკის მაზრა)

თემში საბჭოთა არჩევნები 5 მარტს მოხდა, არჩევნებზე ამრჩეველთა დიდი უმრავლესობა გამოცხადდა. ახალ საბჭოში არჩეულია 40 წევრი. მათ შორის არც ერთი არ არის კომკავშირელი. ეს კომკავშირის სისუსტეს მიეწერება.

ამავე დღეს შესდგა ახალი საბჭოს სხდომა. აღმასკომის თავმჯდომარეთ ისევ ძველი თავმჯდომარე დარჩა. ის ფრიად პატიოსანი და ერთგული კაცია. უკვე ხუთი წელია მუშაობს, და საჭირო იყო მისი გამოცვლა.

სამაზრო ყრილობაზე დელეგატები სიით აირჩიეს. საბჭოს წევრები დუმილით შეხვდენ არჩევნებს და კანდიდატების დასახელებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

გულწრფელი.

საბჭოს არჩევნები ვარდის-უბნის თემში

(სიღნაღის მაზრა)

ვარდის-უბნის თემში, არჩევნები დაიწყო 2 მარტს და დამთავრდა 6 მარტს.

საარჩევნო კრებაზე დაესწრო ამრჩეველთა 74 პროცენტი, საბჭოში არჩეულია 38 წევრი: მათ შორის კომუნისტი 9, კომკავშირელი 3, ქალები 4 და უპარტიო 22.

აღმასკომის პრეზიდიუმში შედიან 3 წევრი და 4 კანდიდატი.

აქაური.

საჭიროა მეტი უნარი

(ს. ჩხიკვთა, თბილ. მ.)

სოფ. ჩხიკვთა აერთიანებს ალბულაღის თემში ქართულ მოსახლეობას. აქ სამ თვეზე მეტია, რაც გაიხსნა ქოხ-სამკითხველო, რომლის დაარსებისთვისაც გლეხობა დიდათ ზრუნავდა. უნდა აღინიშნოს, რომ ქოხ-სამკითხველოს მუშაობა ძალიან მოიკოჭლებს, ის ნახევრად დაკეტილია. ქოხ-სამკითხველოს ჰყავს საბჭო, მაგრამ ის არსებობს მხოლოდ ქაღალდზე, ერთხელადაც არ მოუხდენიათ ბჭობა საჭირო საკითხებზე. არავითარი წრე და არც ცნობათა ბიურო არაა მოწყობილი.

აქამდე გამგეს ვერ მოუხერხებია ერთი მოხსენების, საუბრის ან საღამოს მოწყობა. ხმამაღლა გაზეთის წაკითხვაც არ ღირსებიათ გლეხებს, რის გამო გაისმის საყვედური: „რად გვინდოდა სამკითხველო, თუ ვერ გავიგებდით, რა ხდება ქვეყანაზეო“. ჟურნალი და სხვა შესაფერისი ლიტერატურა ძალიან ცოტა მოსდის ქოხ-სამკითხველოს. რომ პოლიტ - განმანათლებელ დაწესებულებამ სოფლად მოიხვეჭოს მეტი სიმპატია, ამისთვის საჭიროა საბჭომ და დანიშნულმა გამგემ გამოიჩინოს მეტი უნარი და გააცხოველოს მუშაობა.

გულშემატკივარი.

ფხიანი მუშაობის ნაყოფი

(მცხეთა, თბილ. მ.)

მცხეთის თემში გლეხკომი დიდი ხანია არსებობდა, მაგრამ გლეხკომი არსებობდა მხოლოთ სოფლის ყრილობის ოქმში, ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია, როგორც მაზრის გლეხკომმა, ისე ადგილობრივმა აღმასკომმა: მოწვეული იქნა სათემო ყრილობა, სადაც მოხდა გადარჩევა ძველი გლეხკომის შემადგენლობისა.

ახალი გლეხკომის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. **ვანო ხუბიეროვი**. განახლებულ გლეხკომმა მოგვცა მრავალი ნაყოფი შედარებით ძველთან. მის დროს გამონახულ იქნა სხვადასხვა შემოსავლიანი წყაროები, რომლიდანაც შემოსავალი ამ ცხრა თვეში აღწევს 1200 მანეთ. ამ თანხიდან გლეხკომმა გაუწია ერთდროული დახმარება ქვრივ-ობლებს, ზოგს პურის ყიდვით, ზოგს ფულით, აგრეთვე დაეხმარა ხელმოკლე გლეხებს სესხით სახით. ქოხ-სამკითხველოს უწერს ჟურნალ-გაზეთებს და რაც უმთავრესია გააკეთა ერთი დიდი დარაბა, რომელიც გაცემულია იჯარით წელიწადში 720 მანეთად, რაც ითვლება გლეხკომის მუდმივი შემოსავლის წყაროთ.

გ. ნ—ლი.

მიწის გაყიდვა გახშირდა

(სოფ. ყანდაურა)

სოფელ ყანდაურაში ძალიან გახშირდა მიწების ყიდვა-გაყიდვა. გლეხები ხშირად ჰყიდიან მიწას, მდიდარი გლეხების ხელში დაგროვდა ბევრი მამული. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს.

ამ სოფლის გლეხობა წელს ძალიან დაზარალებულია და ამიტომ დიდ გაჭირვებას განიცდის. ნაწილობრივ ესეც უწყობს ხელს ამ ბოროტმოქმედების გავრცელებას. საჭიროა დროზე ზომების მიღება.

მეთვალყურე.

წერილებიდან

ზუგდიდი

საბჭო თავის წევრებზე ზრუნავს. ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის საბჭოს წევრმა ლაშხიამ, სხვადასხვა მოხერხებით 250 მანეთი გაიტანა სალაროდან. ლაშხია დღესაც ატუზულია ამხანაგობის კარებთან და სესხის აღებას ელოდება. ეს მაშინ, როცა ამხანაგობის ბევრი წევრები ვერ ღებულობს სესხს უფულობის გამო.

მამხილი.

ს. ყვავილი, (დუშ. მ.)

რათ წაგვართვით სკოლა. ამ სამიოდე წლის წინათ დაგვიხურეს ადგილობრივი სკოლა და მთელი მისი მოწყობილობა (პარტები, მაგიდები, დაფები) სხვა რაიონში გადაიტანეს. დღეს აქაური ბავშვები სკოლის გარეთ დარჩნენ. საჭიროა ყვავილის სკოლა აღდგენილ იქნას შემოდგომიდან.

ვ. მუშა.

არჩევნების ქრონიკა

შორაპნის მაზრა

ლღვან-მარელისის თემში, არჩევნებში მონაწილეთა რიცხვი 43 პრ. უდრის, სულ არჩეულია 38 წევრი. ამათში 3 ქალი, კომუნისტი 14, უპარტიო 2.

ქვედა საზანოს თემში, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 43 პროც. სულ არჩეულია 51 დეპუტატი. ამათში: 3 ქალი, კომუნისტი 5 და უპარტიო 46.

მოლითის თემში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 52 პროც. არჩეულია 64 წევრი. ამათში: 5 ქალი, კომუნისტი 13, კომკავშირელი 5 და უპარტიო 46.

ბორჩალოს მაზრა

გიაურ-არხის თემში არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 42 პროც. არჩეულია 45 წევრი. 5 კომკავშირელი და 40 უპარტიო.

სოფლის ქრონიკა

— **საბავშვო ბაღები.** 8 მარტს, სოფ. ბოდბისხევში, ლაგოდეხში, ქ. სიღნაღში გაიხსნა ქალთა დღის სახელობის საბავშვო ბაღები.

— **კედლის გაზეთი.** 7 მარტიდან სიღნაღში დაიწყო გამოსვლა ორკვირეულ კედლის გაზეთმა „განათლების კავშირის „ხმა“-მ

— **სოფ. ჭიაურში** დაიწყო მუშაობა სიღნაღის სამაზრო აღმასკომის წისქვილმა, რომელიც მუშაობს ელექტრონის ძალით და მოწყობილია უკანასკნელი ტეხნიკის მიხედვით.

— **სად. ბორჯომიდან** ბორჯომ-პარკამდე ნაცვლად ვიწრო-ლიანდაგიანი რკინისგზისა გაყავთ ფართო რკინისგზის ლიანდაგი.

— **საფოსტო განყოფილება.** გაიხსნა საფოსტო განყოფილება დაბა ლახამუში (სვანეთი).

კოოპერაცია

ცეკავშირის რწმუნებულთა მე-11 ყრილობა

მესამე სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. ბოლქვაძე

მესამე სხდომაზე, რომელიც გაიხსნა 15 მარტს, საღამოს 6 საათზე, გრძელდება კამათი გამგეობის მოხსენების გარშემო (დილის სხდომაზე მუშაობდა სპეციალური კომისია, ცეკავშირის 1925—26 წლის ხარჯთაღრიცხვის შესახებ). კამათში მონაწილე ცეკავშირის გამგეობის წევრი, ამხ. ცაგარელი არ ეთანხმება ოპონენტებს, თითქოს გამგეობას არ სცოდნოდეს, თუ რა მდგომარეობა იყო ცეკავშირში.

ამხ. მ. ტოროშელიძის საბოლოო სიტყვა

საბოლოო სიტყვა ეძლევა ამხ. ტოროშელიძეს. იგი ამბობს, რომ ყველა ორატორების გამოსვლას ჰქონდა საქმიანი ხასიათი, მხოლოდ ამავე დროს გამოირკვა ერთი მავნე გადახრა, სახელდობრ, ზოგიერთი პიროვნებების და, კერძოთ ლოსკუტოვის წინააღმდეგ გალაშქრება. შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ლოსკუტოვი იყოს მიზეზი ცეკავშირის დღევანდელი მძიმე მდგომარეობისა.—მე არ მსურს დავიცვა ლოსკუტოვი, მაგრამ თამამად ვიტყვი, რომ ასეთი მიდგომა უკვე სცილდება ყოველგვარ საქმიანობას. მართალია, ჩვენი ბუხჰალტერია არ იყო კარგად დაყენებული აქამდე, მაგრამ დღეს უნდა ითქვას, რომ იგი სამაგალითო მდგომარეობაშია.

რაც შეეხება ზარალს,—ყველასათვის გასაგებია, რომ ზარალს მოგება სჯობია და უკეთესი იქნებოდა ჩვენც ზარალის მაგიერ მოგება გვეჩვენებია, მაგრამ მახინჯი ფაქტი ჩვენს წინაშე მაინც სდგას და მას ვერ გავექცევით.

ახლა გადავდივარ სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ურთიერთობაზე. აქ სთქვეს, თითქოს ერთი ცენტრი იხსნიდა ცეკავშირს შექმნილი მდგომარეობიდან. მე ვიტყოდი — ასეთი დასკვნა ნაჩქარევია და ამ საკითხის ხელმეორედ დასმა არ არის საჭირო. ამ ორმა ორგანიზაციამ უკვე გაიკვლიეს საკუთარი გზები და ამის შესახებ ლაპარაკი ერთხელ და სამუდამოთ დასრულებულად უნდა ჩაითვალოს. ის კი არა, მწუხარებას უნდა გამოვსთქვამდეთ, რომ ჩვენ ძალიან გვიან ავიღეთ საკუთარი სამომხმარებლო გეზი.

რაც შეეხება გეგმიანობას, გულახდილად უნდა ითქვას, რომ თუ ცენტრის არა, არც პერიფერიას ჰქონია შემუშავებული იგი. ეხლა ყრილობაზე ამ საკითხისადმი სერიოზული ყურადღების მიქცევა მოწმობს მის მომწიფებას ჩვენს შორის, რასაც ყოველი ჩვენგანი უნდა მიესალმოს.

აქ შეეხნენ აგრეთვე ძირითად კოოპერატივების დავალიანებას და საპაიო თანხების გადახდას. სთქვეს, თითქოს ძირითად კოოპერატივებს არ ჰქონდეთ შესაძლებლობა პაების გადახდისა. ეს შეუძლებელია. საპაიო თანხების მხრივ ჩვენი კოოპერაცია ყველაზე უკან სდგას საბჭოთა კავშირში. თუ საპაიო თანხები არ იქნა აკრეფილი, ისე საკუთარი თანხების შექმნაც შეუძლებელია და უამისოდ ჩვენ არავინ გვენდობა. წლევანდელ მდგომარეობიდან იმედი გვაქვს, რომ ცენტრის დახმარებით გამოვალთ, მაგრამ თუ საკუთარი საშუალებები არ გვექნა, ასეთი დახმარებით შორს ვერ წავალთ. თქვენ ყველანი ერთხმად აღიარებთ, რომ ცეკავშირის არსებობა აუცილებელია; მაშ, თუ ასეა, ხელი უნდა შეუწყოთ მის გაჯანსაღებასაც—საკუთარი თანხების დაგროვებით.

ამხ. ტოროშელიძის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ მოისმინა კომისიის ინფორმაცია ცეკავშირის ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ და დაადგინა: მისი დამტკიცება მიენდოს ცეკავშირის ახალ საბჭოს უახლოეს სესიას და სარევიზიო კომისიას.

საერთაშორისო კოოპერატიული კავშირი

შემდეგ, ამხ. ტოროშელიძე ყრილობას აცნობს საერთაშორისო კოოპერატიული გაერთიანების (ალიანსის) თანამედროვე სახეს და ახასიათებს მის დამოკიდებულებას საბჭოთა კოოპერაციასთან. მომხსენებელი აგრეთვე ეხება კოოპერატორთა უკანასკნელ პარიზის კონფერენციის მუშაობას.

დასასრულ, ამხ. ტოროშელიძე ყრილობას აგონებს ფაშისტების მიერ იტალიის კოოპერაციის დარბევას და შემოაქვს წინადადება,—ყრილობამ ამის შესახებ გამოსთქვა თავისი პროტესტი, რასაც დელეგატები ერთხმად ღებულობენ.

მეოთხე სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. კაცაძე

16 მარტის დილის სხდომაზე ყრილობა შეუდგა ცეკავშირის წესდების განხილვას. ყრილობის დადგენილებით შეცვლილ იქნა წესდების მე-28 მუხლი, რომელიც აქამდე საშუალო შეძლების კოოპერატივებს აძლევდა რწმუნებულების არჩევის უფლებას ცეკავშირის ყრილობაზე. ეს მუხლი შეცვლილ იქნა და იგი მომავალში ყველა საშუალო კოოპერატივებს საშუალებას აძლევს გზავნონ ხოლმე ყრილობაზე თავისი რწმუნებულები.

მიმდინარე საკითხები

წესდების განხილვის შემდეგ ყრილობა გადადის მიმდინარე საკითხების განხილვაზე.

მიმდინარე საკითხებში დაისვა ექვსამდე კითხვა, რომელთაგან ყველაზე მეტი ყურადღება მიიპყრო საკითხმა კოოპერატივების და ბანკების ურთიერთობის შესახებ.

ამ საკითხზე განცხადებით გამოდის ფოთის მუშკოოპის რწმუნებული ამხ. **ნოდია**, რომელიც ხაზს უსვამს იმ არანორმალურ მდგომარეობას, რომელიც არსებობს კოოპერატივთა და ბანკებს (კერძოთ კოოპერატიული ბანკის) შორის. იგი აღნიშნავს, რომ კოოპერატიულმა ბანკმა ვერ გაამართლა იმედები.

ამხ. ნოდიას გარდა, ამ საკითხის შესახებ გამოდიან სხვა კოოპერატივების წარმომადგენლებიც, რომლებიც სავსებით ეთანხმებიან მას და დასძენენ, რომ კოოპერატივების გაპროტესტება უმეტესად ბანკების კანცელიარშჩინით ხდება.

არჩევნები

დასასრულ ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია გამგეობის მოხსენების შესახებ *) და გადავიდა არჩევნებზე.

გამგეობის ახალი წევრები

არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: **მ. ტოროშელიძე, გ. ნაფეტვარიძე, ცაგარელი, ალფეს ხელაძე** და **ბერძენიშვილი**.

სარევიზიო კომისია:

ერქომაიშვილი, კორძაია, ალანია (ვსეგობანკის თავმჯდომარე) და კანდიდატებათ: იბოლაძე.

ცეკავშირის საბჭო არჩეულ იქნა 30 ამხანაგის შემადგენლობით. საბჭოს თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. **გერმანე წგალობლიშვილი**.

ცენტროსოიუზის ყრილობაზე გასაგზავნათ არჩეულნი არიან შემდეგი ამხანაგები: **მ. ტოროშელიძე, ბალტინი, ჩილინგირიდი, აჯუმოვი, ვ. ბოლქვაძე, შიშნიაშვილი, ნიკურაძე** და მათ კანდიდატად ამხ. **კაცაძე**.

„ზაკსოიუზი“-ს ყრილობაზე არჩეულია დელეგატებათ 33 კაცი.

---

*) რეზოლიუციას მოვათავსებთ შემდეგ ნომერში.

მუშათა ცხოვრება

ჩვენ ვკითხულობთ გაზეთებს

(მუშის შენიშვნა).

ხშირად ჩვენ ქარხანაში სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხნების მუშებიც მოდიან და ჩვენს წარმოებას ათვალიერებენ. ერთხელ ერთი ამ მუშათაგანი გაჩერდა ჩემი დაზგის წინ, რადგან მან თვალი მოჰკრა კედელზე მიკრულ პლაკატს, რომელზედაც ეწერა: „წაიკითხეთ გაზეთი, მხოლოდ არა მუშაობის დროს“-ო.

— ამხანაგო, გაზეთებს კითხულობთ?

— ვკითხულობთ, თუ კი დროს ვიშოვით.

— გაზეთის კითხვას რა დიდი დრო უნდა?

— გეტყობათ, ახლანდელ გაზეთებს თქვენ არ კითხულობთ, თორემ გეცოდინებოდათ, დიდი დრო უნდა, თუ პატარა მათ ზერელეთ გადათვალიერებასაც კი. თქვენ ხომ კითხულობთ გაზეთებს?

— რასაკვირველია, ყოველ დღე, ან მკვდრების განცხადებებს, ანდა მას, რაც მსხვილი შრიფტით არის დაბეჭდილი.

—რისთვის არ მოგწონთ მანდ მოთავსებული წერილები? რა მიზეზია?

— შეიძლება ყველა მოსაწონი იყოს, მაგრამ მაინც ვერ ვკითხულობ დროის უქონლობის გამო, მუშაობაში ნებას არ გვაძლევენ. მუშაობის შემდეგ ან კრებაზე ვართ, ანდა მშიერი სახლში მივეშურებით.

— კარგი და, სახლში მაინც არა კითხულობთ?

— ვცდილობთ წავიკითხოთ, მაგრამ იქაც გვემძიმება გაზეთების კითხვა.

— რა არის მიზეზი?

— ის, რომ ყველა გაზეთები ისეა გატენილი მასალებით, როგორც სირაჯ-მელქუას ღვინის რუმბები.

— არ მესმის, რა გინდა ამით სთქვა!

— მე ის მინდა გითხრათ, რომ ამ უკანასკნელ დროს ჩვენი გაზეთების თანამშრომლებს დოლი აქვთ გამართული: ყველა ცდილობს, რაც შეიძლება გრძლად და ჩქარა დასწეროს წერილები, რომ თავიანთ კოლეგებს არ ჩამორჩეს. რედაქციები თავიანთ მხრივ ერთი-მეორეს ეჯიბრებიან ახალი მასალების ძებნაში და შემდეგ გამოუშვებენ რვა გვერდს წვრილი და თვალით უხილავი შრიფტით იმდენ მასალას, რომ ცაში ვარსკვლავების დათვლა უფრო ადვილია, ვიდრე ერთი გაზეთის თავიდან ბოლომდე წაკითხვა.

— მაგ მხრივ მართალი ხარ, ამხანაგო! ამ უკანასკნელ დროს ეს თითქოს „მოდად“ შემოვიდა. ალბათ, ფიქრობენ, რომ ამით მეტ განვითარებას შემოიტანენ მუშებში.

— შესაძლებელია, მაგრამ... დაწერილს წამკითხველი არ უნდა?

— რასაკვირველია. და თუ ვერ წაიკითხავენ საგაზეთო მასალას, რად გვაყრიან ამდენს სრულიად უნაყოფოდ? განა არა სჯობია, რომ ქაღალდსაც ეკონომიურად მოუარონ და რჩეული, დახვეწილი მასალა მოგვაწოდონ მკითხველებს?!

მუშა ამბალი.

ყველამ გაიგოს, თუ ვინ არის დამნაშავე

„კომუნისტის“ მე-31 №-ში მოთავსებული იყო მოქალაქე ი. კეკელიას წერილი ჩემ წინააღმდეგ სათაურით: „ამ ვერაგს ჭკუა უნდა ასწავლოთ“.

ამ ცილისწამების გასაბათილებლად და სიმართლის აღსადგენად მოქალაქე ი. კეკელიას ვიწვევ სამედიატორო სასამართლოში წინასწარ პირობით, რომ მტყუანმა მხარემ გადაიხადოს ქუჩის ბავშვთა დამხმარე კომიტეტის ფონდისათვის ასი მანეთი და საჯაროდ დანაშაულიც აღიაროს.

ჩემი მხრით ვასახელებ მედიატორებად ლადო წულაძეს და ვარლამ ურუშაძეს. მოქალაქე ი. კეკელიას ვაძლევ ერთი კვირის ვადას მედიატორების დასახელებისათვის, რის შემდეგ მსჯავრის დასადებად მივმართავ სასამართლოს.

ირაკლი გოგეშვილი.

ეს მუშა რად ცუღლუტობს

მთავ. სახელოსნოების სახარატო საამქროში მუშაობს ვინმე ტრანკაძე, რომელიც 9 მარტს დასდგომოდა თავს ამბულატორიის ექიმს დეკანოზიშვილს და უყვიროდა: გინდა თუ არა კერძო ექიმის გამოწერილ რეცეპტზე ხელი მომიწერეო. ექიმის პასუხზე, რომ მას არა აქვს უფლება სხვა ექიმის რეცეპტი შეამოწმოს, ტრანკაძე უხეშად მიმართავდა; „შენ ჟანდარსავით იქცევიო“. მე შინ წავალ, დავწვები და დაგიძახებ და მაშინ ხომ მომიწერ ხელს რეცეპტზეო“. მოქ. ტრანკაძეს აშკარად სურდა მოეტყუებინა როგორც ექიმი, ისე აფთიაქი. მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ტრანკაძე აშკარა სიმულიანტია, ის უღირსი მუშაა.

ადგილკომო, ჭკუა ასწავლე!

მუშკორი დამსწრე.

სასტიკად ვებრძვით კონდუქტორების [illegible]

(პასუხათ ამხ. მილიციელს)

„კომუნისტ“-ის № 49-ში სათაურით „ეს საკითხი უნდა მოგვარდეს“ მუშკორი მილიციელი აცხადებს, რომ სოფლელები ახტებიან ტრამვაის რონოდებს და კონდუქტორები მათ აჯარიმებენო.

ვაცხადებ, რომ დღიდან სავალდებულო დადგენილების გამოქვეყნებისა, გაცემულია განკარგულება, რომ კონდუქტორებმა არ მოიხმარონ სავალდებულო დადგენილება № 81 გლეხებისადმი და მართლაც დღემდის მხოლოთ და მარტო ერთი საჩივარი მივიღეთ, წერილები კი ბევრი იყო ამის შესახებ მოთავსებული და ვინაიდან წერილის ავტორები არ ასახელებენ ვინაობას არც გლეხის და არც კონდუქტორისა, ამიტომ საშუალებას მოკლებული ვართ აღმოვაჩინოთ დამნაშავე პირები.

ვთხოვთ ყველა მოქალაქეებს, რომლებიც შეამჩნევენ რაიმე უკანონო, გადაჭარბებულ მოქმედებას კონდუქტორების, ვატმანების, მეწესთვალეების ან სადგურის უფროსების მუშაობა-მოპყრობაში, ნუ მოერიდებიან და დასწერონ: 1) იმ მოქალაქის ვინაობა და მისამართი, რომელსაც უდიერათ მოექცნენ; 2) კონდუქტორის, ან ვინც იქნება, ნომერი და გვარი; 3) რონოდის ნომერი და დრო; 4) გვარი და მისამართი ორი, ან სამი მგზავრისა (მნახველისა).

ამრიგათ არც ერთი შემთხვევა ტრამვაის მოძრაობის მუშა-მოსამსახურის უკანონო მოქმედებისა გამოურკვეველი და დაუსჯელი არ დარჩება და მოძრაობის შეფერხება და არევ-დარევასაც ბოლო მოეღება.

გაზეთების გარდა შეიძლება განცხადება-საჩივრები იყოს მოთავსებული ტრამვაის ყველა სადგურებზე ამ მიზნისთვის საგანგებოთ დადგმულ-მოწყობილ ყუთებში.

ტრამვაის დირექტორი ფარნიევი.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **ბოლო უნდა მოუღოთ ქურდებს.** სად. თბილისში სისტემატიურად თავს იყრიან ვიღაცა ავარები და ვიგინდარა ხალხი, რომელნიც ეწევიან ქურდობას, ატყუებენ ახლად ჩამოსულ მცხოვრებთ, რომელთაც მტვირთველ მუშების სახით ევლინებიან. ეს ვიგინდარა ავარა-ბრბო სახელს უტეხს პატიოსან მუშებს.

ამიტომ მოვითხოვთ მათი აქედან აბარგვას.

მუშა მუკორი.

— **ეს ჭაობი უნდა ამოაშროთ.** ყოფ. ვორონცოვის ხიდთან სდგას აყროლებული ჭაობი, რომელიც ზაფხულში გახდება ციებცხელების საბუდრად და აქაურ მოსახლეობისათვის სახიფათო შეიქნება. ეს ჭაობი ან უნდა ამოაშროთ, ან და იქითკენ უნდა გაუშვათ მტკვრის წყალი, რომ ეს ჭაობი ამოირეცხოს.

მუშა გოჩიაშვილი.

— **გაანათეთ ეს ქუჩა.** ქალ. ქუთაისის პირველ უბანში არის პროფ. მარრის სახელობის ქუჩა ამ ქუჩაზე ღამით ადამიანს არ გაევლება ისე საშინლად ბნელა. ამ სიბნელის გამო, აქ გავრცელებულია ქურდობა, ღამით დაცემა, ადამიანის შეურაცყოფა და სხვა.

საჭიროა ეს ქუჩა გაანათოთ და მასზე დაამყაროთ წესრიგიც.

ქუთათური.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

ჩვენ თანამშრომელს საქართველოს სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოში აცნობეს: მახლობელ დღეებში საქართველოს სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭო გამოაქვეყნებს ბრძანებას, რომელიც შეეხება საბჭოთა სინადვილის ერთ-ერთ მტკივნეულ საკითხს—ეკონომიის რეჟიმის შესახებ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში. ბრძანებაში აღნიშნულ იქნება, რომ ბრძოლა ეკონომიის რეჟიმის განსახორციელებლად სწარმოებდა წინადაც, მაგრამ ამ ჟამად ეს ბრძოლა გაძლიერებული წესით უნდა იქნეს გატარებული. ბრძანებაში ხაზ გასმით აღნიშნული იქნება, რომ ეკონომიის რეჟიმის მთავარი მიზანია—შინაური დაგროვების გზით მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, კერძოთ მრეწველობაში, შექმნა იმ საშუალებებისა, რომლებიც საჭიროა მრეწველობის გაფართოება-აღორძინებისათვის. ცენტრში დაარსებულია კომისია, რომელიც თვალყურს ადევნებს ბრძანების ცხოვრებაში გატარებას.

საქართველოს ტრესტების მიმდინარე საოპერაციო წლის ბალანსების დაანგარიშების განხილვა ჯერ არ არის დამთავრებული, მაგრამ ეხლავე შეიძლება აღნიშნულ იქნეს მრავალი ზედმეტი ხარჯები, რომლებიც მძიმე ტვირთად აწვებიან ამა თუ იმ წარმოებებს. ძვირი ჯდება ბალანსების და აგრეთვე ხუთი წლის საპერსპექტივო გეგმების ბეჭდვა. შემჩნეულია გადაჭარბებული რეკლამები, რომლებიც სრულებით არ არის გამოწვეული აუცილებლობით. საერთოდ საქართველოს ტრესტებში და სხვადასხვა წარმოება დაწესებულებებში არსებობს მრავალი დეფექტები, ადგილი აქვს მრავალ ზედმეტ, გაუმართლებელ ხარჯებს და ეკონომიის რეჟიმის მიზანია ყოველივე ამის მოსპობა.

სასოფლო-მეურნეობის მდგომარეობა

პირველ მარტისათვის

ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობების თანახმად სასოფლო მეურნეობის მდგომარეობა საქართველოში პირველი მარტისათვის ასეთი იყო:

თებერვალში აღმოსავლეთ საქართველოში ამინდი ომიერი იყო. თოვლი თითქმის ყველა მაზრაში მოვიდა, მაგრამ თბილი ამინდის გამო მალე გადნა. წვიმები იშვიათი იყო. ნიაღვარი არსად არ ყოფილა.

დასავლეთ საქართველოში ამინდი უმეტესად თბილი და მზიანი იყო. თოვლი არ მოსულა. წვიმები საკმაოდ ხშირი იყო.

საერთოდ ამინდი თებერვალში ხელსაყრელი იყო სასოფლო მეურნეობისათვის.

ზამთრის ნათესების მდგომარეობა საქართველოში პირველი მარტისათვის (ხუთ ბალიანი სისტემის მიხედვით) ასეთი იყო:

ახალქალაქის მაზრაში. ნათესების მდგომარეობა გამოურკვეველია, რადგან თოვლი არ გამდნარა, **დუშეთის მაზრაში** უდრიდა—3 ბალს, **თელავის**—3, **სიღნაღის**—4, **გორის**—4, **ბორჩალოს**—3,5. საშუალო ბალი აღმოსავლეთ საქართველოში—3,6.

დასავლეთ საქართველოში: **შორაპნის მაზრაში**—3,5, **ქუთაისის**—4, **ზუგდიდის**—4, **სენაკის**—3, საშუალო ბალი დასავლეთ საქართველოში—3,6.

ნათესების მდგომარეობის საშუალო ბალი მთელი რესპუბლიკისათვის უდრიდა—3,6.

მინდვრის თაგვები გავრცელებულია სიღნაღის მაზრაში, შირაქის ველზე და ლაგოდეხის რაიონში. მავნეები სწრაფათ მრავლდებიან და დიდ ზარალს აყენებენ ნათესებს.

საქონლის ჭირი ყველა მაზრებში შემცირდა.

ბრძოლა საქონლის ჭირთან

ა.-კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ, მხედველობაში მიიღო, რომ ა.-კ. რესპუბლიკებში გავრცელებული საქონლის ჭირი მოითხოვს სასწრაფო ზომებს, მის მოსასპობათ და გაითვალისწინა რა, რომ 25—26 წლის ბიუჯეტის მიხედვით გადადებული თანხები საკმარისი იქნება მხოლოდ საბეითლო საქმის მიმდინარე საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ, დაადგინა შუამდგომლობა აღძრას საკავშირო მთავრობის წინაშე, რათა 25—26 საბიუჯეტო წლის განმავლობაში დამატებით გადადებული იქნას საერთო საკავშირო თანხებიდან განსაზღვრული ნაწილი საქონლის ჭირთან ბრძოლის გასაძლიერებლათ ა.-კავკასიაში.

გამოთხოვილი თანხის საერთო რაოდენობა უდრის 551.202 მან., აქედან საქართველოს მიეცემა—198.498 მან., აზერბეიჯანს—189.234 მან. და სომხეთს—163.470 მან.

საქართველოს მიწადმოქ. სახალხო კომისარიატს დაევალა ა.-კავკასიის სხვა რესპუბლიკების მიწადმოქ. სახ. კომისარიატებთან შეთანხმებით, გამოიმუშაოს საერთო ღონისძიებები საგანგებო კრედიტების მისაღებათ და საქონლის ჭირთან ბრძოლის საწარმოებლათ.

რკინის გზებზე

მატარებლის დამტვრევა.

16 მარტს, დილის 4 ს. და 25 წ., სადგ. პუტაში (ბაქოს ხაზი) დაიმტვრა მატარებელი № 378, რომელსაც დაემტვრა 4 ვაგონი და ორთქლმავალი და ასცდა ლიანდაგს ყველა ბორბლებით.

მიზეზი მატარებლის ლიანდაგიდან აცდენისა არის ცენტრალური ისრის უვარგისობა.

დაშავებულია 1 კონდუქტორი.

დამხმარე მატარებელმა, რომელიც გაიგზავნა სადგ. ბალაჯარიდან ორი საათის შემდეგ, გასწმინდა ხაზი.

მატარებლის დამტვრევის გამო მატ. № 4 სადგ. ებადში და № 7 სადგ. ჩერნოგორკაში გაჩერებულ იქნენ თითო საათით.

შემთხვევის ადგილზე გაიგზავნა კომისია მიზეზების გამოსარკვევად.

სადგ. სანაინში.

15 მარტს, საღამოს 8 საათზე, საბარგო მატარებლის მანევრის დროს, [illegible] გამო ლიანდაგს ასცდა [illegible] ცარიელი ცისტერნა.

ხაზის დაზიანებას და უბედურ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

თელავ-ახმეტის რკინისგზის ხაზი

ამჟამად დამთავრდა თელავ—ახმეტას რკინის-გზის ხაზის გამოკვლევითი მუშაობა.

შეცვლილია 1918 წელს მიღებული ვარიანტი, რომლის მიხედვით რკინის გზას უნდა გაევლო სოფელ ოჟიოს და ქისტაურის ზემოთ და შედიოდა ახმეტაში. ახალი ვარიანტით ხაზი გაივლის აღნიშნულ სოფლების ქვემოთ, მდ. ალაზანის მახლობლად.

ინჟენერ ბ. ჭიჭინაძის აზრით, მეორე ვარიანტის განხორციელება უფრო ადვილი საქმეა.

თელავ—ახმეტას რკინის-გზის ხაზის გაყვანა შეიძლება დამთავრებულ იქნას ერთი წლის განმავლობაში.

ინჟენერ ჭიჭინაძის მოხსენება ამ ხაზის შესახებ შეეხება ამიერ-კავკასიის რკინის გზების შპალების მეტად მწვავე საკითხს. მომხსენებლის აზრით, საჭიროა შპალების დამზადება 2 წლის განმავლობაში სწარმოებდეს თელავ—ახმეტას რაიონში და შემცირებულ იქნას ხე-ტყის მასალების დამზადება სხვა დანარჩენ რაიონებში.

თბილისიდან გორამდე

თბილისიდან გორამდის—მუხრანზე, სამთავისზე და ტირიფონის ველზე გავლა სწორეთ რომ საცდუნებელ მოგზაურობას წარმოადგენს.

დილის 8 საათია. ჯერ თბილის არც კი გაუღვიძია წესზე. ჩვენი ავტო უკვე გასცდა ხაზურთალოს უკანასკნელ სახლებს.

მზე და ღრუბლები ერთმანეთს ეცილებიან ცის ბატონობაში. გულში ყველასი ვმკითხაობთ:

— კარგი დარი იქნება თუ ცუდი? ხომ არ შეგვინანდება ეს ყოვლად სასიამოვნო მოგზაურობა?

დიღმის მინდორზე საშინელი ქარი უბერავს—ცივი და ძლიერი.

ზოგიერთი ისტორიკოსი ქართლის სახელწოდების წარმოშობას ხომ უკავშირებს ამ მხარეში ქარის ხშირსა და ძლიერ ქროლვას!

ამ დროს რომ ვისმეს დაეცვა ეს მოსაზრება, მას უეჭველად ექნებოდა დამაჯერებელი ძალა.

—

აგერ ზაჰესის ელექტრო-ქალაქი! განა თუ ყოველ თვე, არამედ ყოველ კვირა ეტყობა ახალ-ახალი წარმატება და გიგანტური ზრდა. მგზავრის თვალი ყოველთვის პოულობს რაიმე ახალსა და გასაკვირველს.

ყველას ენატრება ის წამი, როცა მდინარე მტკვარი ელექტრონის მდინარეთ მოედება საქართველოს გულს და ახალ გარდაქმნის ძალათ შამოიჭრება ჩვენს ცხოვრებაში.

მტკვრის გაღმა რომ თანამედროვე ტეხნიკა ასე სწრაფად იშენებს უდიდეს სატახტო-ქალაქს, გამოღმა ისევ კერპათა სდგას დანგრეული კოშკის ცალი ფრთა.

ეს ულამაზესი სიმბოლოა ორი სანაპიროსი—წარსულისა და მომავლისა.

—

გავცდით მცხეთას. მივდივართ მტკვრის პირზე. აქ შინაურული გზა ყოფილა, მაგრამ ეხლა ისიც აღარ არის: ქვის კედელს აშენებენ, რადგან მტკვრის შეგუბების დროს წყლის დონე აქაც აიწევს და რკინის გზისთვის საფრთხეს წარმოადგენს.

ურმებისაგან ნაძალადევათ გაკაფულ ქვეშზე გვიხდება გავლა დიდის წვალებით. ძეგვის ხიდიდან გაუხვიეთ მუხრანისაკენ.

ქართლში აღსანიშნავია მუხრანის მხარე, რადგან აქ კიდევ საკმაოთ მოიპოვება ტყეები და მწვანეულობა. მაგრამ ეტყობა ჩვენი გლეხის ცული აქაც შეჭრილა დაუნდობრათ: ზაფხულში რომ ქსნის ნაპირებს კიდევ ამშვენებდენ ასწლოვანი მუხები და თელები, ეხლა ნახევარზე მეტი გაჩეხილია და იმათი ჯირკები ახალ თავ-მოჭრილ კაცებს მოგვაგონებენ.

მუხრანში არა ვჩერდებით, დრო საწუარია. მანძილიც დიდია. შეჩერება განზრახულია სხვა ადგილებში

ქსნის მდინარეში მოვსძებნეთ ფონი და გავედით პირდაპირ—საფქვი დადებული ურემივით. გზას ხელმძღვანელობას ეწევათ გორის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ქურდაძე, გავივლით თუ არა რომელიმე ოღრო-ჩოღრო ადგილს, ის მუდამ გვანუგეშებს:

— მორჩა! ამის შემდეგ სულ გატკეცილი გზა არის გორამდისო!

მაგრამ რამდენ ადგილას კიდევ უნდა გატკეცა იმის სამაზრო გზას დაე, ეს ვიცოდეთ მარტო ამხ. ქურდაძემ და მისმა თანამგზავრებმა.

—

შუადღისას სამთავისში ვართ.

ამ სოფლის ხსენებასთან ერთად ყველას თვალწინ უდგება იქაური კომუნა.

სოფლის მისავალზევე თვალსაჩინოდ გადაჭიმულან კომუნის საუცხოვო შენობები. ეზოში დაგროვილან მახლობელ სოფლების მცხოვრებნი რომელთაც გაუგიათ ამხ. ფილიპეს მოსვლის ამბავი.

მთელი ხალხი ვაშას ძახილით ეგებება მცხოვან ბელადს. მოხუცებსაც ისევე უხარიათ მისი დანახვა როგორც ბავშვებს, რომლებიც ფეხდა-ფეხ დასდევენ კომუნის ყოველ კუთხის დათვალიერებაზე.

ამ კომუნის მდგომარეობა და მისი დახასიათება ჩვენ უკვე სავსებით გვქონდა აღწერილი „კომუნისტში“ გასულ ნოემბრის ერთ-ერთ ნომერში და ეხლა მკითხველს აღარ შევაწყენთ თავს განმეორებით.

საცხოვრებელი შენობა უკვე დაუმთავრებიათ. თეატრიც თითქმის დასრულებულია. შეუძენიათ სალეწი მანქანა და ეტყობა კიდევ სხვა მრავალი გაუმჯობესება.

ამხ. ფილიპემ, მარიამ ორახელაშვილმა და სხვებმა ყურადღებით დაათვალიერეს იქაურობა და გამოჰკითხავდენ კომუნის ყოველმხრივ მდგომარეობაზე.

ეს კომუნა ყოველმხრივ სანიმუშოა და თავისებური მოვლენაა ქართული გლეხობის ცხოვრებაში. მას დიდის ყურადღებით ეპყრობა როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი, ისე უმაღლესი ორგანოებიც და შესაფერადაც უწყობენ ხელს. მხოლოდ დიდ უხერხულობას წარმოადგენს ამ კომუნის დავალიანება. ხელმძღვანელები უნდა ეცადონ, ყოველი საქმე დაიწყონ თავიანთი ძალ-ღონის დაკვალად. გარეშე დახმარება და სესხი კი იმდენათ უნდა მიიღონ, რამდენადაც ეს მძიმე ტვირთად არ დააწვება კომუნის არსებობასა და წარმატებას.

—

ქარი თავისას არ იშლის. თანაც ჟინულავს უგემურათ. ხალხი მაინც მრავლათ არის თავმოყრილი, თანაც კიდევ ემატებიან [illegible] ლი მხრიდან. უნდათ [illegible] და გაიგონ სიტყვა [illegible], რომლის სახელიც ესმით ხშირათ, მაგრამ არ ჰქონიათ შემთხვევა პირისპირ შეხვედრისა.

ნახევარ საათს ესაუბრა ამხ. ფილიპე გარშემორტყმულ გლეხობას. მისი დარიგებით, საქმიანი და სადა სიტყვა ყველაში იწვევს ნდობასა და პატივისცემას.

ბევრი სოფლებიდან მოსმენილ იქნა სხვადასხვაგვარი განცხადებანი თავიანთ საჭიროებაზე. რამდენიმე პირადი განცხადებაც იყო. ამხ. ფილიპემ ყველა ჩაინიშნა და შეჰპირდა შესაფერ პასუხს.

რამდენიმე გლეხმაც ილაპარაკა და დიდის კმაყოფილებით აღნიშნეს ამხ. მახარაძის ამ კუთხეში მოსვლა.

— ამხ. ფილიპე ნამდვილი მახარაძეა ხალხისთვისო! მისი მოსვლა ისე გაეხარდათ ბავშვებსაც, კი რომ ფეხთ ჩაცმას ვეღარ ასწრებდენ, ისე გამოიქცენ მის შესახვედრათო!

მსგავსი სიტყვებით ეგებებოდენ ამხ. ფილიპეს სვანეთის საგანგებოთ მჭერმეტყველი გლეხობა.

შინაურულათ დანაყრების შემდეგ განვაგრძეთ გზა.

ერთი სათის შემდეგ მოვედით სოფ. ქვემო-ჭალაში.

შუა სოფელში მოჩანს ექვსი-შვიდი ძველის-ძველი ლამაზი კოშკი. ზოგი რგვალია, ზოგი ოთხ-კუთხი. ყველა ისინი სოფელს აძლევენ ისტორიულ იერს და სცდილობ აღმოიკითხო იქ ჩვენ წინაპართა ცხოვრების რომელიღაც ფურცლები.

რამდენიმე კოხტა სასახლეც არის, სადაც ამჟამად სკოლებია მოწყობილი ან სხვა რამ დაწესებულებანი და მმართველი ორგანოები.

ქვემო-ჭალიდან ცოტა აღმართ-დაღმართის შემდეგ ამოვედით სოფ. მხურვალეთთან.

აქედან კი ჩვენ თვალწინ იშლება ტირიფონის დიდებული და თვალუწვდენი ველი.

ცივი ქარი და ჟინჟლიანი ამინდი ხელს გვიშლის, რომ უფრო მშვიდათ გადავავლოთ თვალი ამ შუა ქართლის ფართედ მოღვდილ მკერდს.

ვინ იფიქრებს, რომ ქართლში მოიძებნება ასეთი ფართე ველი, სადაც თამამად გაიშლება მილიონიანი არმია მებრძოლებისაც და მშრომელებისაც.

ოთხმოცი ათასი დღიური მიწა სუფრასავით სწორათ გადაშლილი გალავნათ შემორტყმულ მთებს შორის!

აფსუს რომ ერთი გიჟი ლიახვი, ან ქსანი, ან არაგვი არ აცოცხლებს იმის უდაბურ მკერდს!

მაშინ ხომ ის მთელი საქართველოს ცხოვრების სათავეთ გადაიქცეოდა!

მაგრამ თუ ბუნების კანონით ტირიფონის ველისთვის აუხვევიათ გვერდი ყველა მდინარეებს, სამაგიეროთ დღევანდელი ადამიანის კანონი დიდ ლიახვის წყალს შეაჭ[illegible] ნებს თავის კვალს და ძალით [illegible] ლაჩინთესავებს ტირიფონის მ[illegible] ველებს.

სა[illegible] წელიწადია უკვე თავგამეტებული მუშაობაა გაჩაღებული დიდი ლიახვიდან წამოსულ არხზე, რომელსაც უკვე გამოუვლია 35 ვერსი და ტირიფონის შუა წელზე შეჭრებულა. აქედან კი დაიწყება დამხმარე არხები.

ამხ. ქურდაძე გვიხსნის ყველაფერს და თანაც ქართლულად გულჩათხრობილ სიამაყეს განიცდის ასეთი ძნელი და ყოვლად სასარგებლო საქმის შესრულებით.

ამ არხს ორი დიდი „სიფონი“ აქვს. ერთი მდინარე მეჯუდაზე და მეორე პატარა ლიახვზე. აქ არხი გადის მდინარეებ ქვეშ პირველგან 110 საჟ. სიგრძეზე და მეორეგან კი —150 საჟ. სიგრძეზე.

საერთოდ მუშაობა შესრულებულია 75--80 პროცენტით.

ტირიფონის ველს ჩქარა მოელის უმაგალითო სიცოცხლე და აყვავება.

—

სოფ. კირბალეთთან სახელდახელოთ შეკრებილა ხალხი ამხ. ფილიპეს შესაგებებლათ.

შეხვედრა იყო შინაურული, თითქმის ოჯახური.

მცირე წვიმა გვაჩქარებინებს ნაბიჯს, თუ ატალახდა, ავტო ვეღარ დაიძვრის ადგილიდან.

მეჯვრის ხევი მოზრდილი სასოფლო ცენტრია. აქაური ხალხს მოუყრია თავი. ხალხს გარეგნულად საუცხოვო შეხედულობა აქვს. აქაურობას ეტყობა ისეთივე სიძლიერე და სინოყიერე, როგორც ქიზიყის სოფლებს.

ამხ. ფილიპემ დაათვალიერა არხი, სკოლა და საკმაოდ გამოჭიმული კოოპერატივი.

აღმასკომის წინ ხალხს ტევა აღარ აქვს. ყველას სწყურია გაიგოს ცოცხალი სიტყვა ძვირფასი სტუმრისა.

ლოდინი დიდხანს აღარ უნდებათ და ბოლოს ყველა სმენათ ქცეული ისმენს დარბაისლურ, დალაგებულ სიტყვას ამხ. მახარაძისას.

მცხოვრებლების მხრიდან მრავალი ესალმება ამხ. ფილიპეს. პირადი საჩივრები ძალიან მცირედია.

უკვე ექვსი საათი ხდება. გორამდის კიდევ ოცი ვერსია. ამ საღამოს იხსნება საბჭოთა მეოთხე ყრილობა. იქ უნდა დაესწროს ამხ. მახარაძეც.

მივეჩქარებით.

ჩავიარეთ სოფ. ხელთუბანზე. შორიდან უკვე მოსჩანს გორის დანგრეულ ციხის ბუმბერაზული აჩრდილი.

ქარი მაინც არ გვეშვება. სიბნელეც ახლოვდება. მაგრამ ეხლა ვეღარ გვაშინებს ვერც ერთი, ვერც მეორე.

უკვე შევედით გორის ორღობებში.

მეჯუდის მხარეს გაშენებულა სრულიად ახალი გორი: ქვითკირის თითო ან ორ-ოთხი შენობები თავმდაბლათა და კოხტად [illegible] ყვებათ. ყველა მათგანი ჩაფლულა ზომიერ ბაღნარში, რომელთა მშვენებაც გამოჩნდება პირველივე გაზაფხულზე.

უკვე მივედით.

7 საათზე საბჭოთა ყრილობის საზეიმო გახსნა, რომელსაც დაესწრება ამხ. მახარაძეც.

ფუხარა.

ეკ. საბჭოში

სახალხო მეურნეობის მდგომარეობა

სახალხო მეურნეობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო გატარდეს შემდეგი ღონისძიებანი.

ა) რადგან შემჩნეულია, რომ სიღნაღის მაზრაში მინდვრის თაგვები შემოდგომის ნათესებს საგრძნობ ზარალს აყენებენ და ამასთანავე მოსალოდნელია ასეთი თბილი ზამთრის გამო თაგვების უფრო გამრავლება, წინადადება მიეცეს მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატს ამ გარემოებას მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება და მიიღოს საჭირო ზომები.

ბ) დაევალოს ს. მ. უ. საბჭოს შეიძინოს თამბაქოს მრეწველობისათვის შესაფერი მასალა (გილზები, ბაბინი და სხ.) შრომის ნაყოფიერების შემცირების თავიდან აცილების მიზნით, ხოლო უკეთუ ასეთი მასალის შოვნა შეუძლებელი იქნება; მოახდინოს ფაბრიკების შტატის შემოკლება.

ჩათახის ქარხნის შესახებ

ეკონომიურ საბჭოს სხდომაზე ინჟ. ალშიბაიამ გააკეთა მოხსენება ჩათახის თუჯის სადნობ ქარხანასთან ხის მშრალად გამოსახდელი ქარხნის მოწყობის შესახებ. საბჭომ მიიღო ცნობად საგეგმო კომისიის დასკვნა ხსენებულ საკითხის შესახებ.

მასთან წინადადება მიეცა ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმს მოახდინოს ჩათახის თუჯის საბუდოების გეოლოგიური გამოკვლევა.

საგეგმო კომისიას დაევალა გამოარკვიოს ჩათახის ტყის ნორმალური ექსპლოატაციის პირობები და ამის მიხედვით წარმოადგინოს მოხსენება იმის შესახებ თუ რამდეადგინოს მოხსენება იმის შესახებ, თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნება ჩათახის რაიონში ხის მშრალად გამოსახდელი ქარხნის აგება.

კოოპერატივისათვის დანიშნულ თანხების განმანაწილებელი კომისია

კოოპერატიულ ორგანიზაციებისათვის დანიშნული თანხების განმანაწილებელ რესპუბლიკანურ კომისიაში მოწვეულია ს. ს. რ. კავშირის კოოპერატიული ბანკის წარმომადგენელი.

ჟურნალ „ეკონომისტი“-ს შესახებ

მიზანშეწონილად და საჭიროდ იქნა ცნობილი საქართველოს რესპუბლიკაში ერთი ეკონომიური ხასიათის ჟურნალის არსებობა, რომლის შესანახად საჭირო თანხების გაღება დაევალა საქართველოს სამეურნეო ორგანოებს.

დაიბეჭდა და გამოვიდა საქ. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის ჟურნალი

„სოფლის კომუნისტი“ № 1--2

შინაარსი:

მოწინავე: გამარჯვების და აღმშენებლობის პირველი ხუთი წელი

მამია ორახელაშვილი. ქართული ჟირონდის გზა.
ა. ნადირაძე. პარტია და გლეხობის საკითხი.
ვარო ჯაფარიძე. მშრომ. ქალ. საერთაშორისო დღე
ბ. ადამაძე. წითელი არმიის რვა წელი.
ა. ჭყონია. საბჭოთა არჩევნების გაკვეთილები.
ი. ბუაჩიძე. საქართველოს სასოფლო - სამეურნეო კოოპერაცია.
ვ. მახვილიანი. ტრაქტორი სასოფლო მეურნეობაში.
უ. ფრანგიშვილი. კომკავშირის მე-8-ე ყრილობის შედეგები.

საერთაშორისო მიმოხილვა

გ. კვარაცხელია. საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები

ადგილობრივი ცხოვრება

ა. ურუშაძე. ზოგიერთი საკითხები სოფლად პარტიულ ხაზით მუშაობაში.
ი. ხუხუა. ადგილობრივი მუშაობის მტკივნეული მხარეები.
დ. ანაგელი. წერილი ანაგიდან.
გ. ქურდაძე. ფაქტიური მასალები საბჭ. არჩევნებიდან
კ. ზ—ძე. ძველი სენაკის კომუჯრედი.

ბიბლიოგრაფია

ფოლადიანი: ი. სტალინი. რ. კ. პ. ც. კ. პოლიტიკური ანგარიში მე-14 ყრილობაზე.
ნ. ტ. ჟურნალი „აგრონომიული კრებული“ № 1.
პროლეტარიძე: ი. კაგანოვიჩი, სოფლად საბჭოთა მუშაობის გაუმჯობესება.

ჟურნალი დაურიგდება ხელისმომწერლებს და გაიყიდება ყველგან

3—3 872

წითელ ჯარში

უფ-შემადგენლობის თვითმომზადების შემოწმებისათვის

მარტის მეორე ნახევარში უნდა მოეწყოს ნაწილებში უფშემადგენლობის თვითმომზადების შემოწმება. წითელ არმიელთა აღზრდის, მისი მხედრული და მოქალაქეობრივი გაწვრთნა-მომზადება დღეს შედარებით უფრო რთულ სახეს ღებულობს, ვიდრე გასულ წლებში. წითელ არმიელთა მასის საერთო კულტურული დონე ყოველწლიურად მაღლდება. გარდა ამისა სათანადოთ მატულობს და იზრდება მოთხოვნილება თითეული წითელარმიელის, რაც მეთაურისა და პოლიტიკურ მომუშავისგან მოითხოვს დიდ ყურადღებას.

კულტურული განვითარება და აქტივობის გაძლიერება მშრომელთა მასებში თავის გამოხატულებას პოულობს წითელი არმიის რიგებშიც. ეს მდგომარეობა შესაძლებელს ხდის წითელარმიელის აღზრდის საქმე გაცილებით უფრო უკეთეს პირობებში ჩავაყენოთ და მებრძოლ მოქალაქის გაწვრთნა მეტად დაჩქარებით ვაწარმოთ.

ასეთი მდგომარეობა ჩვენგან მოითხოვს მეტ მუშაობას. ამისათვის კი საჭიროა უპირველესად მომზადება იმ ძალის, რომელიც ვალდებულია ეს საქმე იკისროს. ეს ძალა არის უფ-პოლიტშემადგენლობა. ყოველივე ღონისძიება, ახალი მეთოდები და სხვა მხოლოდ მაშინ მიაღწევენ მიზანს, როცა ამის გატარებისათვის მომზადებული არის ჩვენი წითელი არმიის ხერხემალი—უფ-პოლიტშემადგენლობა. ამიტომ მეთაურთა თვითმომზადების საკითხი, მეტად სერიოზული საკითხია. უკვე დიდმა ხანმა განვლო, რაც თვითმომზადების საკითხს ჩვენ მივაქციეთ ნაწილებში მომუშავე ამხანაგების ყურადღება.

შემოწმებამ უნდა გამოარკვიოს, თუ როგორ შედეგებს მიაღწია ნაწილებმა ამ დარგში, როგორ იყო დაყენებული მუშაობა, რა უშლიდა ხელს მას, რამდენათ სერიოზულად ეპყრობიან ამხანაგები თვითმომზადების საქმეს და სხვა. ეს შემოწმება კიდევ ერთხელ მოგვაგონებს ამ საქმეს და გაყინულ წერტილიდან დასძრავს დღემდის სუსტად წარმოებულ მეთაურთა თვითმომზადების საქმეს. გამოცდების წინ საჭიროა ნაწილებმა მობილიზაცია მოახდინონ ნაწილის საზოგადოებრივ აზრის და მთელი ყურადღება მიაპყრონ ხელშემშლელ და ხელსაყრელ პირობების გამორკვევას და მთელი გამოცდილების სათანადოთ აღნუსხვას. ერთხელ და სამუდამოთ უნდა განმტკიცდეს თვითმომზადების აუცილებლობის შეგნება.

ე. ხ.

შეკრება ნაყოფიერად დამთავრდა

(მე-5-ე ლეგიონი)

1905 წელში დაბადებულ ახალგაზრდობასთან მეცადინეობა დაიწყო ა. წ. თებერვლის 20. შეკრებაზე გამოცხადდენ ყველანი უკლებლივ. სამეცადინო წერტი წინასწარ იქნა შესაფერისად მოწყობილი: იყო საჭირო ავეჯეულობა, საწოლი ოთახები, სასადილო და სხვა.

მეცადინეობა სწარმოებდა წინასწარ შემუშავებული გეგმით. როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური საგნები შეითვისეს წვევამდელებმა ძალიან კარგად, რაც დაამტკიცეს მარტის 8-ში ჩატარებულმა გამოცდებმა.

თუ შევადარებთ ეხლანდელ შეკრებას წინა შეკრებებს, დავინახავთ, რომ ნაყოფიერი იყო უკანასკნელი შეკრება, ვინაიდან იგი ჩატარებულ იქნა უფრო კარგ პირობებში და სამოქალაქო და პარტიულმა ორგანიზაციებმა აღმოუჩინეს სამხედრო ორგანოებს დიდი დახმარება.

სულიერი განწყობილება წვევამდელების საუკეთესო იყო. ყოველ წვევამდელს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი შეკრების მნიშვნელობა და სცდილობდა კარგათ შეეთვისებია ის, რასაც ასწავლიდენ მეთაურნი და პოლიტხელნი.

ე—ზი.

მზადება დღესასწაულისთვის

21 მარტს სრულდება ხუთ წელი, რაც ჩაეყარა საძირკველი საქართველოს წითელ არმიას.

დღესასწაულის აღსანიშნავად სწარმოებს დიდი მუშაობა ორივე დივიზიებში. პოლიტგანყოფილებამ დაუგზავნა ნაწილებს საგანგებო გეგმები. ს. კ. პ. ცენტრალურმა კომიტეტმა თავის მხრივ მიმართა ცირკულიარული წერილით ყველა სამაზრო კომიტეტებს, რათა მათ მიიღონ მხურვალე მონაწილეობა დღესასწაულის ჩატარებაში. მარტის 21 მოხდება სამოქალაქო დაწესებულებებში და საწარმოო ორგანიზაციებში გახსნა სამხედრო კუთხეების, რომლების მოსაწყობად გადადებულია მთავრობის მიერ საჭირო თანხა. დღესასწაულის აღსანიშნავად პოლიტგანყოფილება აწყობს კონკურსს საუკეთესო სამხედრო კუთხის, ცვალებადელის, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდატორის, მხროლელის და სხვა.

ნაწილებში დღესასწაულის ჩატარება დაიწყება 18 მარტს, დასრულდება 21 მარტს.

ვ. წ.

ქალაქის კეთილმოწყობა

ქალაქის კეთილ-მოწყობაზე დახარჯული თანხები

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის კეთილ-მოწყობის განყოფილების სამშენებლო სექციის მიერ ქალაქის კეთილ-მოწყობაზე 1924-25 საბიუჯეტო წლის განმავლობაში დახარჯულია 626.630 მან. 92 კაპ. ამ თანხის ნახევარზე მეტი მოხმარდა სახლების შეკეთებას.

ხუდადოვის ტყის დასაცავად

აღმასკომის კეთილ-მოწყობის განყოფილების სატყეო სექციამ დაამთავრა მუშაობა ხუდადოვის ტყის დასაცავად. ამ ჟამად ხუდადოვის ტყე შემოღობილია 6 ვერსის სიგრძეზე.

ალექსანდრეს ბაღი

ერთი კვირის წინად დაიწყო მუშაობა ალექსანდროვის ბაღის აღსადგენად. ბაღი მოქალაქეებისთვის დაკეტილი იქნება, ვიდრე მუშაობა არ დამთავრდება. გამომუშავებული გეგმის მიხედვით ხელახლა იქნება დაგეგმილი ალექსანდროვის ბაღი. ძველი დაბურული ხეები ამოთხრილი იქნება ძირიან-ფესვიანად და მათ ნაცვლად დაირგება ახალი ხეები. განზრახულია აგრეთვე ბაღში არსებულ ამ ჟამად გაუქმებულ აუზების ამუშავება.

გარდა ამისა ბაღში მოეწყობა საბავშვო მოედნები, ორკესტრის მოსათავსებელი ესტრადა. აგებული იქნება საზაფხულო-სამკითხველოს შენობა და სხვა.

ალექსანდროვის ბაღის აღსადგენად ქალაქის კეთილ-მოწყობის განყოფილებას გადადებული აქვს 18 ათასი მანეთი. ბაღის გადაკეთებით განყოფილება მიზნად აქვს შექმნას მშრომელთა დასასვენებელი ადგილი, რომელიც ღია იქნება მსურველთათვის, როგორც დღისით, ისე საღამოობით. ბაღის აღსადგენი მუშაობა დამთავრდება მაისისთვის. დამთავრებისთანავე ბაღი გაიხსნება.

ქრონიკა

თბილისის აღმასკომში

◆ მუსლიმან ქალთა კლუბის დასახმარებლად თბ. აღმასკომმა გადასდო 200 მ.

◆ **ქალაქში მოძრაობის წესები.** ქალაქში უბედურ შემთხვევებთან ბრძოლის მიზნით, თბ. აღმასკომმა დაავალა ადმინისტრატიულ განყოფილებას, სასწრაფოდ შეიმუშაოს ქუჩებში სამგზავრო და გადასაზიდ საშუალებათა და აგრეთვე მოქალაქეთა მოძრაობის ახალი სავალდებულო წესები.

ჯანსახკომში

◆ ფიზიო-ტერაპევტიულ ინსტიტუტთან ჯანსახკომმა დააწესა ფასიანი მიღება საღამოობით იმ ავადმყოფებისათვის, რომლებსაც სჭირდებათ ექიმობა ელექტროთერაპიით.

◆ ომის ინვალიდთათვის ხელოვნური ხელ-ფეხის გასაკეთებლად სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატს ჯანსახკომმა გადასცა 1000 მან.

შრომის კომისარიატში

◆ **საზოგადო სამუშაოები** გასულ წელს მოწყობილი იყო თბილისში, ბათომში, ჭიათურაში, ქუთაისში, გორში, ხაშურში, ბორჯომში და სამტრედიაში.

◆ **საწარმოო კოლექტივები** შრ. კომისარიატის ცნობით საქართველოში ამჟამად ითვლება 338 კაცი. თვით კოლექტივი კი 15.

კოოპერატიულ დაწესებულებებში

◆ **ფართლეულობა.** ცეკავშირმა გასულ წელს მოკავშირე ორგანიზაციებს დაუნაწილა 7.800.811 მან. ფართლეულობა.

◆ **კოოპერატიული კურსები** გასულ წელს დაამთავრა 253 კაცმა, რომლებიც დაგზავნილი იქნენ ადგილებზე სამუშაოდ.

სხვადასხვა

◆ **სამხედრო გზატკეცილის** გაყვანა-ასამაღლებლად დაწყებული სამუშაო ზაჰესის რაიონში, უკვე შესრულებულია 80 პროც.

კრებები და მოხსენებები

◆ **განათლების მუშაკთა სახლში.** ხუთშაბათს, 18 მარტს, საღამოს 8 საათზე განათლების მუშაკთა სახლში ამხ. მიხ. ოკუჯავა გააკეთებს მოხსენებას პარიზის კომუნის შესახებ.

შემთხვევები

◆ **მკვლელობა.** 15 მარტს, ყარატაფაში (ყარაიაზის რაიონი) მოქ. რასულ ბაბა-ოღლიმ თოფით მოჰკლა გოფშა აჯი მამედოღლი და მიიმალა.

◆ **დაშავება.** 15 მარტს, ზაჰესში მუშაობის დროს გადმოზვავებულ მიწის ქვეშ მოჰყვა მუშა დიმიტრი ზედაშვილი და დაშავდა მძიმედ.

◆ **თავის მოწამვლა.** 15 მარტს, იულიზევის შესახვევი № 2 გეურქ არზატოვმა მოიწამლა თავი. გვამი გადაგზავნილი იქნა რესპ. მთ. საავადმყოფოში. მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **გადმოვარდნა.** 15 მარტს, გონჩაროვის ქუჩა № 50 სახლის მეორე სართულიდან უეცრად გადმოვარდა და დაშავდა სასიკვდილოთ იოსებ გოფმანი.

◆ **ქურდი მუშტრები.** 15 მარტს, პლეხ. გამზ. № 149 კოჯაროვის მაღაზიაში შევიდენ სამი უცნობი მოქალაქე და შევაჭრების დროს მოჰპარეს 11 ყელსახვევი და 45 მ. სხვა ნივთები. ორი ბოროტმოქმედთაგანი შეიპყრეს.

◆ **ქურდები.** 15 მარტს, ანტონოვის შესახვევი № 2 მიკირტიჩ მიქელიანცის ბინიდან მოიპარეს 150 მან. ნივთები.

ამავე დროს პირველ ლაზარეთის ქუჩაზე გაქურდეს ილია ზურაბიშვილის ბინა.

ამავე დღეს გაქურდეს თომა მოდებაძის ბინა.

სასამართლო

ნიკოლოზ კენჭაძის საქმე

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. ბერიშვილის თავმჯდომარეობით გაარჩია ნიკოლოზ კენჭაძის საქმე.

კენჭაძეს ბრალად ედება მოქ. ანანოვის მოკვლის ცდა.

ანანოვს ბრალდებულ კენჭაძისათვის უსესხებია ფული. უკანასკნელს ვალი დროზე არ გაუსტუმრებია. ამ ნიადაგზე ანანოვს სიტყვიერი შეურაცყოფა მიუყენებია ბრალდებულისათვის. კენჭაძეს მოლაპარაკების დროს დანით ჭრილობა მიუყენებია ანანოვისათვის.

მოწმეების ჩვენებიდან გამოირკვა, რომ კენჭაძეს არ ჰქონია წინასწარი განზრახვა მოეკლა ანანოვი.

სასამართლომ ბრალდებულ კენჭაძეს მიუსაჯა ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„ღალატი“

მიუხედავათ იმისა, რომ იპოლიტოვ-ივანოვის ოპერა „ღალატის“ სიუჟეტი აღებულია სუმბათაშვილის ლეგენდიდან, რომელშიაც მოცემულია საქართველოს მისწრაფება განთავისუფლებულიყო სპარსეთთან დამოკიდებულებისაგან, ხოლო მოქმედება სწარმოებს საქართველოში (თბილისი და დუშეთის მხარე), ოპერაში არ არის ქართული სტილი არც ჰარმონიაში და არც მელოდიებში. ოპერის მუსიკალური ილიუსტრაცია, რომელიც ზოგჯერ მკაფიო და საინტერესოა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს მაშინ, როცა ოპერა იდგმება თვით კომპოზიტორის ინსტრუმენტოვკით და ორკესტროვკით. საუბედუროთ სახელმწიფო ოპერის სცენაზე იპოლიტოვ-ივანოვის ოპერა დადგმულ იქნა არა ნამდვილი, სწორი ინსტრუმენტოვკით, არამედ ერთ-ერთ ადგილობრივი მუსიკოსის ინსტრუმენტოვკით, რის გამო მუსიკა არა ხელსაყრელ შთაბეჭდილებას ახდენს. მკრთალი იყო სულეიმანის და ზეინაბის დიალოგი პირველ მოქმედებაში და რუქაიას მოთხრობა.

მკრთალი იყო აგრეთვე ზეინაბის, ოთარბეგის და საბას ეფექტიანი სცენა. აქ ორკესტრს არ ეტყობა არავითარი სიცოცხლე. ასეთი ინსტრუმენტოვკით ოპერის დადგმა არ შეიძლება.

დადგმა კოლორიტული და სტილიურია პირველ და მეოთხე აქტში. მაგრამ მე-2-ე და მე-3-ე აქტში (ოთარ-ბეგთან) დადგმა ვერ სტოვებს კარგ შთაბეჭდილებას. მეფის მსვლელობის სცენა წინად გაცილებით უფრო მდიდრულად და სტილიურად იდგმებოდა. ტანისამოსი კარგია. განსაკუთრებით ოთარ ბეგის ტანისამოსი, რაც შეეხება ირაკარგია სულეიმანის, ზეინაბის, რუქაიას და ოთარ-ბეგის ტანისამოსი, რაც შეეხება ირაკლის, ის ვერ არის შესაფერი.

სპეციალურად ზეინაბის პარტიის შესასრულებლად მოწვეული ალეშკო ჭმნის პირფერი და ძალაუფლების მოყვარული ცოლის, ამაყი მეფის და შემდეგ დატანჯული დედის მხატვრულ სახეს. სცენიური შესრულების მხრივ მახიობს მრავალი საინტერესო და მრავალფეროვანი ადგილი აქვს. ის ხმას მოხერხებულად ხმარობს და სიმღერაში იძლევა ბევრ მგრძნობიარობას და კონტრასტს. მშვენივრად შესრულებულია დიდი არია მესამე აქტში, უფრო მკრთალი იყო პირველი არია—აქ საჭიროა ზეინაბის მგრძნობიარე მღელვარების და შიშის გადმოცემა. მშვენიერი სულეიმანია ისეცკი. მახიობი ჭეშმარიტად მხატვრულ სახეს ჰქმნის; მშვენიერია გარეგნული სახე, მიმიკა.

ხალისიანად შესრულებულ იქნა არია მეოთხე მოქმედებაში.

ოთარ-ბეგის (ქარცივაძე) სცენიური მხარე მისაღებია. სიმღერაში არ არის საჭირო ბგერის ზედმეტად გაძლიერება და გადმოცემულ უნდა იქნეს მათი ნიუანსები. მეორე მოქმედების არიაში საჭიროა მეტი ლირიზმი და მგრძნობიარობა.

მშვენივრად ასრულებს ერეკლეს არიას და დიალოგს რუქაიასთან ქუმსიაშვილი, მაგრამ არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს გრიმი და მიმიკა, განსაკუთრებით სცენაში ზეინაბთან. არიის შესრულება საჭიროა ისეთ პოზაში, რომელიც უფრო შეეფერება მომენტს, მას საკონცერტო ხასიათი არ უნდა მიეცეს. ტიპიური ბეხო თუმანოვი და კარგია სცენიურის მხრივ დემიანენკო (ანტონ გლახა).

დანილიანის რუქაია ვოკალური შესრულების მხრივ მშვენიერია, მაგრამ სცენიურად მახიობი ვერ ქმნის შაჰის მძევალი ქალის მხატვრულ სახეს. ისახარის მხატვრულ სახეს ჰქმნის ვოლჩანეცკაია.

პ. გ.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **„ღალატი“.** დღეს ოპერის თეატრში მეორედ წარმოდგენილი იქნება „ღალატი“.

◆ **სომეხ მწერლის შირვანზადეს** საპატივსაცემოდ რუსთაველის თეატრში პარასკევს, 19 მარტს, წარმოდგენილი იქნება „ნამუსი“.

◆ **შიო არაგვისპირელის ბიუსტი.** ვახ. კოტეტიშვილი ამჟამად აკეთებს შიო არაგვისპირელის ბიუსტს.

◆ **„ზვირთების ქარავანი“.** გამოვიდა და იყიდება პროლეტ. მწერლის იაკინთე ლისაშვილის პოემა „ზვირთების ქარავანი“. წიგნი შეიცავს 64 გვ. და ღირს 50 კაპ.

დღეს კინოებში

◆ სოლეი—„ნიბელუნგები“.
◆ არფასტო—„ნიბელუნგები“.
◆ მინიონ—„ცენის მოტაცება“.
◆ აპოლო—„ჯვარი და მაუზერი“.
◆ ოდეონი—„ორი ობოლი“.

ბიბლიოგრაფია

მ. ამია. „ქართული ჟირონდის გზა“.

ზაკკნიგას გამოცემა
გვ. 151, ფასი 1 მანეთი

ამხ. მ. ამიას წიგნი ფაქტიურად წარმოადგენს ისტორიულ დოკუმენტების მოხდენილად დალაგებულ კრებულს, რომელნიც იძლევიან მენშევიკურ საქართველოს უტყუარ სურათს მისი დაარსებიდან დამხობამდე და შემდეგ ემიგრაციის კონტრ-რევოლიუციურ მოღვაწეობას ახასიათებენ. ავტორს მძივებათ აუსხავს ნეტარხსენებულ მენშევიზმის დროის ყველა ღირსშესანიშნავი ფაქტები და ლოღიკურად დაუკავშირებია ისინი ერთმანეთთან სწორი ანალიზით და ამომწურავი კომენტარიებით.

წიგნი პირველად გამოცემულია ფრანგულად და რუსულად. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ხუთი წლის თავზე ის გამოდის ქართულ-რუსულ ენებზედაც. ამრიგად ამხ. მ. ამიას წიგნი მიზნად ისახავდა იმ ჭორიკანობის ბურუსის გაფანტვას, რომელსაც ჰქმნიდენ და დღესაც ჰქმნიან კაპიტალისტურ ქვეყნებში ყველა ჯურის შავი ძალები. ამხ. ამიას წიგნაკს, როგორც ფაქტების კრებულს, ამ მხრივ უაღრესად დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია. ფაქტი ჯიუტი რამ არის, ვერსად გაექცევი, ვერსად დაემალები. მის წინაშე ენა და აღშფოთება ჩლუნგი იარაღები არიან.

რას გვეუბნება ეს ფაქტები? ერთ დროს მენშევიკები ძლიერ თაკილობდენ (დღეს მათ ამის ინტიბარიც დაეკარგათ) დენიკინ-ალექსეევთან კავშირს. ფიცი გვწამდა, მაგრამ კუდი გვაკვირვებდა. და აი მენშევიკური „კუდი“, რომელიც არსებობდა მაშინაც და რომელმაც მოაღწია ჩვენამდე ისტორიულ დოკუმენტის სახით. მენშევიკურ საქართველოს გარეშე საქმეთა მინისტრი—გეგეჭკორი შემდეგს უცხადებს გენერალ ალექსეევს:

„ჩვენი ამოცანა, შავი ზღვის ნაპირებზე მდგომარეობს ბოლშევიკებთან ბრძოლაში. ჩვენ ახლა თქვენთან ერთად ვურტყამთ ერთ წერტილში, რომელიც ამ ხანად თავისთავად არის მტრული ძალა ჩვენთვისაც და თქვენთვისაც... ბოლშევიკებთან დამოკიდებულების შესახებ შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენს ფარგლებში ბოლშევიკებთან დაუნდობელი ბრძოლა სწარმოებს. ყოველი ჩვენ ხელთ არსებულ საშუალებებით ვთრგუნავთ ბოლშევიზმს“.

ამაზე მეტი მოკავშირე ალექსეევს აბა ვინ ეყოლებოდა? რაც შეეხება მიწის საკითხს, ამ მხრივ კიდევ უფრო დამახასიათებელია მენშევიკურ პარტიის მოღვაწეობისათვის ამხ. ამიას მიერ მოყვანილი შემდეგი დოკუმენტი. მენშევიკებმა თავის დროზე ყური გაუჭედეს ქვეყანას—შემოგვხედეთ—ჩვენ ჩავატარეთ რევოლიუციონური აგრარული რეფორმაო. ნამდვილად კი მიწა გლეხებს ფულად უნდა დარიგებოდათ. გარდა ამისა „დამოუკიდებელ სახელმწიფოს“ „დამოუკიდებელი“ მთავრობა მოკლებული იყო საშუალებას უცხო ძალის გავლენის გარეშე განეხორციელებია ის კუდმოკვეცილი რეფორმა, რომელიც მან მიიღო. აი რას მოგვითხრობს ამის შესახებ ამხ. მ. ამიას წიგნი:

ფონ-კრესი მიუთითებდა მენშევიკურ მთავრობას, რომ გორის მაზრის გლეხებმა არ გადაიხადონ იჯარა მემამულეების სასარგებლოდ 1917 წლის (რევოლიუციის წელია) მოსავლისაგან. „ასეთი აუტანელი მდგომარეობის“ თავიდან ასაცილებლად ის უბრძანებდა: დაუყოვნებლივ შეადგინეთ კომისია ორი წარმომადგენელი საქართველოს მთავრობისაგან, 2 მემამულეებისაგან და ერთიც გერმანიის დელეგაციისაგან (ალბად, როგორც თავმჯდომარე); „დავალების წარმატებით შესრულებისათვის (საიჯარო გადასახადის აკრეფა) კომისიას დახმარება უნდა გაუწიონ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებმა და საგანგებო გერმანულ სამხედრო რეზმებმა“. წინააღმდეგ შემთხვევაში ფონ-კრესი იმუქრებოდა საქმეში „გერმანულ ჯარების ჩარევით“.

არც მშვიდობიანობის მხრივ იყო მენშევიკური საქართველო უზრუნველყოფილი. სამი წელი განუწყვეტლივ ომების და შინაურ ამბოხებათა წლები იყო. ხოლო რაც შეეხება ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას, აქ სურათი კიდევ უფრო უნუგეშოა. ამხ. მ. ამიას მოყავს ამის შესახებ ნოე ჟორდანიას განცხადება, სადაც ის ამბობს, რომ „ჩვენ უკვე მივედით კატასტროფამდეო“. შემდეგ ამავე მდგომარეობის დასახასიათებლად მოყვანილია იმდროინდელ საქართველოს პრესის აზრი. აი მაგალითად—„საქართველო“ (16 ნოემბრის 1920 წ.).

„ჩვენ უკვე შევეჩვიეთ იმას, რომ საცვლები თვეში მხოლოდ ერთხელ გამოვიცვალოთ, რომ ტალახი და სიბნელე მუდმივი მოვლენებია, რომ უქრთამოდ შეუძლებელია ერთი ნაბიჯის გადადგმა... რაც უფრო წინ მივდივართ, მით უფრო ცუდი და ცუდი მდგომარეობაა.. ინტელიგენცია და მუშები აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებიან“.

ამავე აზრს ერთხმად იმეორებდა მთელი იმდროინდელი თბილისის პრესა, თვით მთავრობის ოფიციოზი „ერთობაც“ კი. ამ გაზეთის 2 დეკემბრის 1920 წლ. ნომერში ჩვენ ვკითხულობთ ვ. ჯუღელის წერილიდან შემდეგს:

„ჩვენ ხშირად გვავიწყდება მუშების ინტერესები; ყველა ჩვენ დაუდევარნი გავხდით, ვეყირით საერთო ეკონომიურ სიძნელეებზე და სრულიად ვერ წარმოგვიდგენია ის დაუშვებელი ჯოჯოხეთი, რომელშიაც იღუპება მუშათა კლასი. ჩვენი პირადი ცხოვრება ჩვენ გამოვაცხადეთ კერძო საქმედ, მაგრამ ვიხურავთ კარებს, რომ არავინ დაინახოს ჩვენი კეთილდღეობის აუარებელი სისაძაგლენი“.

ქართული ჟირონდის დამხობის შემდეგ მენშევიკურმა და მის მაჩანჩალა პარტიებმა გააჩეს მჭიდრო კავშირი ანტანტის სახელმწიფოებთან. ამხ. მ. ამიას წიგნში მოყვანილია საბუთები ინტერვენციის სამზადისის შესახებ, რომლის მოწყობასაც ყოველნაირად ცდილობენ კავკასიის ანტი-საბჭოთა პარტიები.

დასასრულ მოცემულია აგვისტოს ავანტიურის შეფასება, თვით ამ ავანტიურის მესვეურთა პირით და ქართველი ინტელიგენციის გამოხმაურება უაზრო სისხლის ღვრაზე (პროფესორთა, ხელოვნების მუშაკთა და მასწავლებელთა კონფერენციის დეკლარაცია). მოყვანილია აგრეთვე ცალკე საზოგადო მოღვაწე პირების აზრიც, როგორც მაგ. ივ. გომართელის წერილი. უკანასკნელად სიტყვა ეძლევა ინგლისის მუშათა დელეგაციას, რომელმაც სწორი ანალიზი გაუკეთა საქართველოში შექმნილ მდგომარეობას. წიგნს დართული აქვს ავტორის წერილები მენშევიკების დროინდელ „კომუნისტში“ და ა. ზურაბოვის წერილი ჟორდანიასთან, სომეხ-ქართველთა ომის დროს.

ცოცხალი ენით დაწერილი და ახლა წარსულის ფაქტებზე აგებული ამხ. მ. ამიას წიგნი დიდი ხალისით იკითხებოდა. შინაარსით და გადმოცემით ის სავსებით მისაწვდომია მასიურ მკითხველისათვის. „ქართულ ჟირონდის გზა“, ქართველი გლეხისა და მუშების ბიბლიოთეკაშიც უსათუოდ ღირსეულ ადგილს დაიჭერს.

ნ. მ.

იურიდიული რჩევა-დარიგება

ვალდებულია თუ არა ადმინისტრაცია დამაკმაყოფილოს ჯილდოთი

კითხვა

1925 წ. 10 ივლის ვიქენი დანიშნული ეკონომიური სამსახურის მიერ ზუგდიდის რკინის გზის ქალაქის სადგურის თანამშრომლად, სადაც სამუშაოს თვისების მიხედვით მიხდებოდა მუშაობა ყველა კვირა და უქმე დღეებში დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე. ეს იცოდა როგორც ადმინისტრაციამ, აგრეთვე ხენაკის უბნის შრომის ინსპექტორმა. ახლა, როდესაც ასეთის ჯილდო მოვითხოვე, ადმინისტრაცია უარს მეუბნება.

გთხოვთ ახსნა - განმარტებას ასეთი მერგება თუ არა.

რკ. გზ. კავშირის წიგნაკი № 27410.

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხლი 104-ის შენიშვნა პირველის და მისი შრომის სახკომატის შემდეგი ახსნა-განმარტებისა, ზედმეტი საათის მუშაობა დაიშვება და მასზე ჯილდოც გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ზედმეტი საათის მუშაობა ნება დართულია შემფასებელ - საკონფლიქტო კომისიის, სათანადო პროფკავშირის ც. გ. ან და შრომის ინსპექტორის მიერ. ზედმეტი საათების მუშაობა - საათების რაოდენობით და ხელფასის ოდენობით უნდა იქნეს აღნიშნული საანგარიშო წიგნაკში (იხილეთ იქვე მუხ. 1088).

განსაკუთრებულ შემთხვევაში შრომის სასამართლოს და შრომის ინსპექციას აქვს უფლება აიძულონ ადმინისტრაცია მისცეს მომუშავეს ზედმეტი ნამუშევრის ჯილდო.

ამიტომ თქვენ გირჩევთ მიმართოთ სათანადო განცხადებით მათ.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

ვცხოვრობთ არსენალის შეს. სახლი № 5-ში — 6 სული. გვიჭირავს ორი ოთახი სულ 72 კვ. არშ. ორი ჩვენთაგანი კავშირის წევრნი ვართ; (1-ლის ხელფასი არის 25 მან. მეორესი 46 მან.) დანარჩენი სტუდენტები და ერთი მოწაფე.

გთხოვთ გვიპასუხოთ ვინ უნდა ვადაიხადოს ოთახის ქირა და რამდენი.

დ. ჭ—ია.

პასუხი

ბინის ქირას თქვენგან იხდის ის, ვინც შრომის ხელფასს იღებს მეტი რაოდენობით (ე. ი. 46 მანეთის მიმღები) და თვითეულ კვადრატიულ არშინზე იხდის სამ კაპიკს.

კითხვა

ვცხოვრობ რევაზოვის შეს. № 9. მიჭირავს ერთი ოთახი 56 კვად. არშინი. ვართ ექვსი სული. ქირად ვიხდი ერთ მანეთს. სახლის პატრონი თვეში მთხოვს ერთ თუმანს. ვიხდი მეეზოვის ქირას 40 კაპ. ვარ კავშირის წევრი და დაზღვეული. თვიურად ვიღებ 35 მანეთს.

გთხოვთ მომცეთ განმარტება, როგორ მოვიქცე, მეეზოვის ფული მე მეკუთვნის თუ არა და რა უნდა გადავიხადო ბინის ქირად.

პასუხი

ბინის ქირად თვითეულ კვადრ. არშინ. იხდით ერთ კაპ. ნახევარს (1 კაპ. ½ მეეზოვეს ფული უნდა მისცეს სახლის პატრონმა. თუ სახლის პატრონი ფულს არ მიიღებს შეიტანეთ თბილისის სახაზინო იუსტიც. სახკომატის დეპოზიტში.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 13

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიებსა და მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის სადგილ-მამულო საბჭოში სადგილ-მამულო დავის განხილვის წესისათვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მიწის კოდექსის 161-166 მუხლის განსავითარებლად დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული ინსტრუქცია სადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიებსა და მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის სადგილ-მამულო საბჭოში სადგილ-მამულო დავის განხილვის წესისათვის.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

დადგენილება № 13

ა. კ. შრომის სახალხო კომისარიატისა
1926 წლ. თებერვლის 27

კოლექტიურ ხელშეკრულებათა რეგისტრაციის წესების დამატების შესახებ.

შრომის სახ. კომისარიატის ორგანოებში კოლექტიური ხელშეკრულებების რეგისტრაციაში გატარების დაგვიანების თავიდან ასაცილებლად, ა. კ. შრომის სახ. კომისარიატმა დაადგინა:

„კოლექტიურ ხელშეკრულებათა რეგისტრაციის წესის შესახებ, ა. კ. შრომის სახ. კომისარიატის მიერ 1922 წლ. სექტემბრის 30-ს თარიღით და 13 №-ით გამოცემულ დადგენილებას (გამოქვეყნებულია ა. კ. ს. ფ. ს. რ. მომქმედ კანონმ. გამოც. 1926 წლ.) დაემატოს მე-8-ე მუხლის შენიშვნა შემდეგი შინაარსით:

„თუ მხარეებმა სამი დღის განმავლობაში იმ დღიდან, როცა შრომის სახ. კომისარიატის ორგანომ გადასცა მათ წინადადება, არ წარმოადგინეს საწინააღმდეგო აზრი, ეს ჩაითვლება როგორც თანხმობა კოლხელშეკრულებაში იმ ცვლილებების შეტანაზე, რომლის შესახებაც მისცა წინადადება შრომის სახალხო კომისარიატის ორგანომ.

ა.-კ. შრომის სახ. კომისარი ს. იაკუბოვი.
სატ. საეკ. განყ. გამგის მაგ. თუმანოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი ერთიან პარტიულ დღეს მართავს უჯრედთა ჯგუფურ კრებას შემდეგი წესით:

1) მუშათა ახალი კლუბი ქართ. და რუს. ენაზე. მბეჭდავთა ყველა უჯრედები საღამოს 6 საათზე, მომხსენ. ამხ. ამხ. კარკლინი და ოკუჯავა.
2) ქალაქის აღმასკომის დარბაზი—ქართ. ენ. უჯრ. № 36, 29. მომხსენ. მათიკაშვილი საღამოს 6 საათზე.
3) სახ. კავშირის კლუბი (კინო „სოლეის“ ქვეშ) რუსულ ენაზე—უჯრ. №7, 8, 10, 12, 14, 15, 16,43, 21, 54, 59,—საღამოს 6 საათზე, მომხსენ. თუმანოვი.
4) კლუბი „კატორ“-ი—რუსულ ენაზე. უჯრ. № 24, 26, 37, 46—საღამოს 6 საათზე მომხსენ.—ნაზარეტიანი.
5) ამიერ-კავკასიის კომუნისტ. უნივერსიტეტი რუსულ ენაზე—ამიერ-კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის უჯრ. მომხსენ.—ცხაკაია, საღამოს 6 საათზე.
6) საქ. მუშფაკის კლუბი (სასწავლო ქ.) ქართ. ენაზე უჯრ. № 48, 49, 19, მომხსენ. გ. გაბიძე.
7) განათლების მუშაკთა სახლი—ქართ. ენაზე უჯრ. № 28, 39, 47, 34, 44, 45, 62, 32, სალ. 6 საათზე, მომხსენ.—ტოროშელიძე.
8. პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზი—სომხურ ენაზე—უჯრ. № 53, 56, საღამოს 6 საათზე მომხსენ.—ხანოიანი.
9) პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში—რუსულ ენაზე, უჯრ. № 35, 41, 42, 55, 57, 58, 30, 27, 51—6 საათზე, მომხსენ.—სუტირინი.
10) ამიერ-კავკასიის ფინსახკომის დარბაზი—რუსულ ენაზე—უჯრ. № 50, 33, 40, საღ. 6 საათზე მომხსენ.—ლევანდოვსკი.
11) რუს. მუშფაკის კლუბი (ბებუთ. 28), უჯრ. № 20, 19, 49, 22—მომხსენ. ვარძიელი.

დღის წესრიგი:

1) კომინტერნის აღმასკომის პლენუმის შედეგების შესახებ.

ქალაქის რაიკომი.

დღეს, საღამოს 6 საათზე, მუშათა ახალ კლუბში (სასახლის ქ. 5) გაიმართება ქალაქის რაიონის აგიტ.-პროპ. ორგანიზატორთა თათბირი.

ქალაქის რაიკომი.

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი ხუთშაბათს, 18 მარტს, იწვევს საღრიცხვო ქვე-განყოფილებაში შემდეგ ამხანაგებს პარტიულ ბილეთების მისაღებად:

თეთრაძე ვასილ, (უჯრ. № 2), ალიბეგაშვილი შალვა (უჯრ. № 3), კორიძე ნიკოლოზ (უჯრ. № 7), აგაბაბოვი არტაშეს, ძუძუკინი პავლე, ასრიბეკოვი გიორგი, გალუსტიან გაიკ, რინენბერგი პეტრე (უჯრ. № 10), ზალმან ვლადიმერ, ვართანოვი ვართან, პოპოვი მიხეილ, პოპოვი ვლადიმერ (უჯრ. № 12), გაგნიძე ივანე, გეორგიაშვილი იასონ (უჯრ. № 16) მგალობლიშვილი ვასილი (უჯრ. № 17), ჩერნიშევი დიმიტრი, სადოროვი გიორგი (უჯრ. № 18), ჩაჩანიძე ივანე, ბაროევი სერგი (უჯრ. № 19), სარიევა ლიუსია (უჯრ. № 20), არდამაშვილი დავით (უჯრ. № 23), ურუშაძე დავით (უჯრ. № 26), ტატოევი სოლომონ (უჯრ. № 33), ვალიაშვილი ტატო (უჯრ. № 34), ბერიძე ვასილი, ვაჩაძე ნესტორ (უჯრ. № 48), ავაკოვი ბაგრატ (უჯრ. № 54).

ქალაქის რაიკომი.

დღეს, 17 მარტს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის რაიკომის შენობაში გაიმართება საქ. კომპარტიის სარაიონო კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.

პრეზიდიუმის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა. [illegible] პასუხისმგებელი მდივანი [illegible]-გოგუაშვილი.

ხუთშაბათს, 18 მარტს, საღამოს 5 საათზე საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის შენობაში გაიმართება უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედების ბიუროების თათბირი პროლეტარულ სასამართლოს აღმასრულებელ ბიუროს და თბილისის ბიუროს ფრაქციების თანდასწრებით.

დღის წესრიგი:

1. უმაღლეს სასწავლებლებში პროფესიონალურ ორგანიზაციების მუშაობის შესახებ, 2. პარტიულ ორგანიზაც. საკითხები.

უჯრედთა ბიუროების და აღმასრულებელ ბიუროს ფრაქციების ყველა წევრთა დასწრება სავალდებულოა.

ქალაქის რაიკომი.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ვარლამ (ვალიკო) პეტრეს-ძე დოლიძე შვილებით ლუტუ და ოთარი, დებით—მარიამი და გალინა აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მათთვის უსაყვარლეს და ძვირფას

ნინა სპირდონის ასულის
დოლიძის

გარდაცვალებას ღამით 13 მარტს. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 5 საათზე, გამოსვენება და დაკრძალვა ხუთშაბათს, 18 მარტს, 1 საათ. გერმანელების საავადმყოფოდან კამოს ქუჩა № 54. დაკრძალვა მოხდება დიდუბის გალავანში. 1873 3—2

მათხოვრის სახალხო სახლის აღმშენებელი თბილისის ქვე-საბჭო მწუხარებით აუწყებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, თბილისის ქვე-საბჭოს თავმჯდომარის მეუღლის

ნინა სპირდონის ასული
დოლიძის

გარდაცვალებას ღამით, 13 მარტს, გამოსვენება და დაკრძალვა ხუთშაბათს, 18 მარტს, 1 საათზე გერმანელების სავადმყოფოდან (კამოს ქ., 54). დაკრძალვა დიდუბის გალავანში. 1872 1—1

ღრმად დამწუხარებული ალექსანდრე შავთიშვილი, ფილიპე, დესპინე, ალექსანდრე და გიორგი დონაძეები, ნიკოლოზ, მარიამ და ნინა შავთიშვილები, აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა 14 მარტს ძვირფასი მეუღლე პირველისა, შვილი და და მეორეებისა და რძალი უკანასკნელებისა

თამარ ფილიპეს-ასული
შავთიშვილი

პანაშვიდი დღეს, 17 მარტს, ელისაბედის ქ. № 117, საღამოს 6 საათზე, გამოსვენება იქიდანვე ხუთშაბათს, 18 მარტს, 1 საათზე ნინო-წმინდის სასაფლაოზე. 1882 1—1

პოლიგრაფიულ ტრესტის ლითოგრაფიის მუშა-მოსამსახურენი აუწყებენ ამხანაგებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ამა მარტის 13 გარდაიცვალა ძვირფასი ამხანაგის ძველი მუშის მიხეილ გარსევანის ძე ბურძენიძის მეუღლე

თამარ ზაქარიას ასული
ბურძენიძე

დაკრძალვა მოხდება დღეს, ამა მარტის 17, დღის 3 საათზე, ნიკოლოზის სასაფლაოზე. გამოსვენება თხინვალის ქ. № 16. 1884 1—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მიხეილ გარსევანის-ძე შვილებით—ქეთინო და ნუციკო, და დარიკო, დედამთილი ანა, მაზლები—ივანე და იოსები, რძალი ნუცა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ შაბათს, 13 მარტს, საღამოს 5 საათზე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

თამარ ზაქარიას ასული
არჯევანიძე-ბურძენიძისა

16 მარტს, საღამოს 6 საათზე, გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, თხინვალის ქუჩა № 16, მე-2-ე კომისარიატი. დაკრძალვა 17 მარტს, ოთხშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე, ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1874 2 2

ღრმად დამწუხრებული სიძე ივანე აბაშიძე თავის მეუღლით ძალო ზაქარიას ასულით და შვილებით ირაკლი და გაიოზით აცნობებენ ნაცნობთ და ნათესავებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში გარდაიცვალა 13 მარტს, საღამოს 5 საათზე, მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

თამარ ზაქარიას ასული
არჯევანიძე-ბურძენიძისა

დაკრძალვა 17 მარტს, ოთხშაბათს, ნაშუადღევის 3 საათზე, ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1874 2—2

აპოლო
არფასტო
სოლეი
ახლად ამ სეზონში
მეამბოხე ქალი
კონსტანც ტოლმეჯის და კონვეი ტრილის მონაწილეობით.
ანონსი: ამ დღეებში „ჯვარი და მაუზერი“
3 და 4 სერია
მსოფლიო შედევრი
„ნიბელუნგები“
(კრიმგილდას შურისძიება)
1-ლი სეანსის დასაწ. 6 საათ.
2-რე—9 საათზე
სალარო ღიაა 4 ნახ. საათიდან.
0—12 ნ. 869

ხელისმომწერლებმა
ყოველგვარი
ცნობებისათვის
უნდა მიმართონ
„კომუნისტი“-ს
მთავარ კანტორას
რუსთაველის პრ. № 34
ტელეფონი № 10—49

რუსთაველის თეატრი: შაბათს, 20 მარტს,
დეზერტირკა
კვირას, 21 მარტს,
ლამარა
ნ. 913 5—2

სახელმწიფო ოპერა:
დღეს, 17 მარტს, ღალატი
19 მარტს, ურიის ქალი
20 მარტს, ჰოფმანის ზღაპრები
21 მარტს. ხანდრო ინაშვილის გასტროლი, დაისი
23 მარტს. ცნობილ ბანის გრიგორი პიროგოვის გასტროლი, ბორის გოდუნოვი
5—1 ნ. 927

გაზ. „კომუნისტი“-ს
ხელისმომწერთა საყურადღებოთ
გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს როგორც ადგილობრივ, ისე პროვინციის ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, გამოუგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ან შეგვატყობინონ ქვითარის №, რომლითაც გამოწერილი აქვთ. მისამართების გამოცვლა იწვევს კანტორის მხრივ ზედმეტ ხარჯებს (მისამართების ხელმეორედ დაბეჭვდა, დაჭრა, ქაღალდი) და ამიტომ მათი (ხარჯების) დასაფარავათ მისამართების შეცვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ კანტორაში 25 კ. (შეიძლება საფოსტო მარკებით), წინააღმდეგ შემთხვევაში ამ გვარი წერილები უყურადღებოთ იქნება დატოვებული.
0 3
მთავარი კანტორა

თბილისის ქალაქის ლომბარდი
(ლორის-მელიქოვის ქუჩა № 6) ამით აცხადებს, რომ კვირას, 21 მარტს, დილის 11 საათზე დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ვადა გასულ გირაოებისა. გასასყიდი გირაოების ნომრები გამოცხადებულია ლომბარდის დარბაზში 1-1 ნ. 926

აჭარისტანის ვაჭრობის სამმართველო
„АДЖАРТОРГ“
ამით აცხადებს სახელმწიფო დაწესებულებათა და მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ ორშაბათს 1926 წ. 22 მარტს ქ. ბათომში აჭარისტანის ვაჭრობის სამმართველოს ტეხნიკურ საწყობში
განმეორებითი
საჯარო
ვაჭრობით
გაიყიდება სხვადასხვა ძველი მასალები და მანქანები
1. სხვადასხვაგვარი პრესები, 2. მილები, ქურო და მუხლები მილებისათვის, 3. რელსები, 4. ფოლადი, 5. მამოძრავებელი მანქანები, 6. ორთქლის ქვაბები, 7. სხვადასხვა დაზგები, 8. ცეცხლის საქრობი მოწყობილობა (მოწყობილობის მთელი კომპლექტი), 9. ჭანჭიკები, ქანჩები, რახნები, საყელურები, 10. წყლის საზომის შუშები, 11. ქუროები და უნაგირები, 12. სხვადასხვაგვარი ღვედები, 13. თუჯის გირები, 14. ავტომობილების ნაწილები, 15. ბორბლები (ШКИВЫ) და ქნევარები, 16. კოჭები, ჯაჭვები და სხვა მრავალი მასალები.
საჯარო ვაჭრობის დასაწყისი დილის 12 ს.
სახელმწიფო დაწესებულებებს
უპირატესობა
ვაჭრობის პირობების გაგება შეიძლება აჭარისტანის ვაჭრობის სამმართველოში: ბათომი, კამოს ქ. № 5. მისამართი დეპეშებისათვის: ბათომი, აჭარისტანის ვაჭრობა („Аджарторг“).
აჭარისტანის ვაჭრობის სამმართველო
2—1 ნ. 915

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო.
საწოლებით
რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ ბედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ დაგრეთვე ამ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
50—18

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).
25—7

ექ. ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 საათ დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან). 25—2

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე. სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან [illegible] 25—12

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე. ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე პიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—7

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606“—„914“)
ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4. ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემელის აფთიაქის პირდაპირ). 25—25

ექიმი
დ. ა. ბედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს
დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს ონელაძეს ქ. (ყოფ. საპიორის) № 3 25—1.

ექიმი ი. ი. ჭიიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და [illegible] 6—7 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა). 25—7

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ. № 38. 25—7

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5 დან—9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღმოს. მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად 22—5

დ. აბაშა
კბილის ექიმმა
ა. ნადარეიშვილმა
განაახლა ავადმყოფების მიღება. კაბინეტთან არსებობს კბილის სატეხნიკო ლაბორატორია, სადაც მზადდება ყოველგვარი ხელოვნური კბილები. 25—17

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან-თუხარელისა
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა, ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ). 25—17

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ. № 33. მიიღებს ავადმყოფებს. კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის) 25—8

ექიმი ი. ი. ზერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა.
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8. 25—23

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ ბო-მონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეები, ბუასილის-სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფებ-ს მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე 25—17

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეთი.
ავადმყ. მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის (ოლღას ქუჩა) 49. ტელ. 4—82 25—13

დოქტორი გ. მეზრაბიანი
ფილტვების, გულის და ციების
წამლობა ხელოვნური მთის მზის სპენიმოტორაქსით და ტუბერკულიოზით, რენტგენის, და სინათლის ელექტრონის სამკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დილ. 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23. 25—17

ექიმი ნ. ტურიაშვილი
სამშობიარო და ქალის სნეულებანი
მიღება საღ. 3—6, საბჭოთა (ყოფილი ჩერქეზოვის) ქუჩა № 22. 25—12.

პროფ. გრ. მუხაძე
ავადმყოფობის შემდეგ განაახლა ავადმყოფების მიღება
მიღება სწარმოებს საღამოს 5-დან—6 საათამდე კვირა დღის გარდა
მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 58, ტელეფონი № 5—77 25—7

თვალის ექიმი
ა. გ. მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ. საღამოს 6—7 საათ. ელისაბედის ქუჩა № 47, ტელეფ. № 5—90 თვალის საავადმყოფო. 25—3

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დილის 3—5 დე. პლეხანოვის გამზირი №. 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63. 25—1

ექ. ვასილი ნიკიფორესძე
ჩუპრინინი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. მიღება: დილის 9—11-დე და საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის ქ.) 87. 25—3

ექიმი არსენ ვადაჭკორია
ღებულობს ქალთა ავადმყოფებს და აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს. საღამოს 4—7 საათამდე. (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ. № 35 25—1

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე. პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან). 25—1

დაიკარგა სამთო-მადნო კავშირის წიგნაკი № 6291, გაცემული ვასილ ივანეს-ძე ტოკონიძეს სახელზე, ჩ. გ. 1888 1—1

დაიკარგა სამხედრო რეგისტრაციის ბარათი, მეტრიკული ამონაწერი და პირადობის მოწმობა კოლა ქელდიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1881

დაიკარგა პარტიის საწევრო წიგნაკი № 493926 ვლადიმერ გერასიმესძე მამალაძის სახელზე, ჩ. გ. 1—1 ქვ. 1880

დაიკარგა პარტბილეთი № 491494 ტასია სიამაიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1885 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ბათლომე ბესისძე ნადარეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1885 1—1

დაიკარგა სურსათ - გემოვნების კავშირის წიგნაკი № 3141, დამზღვევ კასის წიგნაკი № 453, უვადო საპასპორტო წიგნაკი, კოოპ რატიის წიგნაკის მაგიერ მიცემული ქვითარი გიორგი გომელაურის სახელზე, ჩ. გ. 1883 1—1

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68
ტირაჟი—25.543